

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: **ქართული ლიტერატურა**

ახობაძე ანა

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა

ნაშრომი შესრულებულია ქართული ლიტერატურის

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი თამარ შარაბიძე

თბილისი

2019

Ivane Javaxishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Master's Programme: **Georgian literature**

Akhobadze Ana

Nikoloz Baratashvili's epistolary heritage

The work is represented for the MA degree of Georgian literature

Supervisor: Tamar Sharabidze

Doctor of philology, TSU Associated Professor

Tbilisi

2019

სარჩევი

ანოტაცია.....	2
Annotation	3
შესავალი	4
ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები	5
გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილები	6
მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილები	36
ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილები.....	49
მიხეილ თუმანიშვილისადმი გაგზავნილი წერილი	60
ბაბალე და ალექსანდრე საგინაშვილებისადმი გაგზავნილი წერილები	63
წერილების დათარიღებისა და ადგილის შესახებ	69
ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების ეტიკეტი	74
ნ. ბარათაშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობა წერილების მიხედვით	77
ნ. ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის კავშირი მის ლირიკასთან	80
სატირა და იუმორი ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებში	87
მე-19 საუკუნის საქართველოში შემორჩენილი წეს-ჩვეულებები ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში	95
მე-19 საუკუნის საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის ანარეკლი ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში	98
ბარათაშვილის ავტოპორტრეტი მისი წერილების მიხედვით	102
დასკვნა	105
გამოყენებული ლიტერატურა:	106

ანოტაცია

ნებისმიერი მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის სრულყოფილი აღქმისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მისი პირადი ცხოვრებისა და შინაგანი განცდების გათვალისწინებას. ამგვარი ნიუანსები კი ყველაზე მკაფიოდ ეპისტოლარულ ნიმუშებში იჩენს თავს. ამიტომ, მკვლევარს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს სრულფასოვნად შეისწავლოს მწერლის შემოქმედება და პიროვნება, აუცილებლად მართებს სრულფასოვნად გაეცნოს ავტორის პირად წერილებსა და ჩანაწერებს.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლის კიდევ ერთ მოკრძალებულ ცდას. ნაშრომში სისტემურად დალაგებული და ადრესატების მიხედვით განაწილებულია ნ. ბარათაშვილის 18 წერილი. გამოყოფილია ის ძირითადი ნიუანსები, რომლებითაც ხასიათდება ერთი და იმავე პიროვნებისადმი მიწერილი ბარათები. აღნიშნულია, წერილების საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი იმის აღნიშვნას, თუ რა შინაგანი სიახლოვე აკავშირებს ბარათაშვილს წერილების ადრესატების მიმართ და ამის მიხედვით როგორ გადმოსცემს ის საკუთარ შინაგან განცდებს. ცალკე თავები ეძღვნება წერილებში ასახული საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობის ანარეკლის, ძველი ქართული წეს-ჩვეულებებისა და სატირა-იუმორის ნიმუშების წარმოდგენას. აგრეთვე, ცალკეა გამოყოფილი ბარათაშვილის ავტოპორტრეტი და წერილებში დაფიქსირებული მისეული თვითშეფასება საკუთარი გარეგნობისა და ხასიათის შესახებ.

აღნიშნულის კვლევამ გამოკვეთა პარალელები ბარათაშვილის პოეტურ და ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში დაფიქსირებულ შინაგან მარტოსულობას შორის. როგორც აღმოჩნდა, ნ. ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა ერთგვარი

გასაღებია იმ განცდათა ამოცნობისთვის, რომლებიც პოეტს საკუთარ ლექსებში აქვს გადმოცემული.

Annotation

For the perfect perception of the literary heritage of any writer, it is very important that the personal life of the writer and his inner feelings be taken into account. Such nuances are most clearly detected in epistolary samples. Therefore, a researcher who has decided to study the art work of a writer must get acquainted with the author's personal letters and recordings perfectly well.

The present thesis is another modest attempt of studying the epistolary heritage of Nikoloz Baratashvili. The 18 letters of N. Baratashvili are systematically sorted and distributed to addresses in the thesis. Furthermore, the main notes and the nuances are outlined which are characterized by the cards written to the same person. The general and distinctive signs of the letters are pointed out. We paid particular attention to the fact of what internal proximity connects Baratashvili to the addresses of the letters and accordingly how he expresses his inner experiences. Separate chapters are dedicated to the political situation of that time in Georgia, the old Georgian rules of customs and representation of satire-humor samples. In addition, the self-portrait of Baratashvili and his self-esteem in the letters are highlighted separately about his physical defect and personality.

The above study has outlined parallels between the internal loneliness shown in Baratashvili's poetic and epistolary heritage. As it turned out, the epistolary heritage of Baratashvili is a key to recognizing the feelings that poet has expressed in his own poems.

შესავალი

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა საკმაოდ მდიდარია ქართველ მწერალთა ეპისტოლარული ნიმუშებით. ისინი მხატვრულ თხზულებებზე არანაკლები ინტერესით იკითხება. ამ ხასიათის ნაწარმოებებში ასახულია ავტორთა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპი, მათი სიხარული და სევდა, ზნეობრივი და მოქალაქეობრივი პოზიცია, პირადული თუ საზოგადოებრივი საზრუნავი.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი ბარათები რაოდენობრივად ბევრად ჩამოუვარდება მე-19 საუკუნის სხვა მწერლების მრავალფეროვან ეპისტოლურ მემკვიდრეობას, ისინი არ კარგავენ დიდ მნიშვნელობას პოეტის ცხოვრებისა და მისი პიროვნების შესასწავლად. ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი ბარათები განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მგოსნის შემოქმედებაში. ეპისტოლური ნაწერები რომანტიკოსი პოეტისთვის იყო ურთიერთობის, პრობლემების გაზიარებისა და საკუთარი პიროვნების შეცნობის საშუალება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები

ჩვენამდე მოღწეულია ნიკოლოზ ბარათაშვილის 18 წერილი. ამ ბარათების ადრესატები პოეტის ნათესავები და ახლო მეგობრები არიან, სულ ექვსი ადამიანი. ნიკოლოზ ბარათაშვილის ჩვენამდე შემორჩენილი 8 წერილი გაგზავნილია პოეტის საყვარელი ბიძის, გრიგოლ ორბელიანის მისამართით. 4 წერილის ადრესატია მაიკო ორბელიანი, 3 წერილი შემოგვრჩა ზაქარია ორბელიანისადმი, ხოლო თითო-თითო წერილი მიწერილია მიხეილ თუმანიშვილის, ბაბაღე საგინაშვილისა და ალექსანდრე საგინაშვილების მიმართ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობა მოიცავს 1831-1845 წლებს. პოეტის ბევრმა წერილმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, ამიტომ დღესდღეობით შეუძლებელია წერილების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა. ჩვენამდე შემონახული ბარათები ინახება საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში, ლიტერატურულ მუზეუმსა და ცენტრალურ არქივში.

ბარათების ნაწილი დაწერილია მხოლოდ ქართულად, ორი – რუსულად. რამდენიმე ქართულ ხელნაწერში შერეულია რუსული წინადადებები და სიტყვები. იმ წერილებში კი, რომლებიც შესრულებულია რუსულად, ჩართულია ქართული წინადადებები. მაიკო ორბელიანისა და ბაბაღე საგინაშვილისადმი მიძღვნილ წერილებში არც ერთი რუსული წინადადება თუ სიტყვა არ ურევია. რუსული ფრაზები მეტწილად ჩართულია გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილებში. მიხეილ თუმანიშვილისადმი მიძღვნილი ეპისტოლე რუსულადაა დაწერილი. ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილები კი – რუსულ-

ქართულად. ეს ყოველივე მონაშობს რუსული ენის უდიდეს გავლენას მე-19 საუკუნის საქართველოში.

გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილები

ყველაზე მეტი, 8 წერილი ნიკოლოზ ბარათაშვილს გაგზავნილი აქვს საყვარელი ბიძის, გრიგოლ ორბელიანის მისამართით. ისინი იგზავნებოდა 13 წლიანი შუალედით, 1831 წლის სექტემბრიდან 1844 წლის 23 მაისის ჩათვლით.

გრიგოლ ორბელიანს, 1832 წლის შეთქმულებასთან აშკარა კავშირის გამო, მოუწია ავლაბრის ყაზარმებში სამთვიანი პატიმრობის მოხდა. მას არ დაუმტკიცდა აშკარა დანაშაული და საქმის საბოლოო გამოძიების დამთავრებისთანავე გაათავისუფლეს, მაგრამ, როგორც მეშვიდე კატეგორიის „მცირე“ დამნაშავეს, სამშობლო დაატოვებინეს და „კავკასიის ხაზზე“ მოქმედ ჯარში გააგზავნეს. 1833 წლიდან ორბელიანი მსახურობდა ვილნოში დაბანაკებულ ნევის საზღვაო პოლკში. სამშობლოდან ამგვარად გადახვეწილ ბიძას უგზავნიდა მოკითხვის წერილებს ნიკოლოზ ბარათაშვილი.

1833 წლიდან იწყება გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების ახალი ეტაპი. იგი, საკუთარი ქვეყნიდან მოშორებით, აქტიურ სამხედრო საქმიანობას ეწევა. 1841 წლის სექტემბერში გრ. ორბელიანი მონაწილეობს პოლკოვნიკ მოსე არღუთინსკის რაზმის მიერ გურული გლეხების აჯანყების ჩახშობაში. გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიიდან სწორედ ამ ფაქტს ეხება ნიკოლოზ ბარათაშვილი 1841 წლის 18 ოქტომბერს ბიძისადმი გაგზავნილ წერილში, რომელშიც იგი აღფრთოვანებას გამოხატავს მის დიპლომატიურ შესაძლებლობებზე.

1842 წელს გრიგოლ ორბელიანი ავარიის (დაღესტნის) მიწებს იცავდა შამილის რაზმებისაგან. ენერგიულმა სამხედრო მოქმედებამ და ადმინისტრაციულმა ნიჭმა ის მალევე დააწინაურა: 1843 წელს გრ. ორბელიანი დანიშნეს ავარიის მმართველად, ან როგორც თავის თავს უწოდებდა - „ავარიის ხანად“. ამ წლის 2 ივნისს ორბელიანი ჩავიდა ხუნძახში, ავარიის ყოფილი ხანების რეზიდენციაში. 1843 წლის 21 აგვისტოს გაგზავნილ წერილში სწორედ ამ თაქტზე ხუმრობს ნიკოლოზ ბარათაშვილი და ბიძას „ატილლას ტახტზე მჭდომარეს“ უწოდებს.

თხუთმეტი წელი იმსახურა გრიგოლ ორბელიანმა დაღესტანში, ჯერ როგორც სხვადასხვა ოლქის მმართველმა და პოლკის უფროსმა, შემდეგ კი - როგორც მთელი დაღესტნის ჯარების სარდალმა. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც გრიგოლ ორბელიანი სამშობლოდან იყო გადახვეწილი, იგი თან ატარებდა სამშობლოსა და ახლობლების უდიდეს მონატრებას. მათთან დაკავშირების ერთადერთი საშუალება კი ნათესავებისადმი მიწერილი ბარათები იყო, ამიტომ ბიძა - დისშვილი წერილების მეშვეობით ურთიერთობდნენ.

გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი ნ. ბარათაშვილის პირველი წერილი თარიღდება 1831 წლის 3 სექტემბრით. იგი დაწერილია რუსულად. აღნიშნული წერილი აღმოჩნდა საქართველოს ცენტრალური არქივის #171-ში, სადაც დაცულია გრიგოლ ორბელიანის ქალაქდები და 1832 წლის შეთქმულთა მასალები. ბარათს თარიღი არ უზის, მაგრამ მასთან ინახება 1831 წლის 3 სექტემბრით დათარიღებული მელიტონ ბარათაშვილის წერილი გრ. ორბელიანისადმი. მელიტონის წერილში ნახსენებია ნ. ბარათაშვილის წერილიც, რომელიც პატარა ტატოს მამის წერილთან ერთად იმავე დღეს გაუგზავნია.

1831 წლის სექტემბერში გრიგოლ ორბელიანი მსახურობდა ე. ნოვგოროდში დაბანაკებულ „საგანგებო ქვეით პოლკში“. მელიტონი მას სწერს: „ვისთანაც მოკითხვა მოგწერა, ყველამ მაძლობა და მოკითხვა მოგახსენეს. ჩემმა ტატომ კი წიგნი მოგწერა. მერწმუნე, თვითონ დასწერა, არავის უსწავლებია“ (ციტირებულია

წიგნიდან ი. ბალახაშვილი. „ბარათაშვილის ცხოვრება“. „ლიტერატურა და ხელოვნება“. თბილისი. 1967; 115). ცხადია, აქ იგულისხმება ნ. ბარათაშვილის ზემოთ დასახელებული წერილი, რომელსაც ამკარად ეტყობა რუსულ ენაში ჯერ კიდევ გაუნათავი შეგირდის ხელი.

აღნიშნული წერილის მიმართვის ფორმა, ყველა სხვა წერილისგან განსაკუთრებული მოკრძალებული ტონით გამოირჩევა: „მის ბრწყინვალეობას, მოწყალე ხელმწიფეს გრიგოლ ორბელიანოვს!“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 130) ამგვარად იწყებს წერას ნიკოლოზ ბარათაშვილი. ამ დროს პოეტი მხოლოდ და მხოლოდ 14 წლისაა და, დიდი ალბათობით, ეს მის მიერ წერილის დაწერის პირველი მცდელობაა. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, უფროსი ბიძისადმი მოკრძალებაც სრულიად ბუნებრივი ჩანს.

მოკრძალებული მიმართვის შემდეგ ბარათაშვილი წერს, რომ ძალიან გახარებულია ბიძის წერილით და მას ბედნიერებასა და ჯანმრთელობას უსურვებს. ტატო ბიძას სთხოვს ინსტრუმენტების გაგზავნას. როგორც მკვლევარი მათა ცერცვაძე აღნიშნავს, ინსტრუმენტებში უნდა იგულისხმებოდეს სასწავლო ნივთები: სანერი, სახაზავი და სახატავი. მეცნიერს საკუთარი აზრის დასასაბუთებლად მოჰყავს ციტატა ილია ორბელიანის 5 ნოემბერს გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილიდან, რომელშიც იგი ძმას მათემატიკური ხელსაწყოებისა და საღებავების გაგზავნას სთხოვს. ილია და ნიკოლოზი ერთად სწავლობდნენ, ამიტომ, ბუნებრივია, რომ მათ ორივეს ერთი და იგივე სასწავლო ინვენტარი დასჭირებოდათ.

წერილი მოცულობით არ არის დიდი და იგი მალევე სრულდება. ნიკოლოზი კვლავ კარგად ყოფნასა და ბედნიერებას უსურვებს ბიძას და დიდი პატივისცემით ემშვიდობება: „დავშთები პატივისცემით თქვენი დისწული ნ. ბარათოვი.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 130). მიუხედავად, წერილის მცირე მოცულობისა, იგი საყურადღებო ცნობებს გვანვდის

ბიძა-დისშვილის ურთიერთობის შესახებ. აშკარა ხდება, რომ ნიკოლოზი ბიძის მიმართ განწყობილია უდიდესი პატივისცემითა და მოკრძალებით, რომელიც დროთა განმავლობაში, ასაკის მატებასთან ერთად, ახლო მეგობრობაში გადაიზრდება. მკითხველს საშუალება აქვს წერილების მეშვეობით თვალი ადევნოს ამ ორი ადამიანის თანდათანობით უახლოეს მეგობრებად ჩამოყალიბებას.

ბიძისთვის მეორე წერილის გაგზავნისას ნიკოლოზი უკვე 20 წლისაა. გრ. ორბელიანი ამ დროს 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით რუსეთის მთავრობას სამშობლოს გარეთ ჰყავს გადახვეწილი და მწერალი პოლონეთში „ნევის საზღვაო პოლკში“ მსახურობს. წერილს უძღვის მისამართი და თარიღი: „ტფილისი. გარეთუბანი, 1837 წელსა, თებერვლის...“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 131)

წერილი გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალების შემდეგ მის არქივში იპოვა და 1885 წელს ავტოგრაფის მიხედვით გაზეთ „დროებაში“ პირველად გამოაქვეყნა იონა მეუნარგიამ. იგი დღესდღეობით გავრცელებულია ამ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით, ხოლო სად ინახება ამჟამად ავტოგრაფი, უცნობია.

დასაწყისშივე ნიკოლოზ ბარათაშვილი საყვარელ ძიას პატიებას სთხოვს, რომ დიდი ხანია წერილი არ მოუწერია. ამის მიზეზი მისთვის ხან ბიძის ადგილის უცოდინრობა ყოფილა, ხან კი ის, რომ სამსახურის საქმეებში გართულს გამოეპარებოდა ორშაბათი, იქაური ფოსტის მისვლის დღე. წერილით ნიკოლოზი ბიძას ატყობინებს, რომ უკვე წელიწადნახევარია მან გიმნაზიის კურსი დაასრულა და სამართლისა და განჩინების ექსპედიციის მოხელედ მუშაობს. როგორც ვიცით, 1835 წლის 6 ნოემბერს, გიმნაზიის „ქებითი ატესტატით“ დასრულების შემდეგ, პოეტი გამოსაცდელი ვადით მიიღეს საქართველოს უმაღლესი მთავრობის სასამართლოსა და სასჯელაღსრულების ექსპედიციაში. 1836 წლის 18 იანვარს იგი გადაიყვანეს კანცელარიის თანამდებობაზე. ამ ექსპედიციაში ნიკოლოზ ბარათაშვილი 1840 წლამდე მსახურობდა.

ბარათაშვილი წერილში ბიძას უამბობს, რომ იგი ჩინზეცაა წარდგენილი და მოკლე დროშიც ელოდება, თუმცა ირკვევა ისიც, რომ ეს სამსახური პოეტის მოწოდება სულაც არ არის. მას არასდროს ნდომებია სამოქალაქო სამსახური არც ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში სწავლისას და არც მერე, როცა საკუთარი მომავალი ჯერ კიდევ წარმტაც ოცნებებში წარმოედგინა. როგორც იწერება, იგი ყოველთვის ჯარისკაცობაზე ოცნებობდა, მაგრამ მშობლებს უარი უთქვამთ, კოჭლი ხარ და მხოლოდ ინვალიდების რაზმში თუ მიგიღებენო. მაშინ პოეტს ოჯახისთვის უთხოვნია უნივერსიტეტში მაინც გამგზავნეთო, მაგრამ ამ დროს მამაც ავად გამხდარა და შვილისთვის უთქვამს: „შვილო, ხომ ჰხედავ შენის სახლის გარემოებასაო, იქნება, მე ველარც კი გავაწიო ამ სწეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 131). ბარათაშვილი წერს, რომ ამის შემდეგ მამა თხოვნით აღარ შეუწუხებია და ბედს დამორჩილდა. თუმცა, ზოგჯერ ჯავრით დააპირებს მასთან შებმას და იტყვის; „ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 131).

თავისი სამსახურის შესახებ ტატო ბიძას ატყობინებს, რომ ეს საქმე ყმაწვილი კაცისთვის, რომელსაც სამოქალაქო სამსახური სურს, ერთგვარი სკოლაა. აქ მოხელეთა წრე მწეობრივი განვითარებისთვის შესაფერისი ნამდვილად არ არის, მაგრამ რა გაეწყობა. ამ ყველაფერს კი პოეტი იმისთვის იწერება, რომ ბიძამ მისი იქ დაყოვნება სიზარმაცეში არ ჩაუთვალოს.

პოეტის წერილები საინტერესოა არა მხოლოდ იმით, რომ მათგან ვიგებთ ძალიან ბევრ ცნობას მწერლის პირადი ცხოვრების შესახებ, არამედ იმითაც, რომ მათში ბარათაშვილი ხშირად მიმოიხილავს ქართული ლიტერატურის მდგომარეობას და საკუთარ ახალ ლექსსაც ჩაურთავს ხოლმე. ამით იგი ერთგვარად ცდილობს გამოისყიდოს წერილის დაგვიანების დანაშაული და ბიძის

გული მოიგოს. დღეს უკვე ამის მეშვეობით გვეძლევა საშუალება, გავიგოთ ამა თუ იმ ლექსის შექმნის მოტივაცია და მწერლის შინაგანი განწყობა.

საკუთარი ჭირ-ვარამის მოთხრობის შემდეგ ნ. ბარათაშვილი ამ წერილში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ლიტერატურულ საკითხებს. იგი იხსენებს ზაფხულის ერთ მშვენიერ, მთვარიან საღამოს, როცა საჭირითო მოედანზე, ყაბახზე, დასეირნობდა. ეს არის მაშინდელი თბილისის ერთ-ერთი ცნობილი ადგილი, დღევანდელი 9 აპრილის ბაღის ქვემო ნაწილი, ბაზრის და სანაპირო ქუჩის ნაწილის მომატებით. ნ. ბარათაშვილის დროს აქ იმართებოდა ჯირითი, ღამით კი აქ თავს იყრიდა მოსეირნე საზოგადოება. ეს ადგილი განსაკუთრებით საყვარელი იყო ორბელიანებისთვის, რადგან მათ კარმიდამოს შეადგენდა. როგორც ტატო წერს: „ამ წარსულს ზაფხულში, ერთს შუენიერს, მთვარიანს ღამეში, ყაბახზედ დავიერებოდი, სადაც მისმა შუენებამ, სატრფოთ მარაქამ, მათმან უწინდელეზრ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად განატკბეს სახედუელი, აღმიტაცეს ფიქრნი, წარმიღეს გონება!“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 13). მკვლევრები ფიქრობენ, რომ აქ პოეტი უნდა საუბრობდეს თავის პირველ სიყვარულზე, ვინმე ნინოზე, რომლის შესახებაც ბარათაშვილის მეგობარი ლევან მელიქიშვილი მწერლის გარდაცვალების შემდეგ, 1846 წლის 19 იანვარს გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში წერს: „ახლა გაგახარებ იმ ამბით რა პატივის გრძნობა აქვთ განსვენებულისა და მისი ნიჭისა მის ყველა მცნობებსა. 14 იანვარს (კნეინა ნინოს დღეობაზე) ჩვენ რამდენიმე ყმაწვილი ქართველები რევამ ანდრონიკაშვილთან ვიყავით სადილად: ჩვენთან ყაფლანიც იყო, რომელსაც ვთხოვეთ „სულო ბოროტო“ ემღერა. მაგრამ წარმოიდგინე, არც იმან და არც ერთმა ჩვენთაგანმა არამც თუ ზეპირად არ იცოდა ეს მშვენიერი ლექსი - არც კი ვისმე ჰქონდა გადანაწერი და ყველანი გულით შევწუხდით, რომ განსვენებულის ნაწერები იკარგებოდა.“ (გრ. აბაშიძე, პავლე ინგოროყვა.- ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებანი. 1968; 28). წერილს იქვე

სქოლიოში აქვს განმარტება: „არ ვიცი, იცი თუ არა, პირველი სიყვარული საწყლისა იყო ნინო; არც ის ვიცი, იცი თუ არა, რომელი ნინო იყო.“ (მ. ცერცვაძე, 2015: 28).

კოჭრის ნიაგმა ბარათაშვილს საყვარელი ბიძა გაახსენა, უპირველესად კი, ტაეპი გრ. ორბელიანის ლექსიდან „იარალის“: „განცეცხლებულთა ღვინისგან შუბლთა კოჭრის ნიაგი განგვიგრილებდეს.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 133).

პოეტს მაშინვე განუზრახავს იმ ღამის ლექსად აღწერა და ბიძისთვის გაგზავნა. წერილში მოყვანილია „ღამე ყაბახზედ“ ლექსის მთლიანი ტექსტი, მისი პირველი ვარიანტი. ნაცნობი ადგილები, ქალებთან კეკლუცი და სამშობლოს ბუნების მშვენიერებით ტკობა გრიგოლ ორბელიანისთვის „ავის ენის გესლს“ დაუხშივია. „ავის ენის გესლში“ გიორგი ლეონიძის მოსაზრებით, უნდა იგულისხმებოდნენ 1832 წლის „მამულის გამოხსნისათვის შეთქმის“ გამცემლები - იასე ფალავანდიშვილი და მისი ძმა ნიკოლოზ ფალავანდიშვილი. სწორედ ამ ადამიანების დასმენით გრიგოლ ორბელიანი ჩრდილოეთის ეტლს სამშობლოდან გადაუხვეწია.

ბარათაშვილი წერს იმასაც, რომ ეს ლექსი დიდი ხანია დაწერილი ჰქონდა, მაგრამ ფოსტას ვერ ანდო. ეს კი ამსახველია იმ სასტიკი ცენზურული რეჟიმისა, რომელიც 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ გამეფდა. ამიტომ ნიკოლოზი წერილს ფოსტას ვერ ანდობს და, როგორც ჩანს, კერძო კაცის ხელით გზავნის.

წერილის დასასრულს, ტატო ბიძას სთხოვს, რომ ბარათები გამოუგზავნოს და ამით ასიამოვნოს. წერილი მთავრდება ღვთისადმი ვედრებით, რომ ღმერთმა ინებოს ნიკოლოზმა საკუთარი ბიძა კვლავ მშობლიურ მამულში იხილოს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის აღნიშნული წერილი მკვლევართა ინტერესის სფეროში რამდენიმე განსხვავებული ასპექტით ხვდება. იგი გვაძლევს ცნობებს როგორც მწერლის ავტოპორტრეტის, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და

ლირიკის, ასევე საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. გრიგოლ ორბელიანზე მიწერილი ეს წერილი ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ნიკოლოზ ბარათაშვილის ოცნებებსა და ფიქრებს, მის შინაგან სამყაროს. პოეტი ბიძისადმი განსაკუთრებული გულახდილობით გამოირჩევა. იგი გულგატეხილია, რომ ოცნება ვერ აისრულა და ჯარისკაცობაზე უარის თქმა მოუწია. ვერც უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება შეძლო. თუმცა, მეორე მხრივ, წერილში მკითხველი ხედავს უდიდესი შინაგანი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებას, რომელიც თავის უინტერესო სამსახურს მთელი გულისყურით ეკიდება და იმდენად დიდი შრომისმოყვარეობით გამოირჩევა, რომ ბიძისადმი წერილის მისაწერადაც ვერ იცლის. წერილი გვიქმნის წარმოდგენას ნიკოლოზ ბარათაშვილის შინაგან სამყაროზე, მის ხასიათზე. გარდა ამისა, ეს არის პოეტის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში ერთადერთი ბარათი, რომელშიც გვაქვს ცნობა მწერლის გარეგნობაზე, კერძოდ კი მის კოჭლობაზე. ვხედავთ იმასაც, თუ როგორ აფასებს საკუთარ ფიზიკურ ნაკლს თავად პოეტი.

1841 წლის 28 მაისით თარიღდება გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგი წერილი. მისი შინაარსი ცხადყოფს, რომ ამ ბარათს უძღოდა ბიძა-დისშვილის სხვა მიმონერა, რომელმაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია.

წერილი გაგზავნილია თბილისიდან. მასში არ არის მითითებული თუ სად იგზავნება ბარათი, მაგრამ დადგენილია, რომ გრიგოლ ორბელიანი ამ დროს გორში იმყოფებოდა და წერილიც იქ არის გაგზავნილი, რაც ჩანს მინაწერიდან: „Его Сиятельству, Милостивому Государю Григорию Дмитриевичу, Князю Орбелиани, Г-ну Капитану Грузинского гренадерского полка и Кавалеру. В Гори“ (იხ: XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I. ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი. თბილისი. „უნივერსალი“. 2011. გვ. 250, ასევე ვრცელი კომენტარი წერილისა

წიგნში: მაია ცერცვაძე - ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები. „არტანუჯი“. თბილისი. 2015. გვ.60)

დასაწყისშივე ტატო ბოდიშს უხდის საყვარელ ბიძას იმისთვის, რომ მისი თხოვნა ვერ შეასრულა და დიმიტრიევსკის ლექსები ვერ უშოვა. ნიკოლოზი ვერ უგზავნის ბიძას ვერც ნოტებს დიმიტრიევსკის ლექსებისა, რადგან, როგორც თავად ამბობს, იგი დაწერილი საერთოდ არ უნდა იყოს. წერილიდანვე ვიგებთ, რომ ამ დროს გრიგოლ ორბელიანს ფრანგულის სწავლა მოუნადინებია. საყვარელი დისშვილი კი მას ფრანგულის სახელმძღვანელოებს ჰპირდება. თუმცა მსუბუქი იუმორით ეხუმრება ბიძას ამ დაგვიანებული სურვილისათვის: „ერთმა ქალმა შემოგიოვა: სპარსულად ნათქვამიაო: ოც და ათ წელიწადს უკან რომ კაცი ჩონგურს ისწავლის, საიქიოს დაუკრავსო.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 138).

ამის შემდეგ ნიკოლოზი ბიძას იუმორისტულად მოუთხოვს თბილისის ამბებს: ქალების ჭორაობას, მათ წვეულებებსა და ერთმანეთში შუღლს. თუმცა დასძენს იმასაც, რომ წერილს საჩქაროდ წერს და ამიტომ დაწვრილებით ვერ უყვება ყველაფერს.

ქალაქის ამბების შემდეგ ტატო მოკლედ ეხება თავისი ოჯახის მდგომარეობას და ბიძას აცნობებს, რომ ახალ სახლში გადავიდნენ, ანჩისხატის უბანში, „ადრე რომ აბხაზი იდგა“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 138). ამ სახლში ცხოვრობდა პოეტი გარდაცვალებამდე. იქ ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახამდე ანტონ აფხაზი მდგარა. იგი მონაწილე იყო 1832 წლის შეთქმულებისა.

ბარათაშვილს არ გამორჩება ბიძას აცნობოს ქართული ლიტერატურის მდგომარეობაც. მისი ყურადღება ჩერდება იმ ფაქტზე, რომ იმ ხანად ქართული ლიტერატურა გამდიდრდა ორი კარგი თარგმანით. დიმიტრი ყიფიანს უთარგმნია შექსპირის „რომეო და ჯულიეტა,“ ხოლო თავად ნიკოლოზ ბარათაშვილს -

გერმანელი დრამატურგის იოჰან ანტონ ლაიბევიცის „იულიუს ტარენტელი.“ დიმიტრი ყიფიანს წერილში ნიკოლოზი „კიპიანად“ მოიხსენიებს. ეს, როგორც ჩანს, მისი გვარის გარუსულებული ფორმაა. თავად ნიკოლოზ ბარათაშვილის „იულიუს ტარენტელის“ თარგმანი დღეს დაკარგულად ითვლება. ტატო ბიძას ეკითხება აქვს თუ არა წაკითხული ეს ნაწარმოები, რომელიც, როგორც წერილი გვატყობინებს, 1830 წელს დაბეჭდილა რუსულ ჟურნალ „ბიბლიოტეკაში.“ იგი ნიკოლოზს ძალიან მოსწონებია, ხოლო ჭავჭავაძის ქალებს ამ ნაწარმოებზე უტირიათ.

ამის შემდეგ წერილში ნახსენებია მაიკო ორბელიანი, რომლისთვისაც თურმე გრიგოლს რუსი სამხედრო პირის, ბალაშოვის დაღუპვა უცნობებია. ამ ამბავს ქალების დიდი მწუხარება გამოუწვევია. ქალების ამ გლოვას ბარათაშვილი იუმორისტულად აღწერს: „მაიკო ძალიან გწყევლის, არ ვიცი, რა მოგიწერია - ბალაშოვის სიკვდილს აქ ასე გლოვობენ, რომ ეს არის შავები არ აცვიათ, თორემ სხვა აღარა აკლიათ რა. - „ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 138).

ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილის აღნიშნული წერილი გამოირჩევა საკმაოდ თვალშისაცემი იუმორისტული პათოსით. ნიკოლოზი ერთ შემთხვევაში დასცინის ბიძას, ხოლო მეორე შემთხვევაში თავის ახლობელ ქალებსა და მაიკო ორბელიანს.

წერილი მნიშვნელოვანია ნიკოლოზ ბარათაშვილის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესასწავლადაც. ბარათში ნათქვამია, რომ პოეტს უთარგმნია იოჰან ანტონ ლეიბევიცის დრამა „იულიუს ტარენტელი.“ როგორც აღვნიშნეთ, ეს თარგმანი დღეს დაკარგულად ითვლება.

იმავე, 1841 წლის 18 ოქტომბერს ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს კიდევ ერთ ბარათს უგზავნის. წერილი გაგზავნილია თბილისიდან, მაგრამ არ ჩანს ადრესატის მისამართი. პეტრე უმიკაშვილის მიერ ბარათის ავტოგრაფიდან გადმოღებული პირი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ბარათაშვილი წერს: „საყვარელო ძმაო გრიგოლ.“ მიმართვის ფორმა უშუალო და ახლობლურია, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს ბიძა-დისშვილის განსაკუთრებულ მეგობრობას. როგორც ვიგებთ, წერილი წარმოადგენს პასუხს გრიგოლ ორბელიანის ბარათზე, რომელიც ნიკოლოზისათვის თავის მეგობარს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, დიმიტრი ჯორჯაძეს მიუტანია. ბიძის ეს წერილი, ისევე როგორც სხვა წერილები, ბარათაშვილისთვის ერთობ სასიამოვნო ყოფილა. ამ ბარათში მისთვის განსაკუთრებით საამო ქართველების ქებაა. პოეტი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ გრიგოლ ორბელიანმა და ანდრონიკოვმა, იმავე გენერალმა ივანე ანდრონიკაშვილმა, (იმერთა მეფის სოლომონ მეორის დისწულმა) თავიანთი დიპლომატიითა და გმირობით გურიის 1841 წლის აჯანყების დროს ქართველებს ერთობ დიდი სახელი მოუხვეჭეს.

ბარათში ბარათაშვილი ახსენებს ბრძოლებში სახელმოხვეჭილ მაშინდელი საქართველოს გმირებს: მოსე არღუთინსკი-დოლოგორუკოვს, იგივე მოსე არღუთაშვილ-მხარგრძელს, რომელიც დალესტნის ომების მონაწილე იყო; იმავე ომებში მონაწილე თავის მამიდაშვილს, ოფიცერ გიორგი საგინაშვილს და ბოლოს, გურამიშვილს, სამხედრო პირს, რომელიც საგურამოსა და ავჭალის მებატონე გახლდათ. ნიკოლოზი ხაზს უსვამს გრიგოლ ორბელიანის განსაკუთრებულ დიპლომატიურ შესაძლებლობასაც გურიის აჯანყების ჩამშვიდებაში.

ისევე როგორც სხვა წერილებში, ამ წერილშიც თავისი ადგილი ეთმობა თბილისის ამბებს. ბარათაშვილი ბიძასთან საკმაოდ დაწვრილებით მიმოიხილავს მაშინდელი თბილისის შიდა პოლიტიკურ ცხოვრებას. თბილისში ამ პერიოდში გამოუგზავნიათ გრაფი ალექსანდრე ადლერბერგის შვილები. გრაფი ადლერბერგი 1841-1845 წლებში მონაწილეობდა შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში, შემდეგ იყო კარის მინისტრი და იმპერატორ ალექსანდრე მეორის ფავორიტი. როგორც ბარათაშვილი წერს, ადლერბერგის შვილებმა თბილისში ცოტა ხანს დაყვეს, მაგრამ ამ პერიოდში გამოცვალეს „პოლკის კამანდერი,“ თუმცა ეს განკარგულება მანამდე გაიცა, სანამ დალესტნის ომების მონაწილის ჩილაევის,

იმავე ბორის (ქართულად ბაბანა) ჭილაშვილის სიმართლეს გამოიძიებდნენ. ჩილავევი, თურმე, უსამართლო ბრალდებას არ შერიგებია და არ გაჩუმებულა.

პოლიტიკური ამბების შემდეგ, თხრობა ნათესავების შესახებ გრძელდება. ნ. ბარათაშვილის ბიძას ყაფლან ასლანის ძე ორბელიანს ვაჟი შესძენია და მისთვის დიდ ხანურ ნათლობასაც აპირებს, თუმცა ხანებმა ნათლობა არ იცინაო, - ხუმრობს ნიკოლოზი.

ცნობილ ისტორიკოს პლატონ იოსელიანს ძილში ბაკენბარდზე კატა დასწოლია და თმა ისე გაუთელია, ცალი ბაკენბარდი ვერაფრით გავუსწორეთო - სატირულ ტონს აგრძელებს ბიძასთან წერილში ნიკოლოზი. ტატო ამბობს, მოჭრას ვურჩევთ, მაგრამ არაფრით გვიჯერებს და ეს მის ისედაც სასაცილო თელოსოფიურ სახეს კიდევ უფრო სასაცილოდ ხდისო. თბილისური ამბების თხრობას ნიკოლოზი იმით ასრულებს, რომ ბიძას ატყობინებს თბილისში კარგი დარებიაო.

ისევე როგორც სხვა წერილებში, ამ წერილშიც ნიკოლოზ ბარათაშვილს ყურადღების მიღმა არ რჩება ქართული ლიტერატურის საკითხი. წერილი ჩვენ თვალწინ შლის მე-19 საუკუნის 30-40-იანი წლების ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებას. XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების მკვლევართა დახასიათებით, ამ დროს საქართველოს კულტურული ცხოვრება მდორედ მიედინება: თბილისში არ არსებობს თეატრი, ჟურნალი და გაზეთი, არანაირი საზოგადოებრივი ხასიათის კულტურული დაწესებულება. კულტურული მაჯისცემა მოდუნებულია და საღად მოაზროვნე ადამიანებისათვის აზრთა გაზიარების თუ შემოქმედებითი კონტაქტების ერთადერთ ასპარეზად მხოლოდ სალონური საღამოები რჩება.

როგორც ბარათაშვილი წერილში აღნიშნავს, ამ მხრივ ქართველებს საქმე სულ უფრო და უფრო კარგად მისდით, ლიტერატურას დღითი-დღე ემატება ახალგაზრდა ადამიანები, რომლებიც რამდენადაც შეუძლიათ ეხმარებიან ქართული ლიტერატურის განვითარებას. ეს ყველაფერი კი ცხადყოფს იმას, რომ

ქართველის გონებას სულაც არ სძინავს და იგი მზად არის აქტიური მოქმედებისთვის. ლიტერატურით დაინტერესებულ ყმაწვილებში ნ.ბარათაშვილი გულისხმობს საკუთარ ლიტერატურულ წრეს, რომელმაც იმხანად დაიწყო აქტიურობა. ამ წრეში შედიოდნენ: გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, ვახტანგ ორბელიანი, მიხეილ თუმანიშვილი, მ. მაღალაშვილი, ა. ხერხეულიძე, დ. მაჩაბელი და სხვები.

ლიტერატურის მდგომარეობის მიმოხილვის შემდეგ, ნიკოლოზ ბარათაშვილი ბიძას უგზავნის თავის ლექსს „ვპოვე ტაძარი.“ დასძენს იმასაც, რომ აინტერესებს გრიგოლის აზრი ამ ლექსთან დაკავშირებით.

წერილის დასასრულს მოკითხვას აბარებს მამიდაშვილთან, გიორგი საგინაშვილთან, დაღესტანში მებრძოლ ვასილ ყორღანაშვილთან და სხვა ნაცნობებთან. გადასცემს მამა ეგნატის (პლატონ იოსელიანის მამა, ერეკლე მეორის კარის მწერალი, მელიტონ ბარათაშვილის ოჯახის უახლოესი მეგობარი) და სხვა თავისიანების დალოცვასა და მოკითხვას.

ამრიგად, გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ ნიკოლოზ ბარათაშვილის აღნიშნულ წერილში გვხვდება საკმაოდ დანვრილებითი აღწერა მე-19 საუკუნის თბილისის პოლიტიკური ამბებისა. თხრობა ეხება ამ ქალაქის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებას. ეს ყოველივე კი პოეტისთვის სახასიათო იუმორისტულ ტონშია აღწერილი.

საკმაოდ ვრცელია 1842 წლის 2 მაისს გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგი წერილი. ბარათის ავტოგრაფი დაკარგულია. პეტრე უმიკაშვილის მიერ ავტოგრაფიდან გადმოღებული პირი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (S_4911).

ეს წერილი ძირითადად გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმის, ილია ორბელიანის ამბავს ეხება. ილია და ნიკოლოზი, გარდა ბიძა-დისშვილისა, სკოლის უსაყვარლესი ამხანაგებიც იყვნენ. სწორედ მას მიუძღვნა ნ. ბარათაშვილმა თავისი

„მერანი.“ დაღესტანში ბრძოლის დროს, 1842 წლის 20 მარტს ილია ტყვედ ჩაუვარდა ჩეჩნეთ-დაღესტნის ცნობილ იმამს შამილს. მან ტყვეობაში რვა თვე დაჰყო და შამილს თავი მხოლოდ 22 ნოემბერს დააღწია. ტყვეობიდან გამოსნის შემდეგ ვორონცოვის ბრძანებით ილიამ დაწერა თავისი თავგადასავალი. 1846 წელს ილია ორბელიანი დაინიშნება განჯის მაზრის უფროსად. განჯაში ყოფნის დროს მასვე მოუწია საფლავის ქვა დაედო ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავზე. 1853 წლის 8 დეკემბერს ბაშკადიკლარის ბრძოლაში თურქეთთან ომის დროს ილია სასიკვდილოდ დაიჭრა და გარდაიცვალა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი წერილს ილიას ამბის კითხვით იწყებს. როგორც ირკვევა, ილიას დაჭერის ამბავი მათთან აქამდეც მისულიყო, მაგრამ იმედოვნებდნენ, რომ ეს ცნობა ტყუილი იქნებოდა და ყაზიყუმუხელები - დაღესტნის მთიელები, განსაკუთრებული არეულობის დროს დამალავდნენ ილიას. თუმცა იგი სწორედ ყაზიყუმუხელებმა შეიპყრეს და შამილს გადასცეს.

ფეზეს ოფიციალურ მოხსენებას მხოლოდ ის უცნობებია, რომ მისი ადიუტანტი, თავადი ორბელიანი, 20 მარტს დავალებით გაგზავნეს ანდალალში, შუაგულ დაღესტნის რაიონში და იქ ტყვედ ჩავარდა. ფეზეში ნიკოლოზი გულისხმობს დაღესტნის ომების მონაწილე კარპე კარპეს ძე ფეზეს. ფეზეს მოხსენების აღნიშნული ტექსტში წერილში რუსულ ენაზეა ჩართული.

საქართველოში ილიას ახლობლებისთვის ეს ამბავი ჩაუტანია ვიღაც ლეკს, რომელიც უშუალო მომსწრე ყოფილა მისი დაჭერისა. როგორც ლეკი ყვებოდა, ილიკო რომ დაუჭერიათ სამურის ოლქის უფროსი სინაქსაროვი და ყაზიყუმუხის ხანი, გარუნბევი, რომელიც ამ დროს ქურის სახანოს მმართველი იყო, უკვე დაჭერილები ყოფილან. მეორე დღეს ანდალალში თავად შამილი ჩამოსულა და მისთვის ტყვეები წარუდგენიათ. ილიკოს თან ჰყოლია ავარიის მმართველ ახმეტ ხანისგან გამოტანებული ოცი ნარჩევი ავარელი ყმაწვილი. ახმეტ ხანი იმ დროს რუსეთის სამსახურში იყო და გენერალ-მაიორის ტიტულს ატარებდა. შამილი ახმეტ ხანზე, მტერზე მიმხრობის გამო, ძალიან გაბრაზებული ყოფილა და მისი ბრძანებით

ოცივე ავარელი მეომრისთვის ილიას თვალწინვე წაუცლიათ თავები. სინაქსაროვზე მოყოლილი ახტელელები კი დაუშობველებიათ და ისე გამოუყრიათ. შამილი თურმე ილიას მოკვლასაც აპირებდა, მაგრამ ილიას დიდი გამბედაობა გამოუჩენია. შამილს უფიქრია, ეს ალბათ კარგი ოფიცერია და იქნებ რუსებმა ჩემს შვილში გამიცვალონო. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში რუსებს დატყვევებული ჰყავდათ იმამ შამილის ვაჟი ჯემალ-ედ-დინი, რომელმაც ტყვეობაში 1839 წლამდე დაჰყო. სწორედ მასში გასაცვლელად დაიტოვა ტყვედ შამილმა ილია ორბელიანი და სამურის ოლქის უფროსი სინაქსაროვი.

როგორც ბარათაშვილი წერს, ახლა ილიკო დარღობი - შამილის რეზიდენციაშია, სადაც შამილის ცოლ-შვილიც იმყოფება. ილიას ფიზიკურად არა უჭირს რა, მაგრამ თვითონ ძალიან განიცდის ტყვეობაში ყოფნას და ამბობს, რომ სიკვდილი მირჩევნიაო. თბილისში ილია ორბელიანის დატყვევებას დიდი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია. ბარათაშვილი ცდილობს გაამხნევოს ბიძა და ამ ამბებს იუმორისტულად გადმოსცემს. კავკასიის მთავარმართებლის, ევგენი გოლოვინის ცოლს უთქვამს: „მე ყოველთვის იმედი მქონდა, რომ ქართველი მაგისტანა პასუხს მისცემდაო, ვითომც ილიას უთქვამს, სიკვდილი მირჩევნია შენს ხელში ყოფნასაო. მახლას, ილიკო ყოჩაღად ყოფილა.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 142). თავად ბარათაშვილი კი ილიას დატყვევებაზე ამგვარად ხუმრობს: „ზოგჯერ ამისთანა შემთხვევაც კარგია კაცის სიცოცხლეში. ეს არის, რომ იქნება ჩვენ დაგვიგვიანდეს ილიას ნახვა, თვარემ იმას ამ ტყვეობაში არა უშავს რა.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 142).

წერილის თავდაპირველი ვერსიის შემდეგი აბზაცი უნდა ყოფილიყო 21 სიტყვისაგან შემდგარი რაღაც უცნობი ტექსტი. ბარათის დედანი 1873 წელს გრიგოლ ორბელიანს გამოსაქვეყნებლად გადაუცია პეტრე უმიკაშვილისათვის. უმიკაშვილს იმავე წელს გადმოუწერია წერილის პირი და ამის მიხედვით დაიბეჭდა ბარათის ტექსტი ჟურნალ „კრებულის“ 1873 წლის მესამე ნომერში. უმიკაშვილის

გადმონერლი ეს ტექსტი განმეორებულია სხვა გამოცემებშიც. როგორც ჩანს, წერილის ეს მონაკვეთი პოლიტიკურად იმდენად სახიფათო იყო რომ პ. უმიკაშვილს არა თუ არ უცდია მისი გამოქვეყნება, არამედ შეუძლებლად ჩაუთვლია მისი გადმონერაც კი და ბარათის ეს ნაწილი დაშიფრულად ჩაუნიშნავს. ხაზების სიმოკლე-სიგრძით აღუნიშნავს სიტყვების სიმოკლე-სიგრძე; სიტყვათა ჯგუფები გაუყვია ნიშნით); ამავე დროს აღუნიშნავს სასვენი ნიშნები, (ოთხჯერ; ბოლოსი გვაქვს ! ნიშანიც). სამწუხაროდ, წერილის ეს ნაწილი დღეს უცნობია.

თხრობა გრძელდება ილიკო ორბელიანისადმი მიძღვნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსით, რომელსაც ავტორი რუსულად წაუმძღვარებს: „აი რას ფიქრობს პოეტი ილიკოს მაგივრად“ და მოყვანილია „მერანის“ მთელი ტექსტი. პოეტი მთელი გულწრფელობით ანდობს ბიძას, რომ ამ ლექსის დაწერისას ბევრი ცრემლი დაინთხა, რადგან ესაა არა თავად მისი, არამედ ილიკოს სიტყვები. ეს სტროფები განსაკუთრებით მგრძობიარე და გულახდილია, რადგან ისინი გამოძახილია იმ სასონარკვეთისა და დარდისა, რომლებიც ტატოს დაუფლებია ბიძის ტყვედ ჩავარდნის ამბის გაგებისას. სამ დღიანი ბურუსის შემდეგ კი თავისი დარდი ამ ლექსით გადმოუცია. ტატო ნატრობს, მიეცეს საშუალება თავისი ნაწერი ილიასაც მიაწვდინოს, რადგან იცის რომ მისი წაკითხვა ტყვეობაში მყოფ ილიკოს გააღიმებს და გულს მოუფონებს.

ნიკოლოზი ცდილობს დააიმედოს გრიგოლ ორბელიანი, რომ ილიას გასათავისუფლებლად სხვა ადამიანების იმედიც აქვს. სწერს, რომ მისი ძმა ზაქარია ორბელიანი სოფელ ახტაშია სინაქსაროვის ადგილზე. ნიკოლოზის მეგობარი იასე ანდრონიკაშვილიც იქ არის. იგი ელისუს პროვინციის მილიციაში მსახურობს. ზაქარია და იასე დიდ იმედებს ინერებოდნენ ილიას გამოსხნისათვის. ბარათაშვილი ვარაუდობს, რომ სანამ შამილი არსად იბრძვის და ფეხზე ძლიერად დგას, მანამდე ილიას გამოშვება ნაკლებად მოსალოდნელია.

წერილი გრძელდება მაშინდელი საქართველოს შიდა პოლიტიკური მდგომარეობის მიმოხილვით. ნიკოლოზ ბარათაშვილი, ისევე როგორც

იმდროინდელი ქართული არისტოკრატიული საზოგადოება, დიდ იმედებს ამყარებდა ჩერნიშოვისა და პოზენის საქართველოში ჩამოსვლაზე. იგი ბიძას სწერს, რომ მათი ჩამოსვლა სასიკეთოდ წაადგება ქვეყანას.

1842 წელს რუსეთის მთავრობამ მოინდომა ამიერკავკასიის მმართველობის დებულების შეცვლა და წინასწარ საქმის შესასწავლად გამოგზავნა რუსეთის სამხედრო მინისტრი, ნიკოლოზ პირველის სატრაპი ალექსანდრე ჩერნიშოვი და სტატს-სეკრეტარი მიხეილ პოზენი. პოზენი საქართველოში წელიწად-ნახევარი დარჩა. მან რევიზია გაუკეთა თბილისის სამოქალაქო დაწესებულებებს, მათ შორის დაწესებულებას, სადაც ნ. ბარათაშვილი მსახურობდა. მან „ისე მოინონა ბარათაშვილის საქმისწარმოება, რომ იმის მეოხებით ბრძანება გასცა, ქართველებს უპირატესობა მისცემოდა სამსახურში.“ (ი. მეუნარგია). ჩერნიშოვის შესახებ პეტრე დოლგორუკოვის პამფლეტები იუნყება, რომ „მრავალი უნესობა ყოფილა რუსეთში, განსაკუთრებით სამხედრო დარგში, მაგრამ ასეთი ძარცვა, რომელიც შემოვიდა ჩერნიშოვის დროიდან, ძნელი წარმოსადგენია. ჩერნიშოვი იყო უაღრესად თავხედი, შეუბრალებელი, დაუნდობელი, უცოდინარი და სასტიკი.“ (გრ. აბაშიძე, პავლე ინგოროყვა.- ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებანი. 1968; 209).

როგორც ნიკოლოზი წერილის ბოლოს იწერება, ილიას დატყვევების გამო დედამისი ეფემია ძალიან დამწუხრებულა. ბარათაშვილი დედას მოფერებით ფეფოთი მოიხსენიებს და ბიძას სწერს: „მხოლოდ ფეფოს მწუხარება გვანუხებს ყველას. ხომ იცი, ტყვეობა და სიკვდილი ჩვენს დედაკაცებს ერთი ჰგონიათ, მეტადრე ლეკის ტყვეობა.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 143).

წერილის დასრულების შემდეგ ტატოს კიდევ ახსენდება ბიძისთვის სათქმელი. იგი მაღლობას უთვლის ელიზბარ ერისთავს მოკითხვისათვის, თუმცა მწუხარებას გამოთქვამს, რომ ელიზბარის საქმე ჯერ არ გამოვიდა. ატყობინებს იმასაც, რომ ”ოცენკა“ დაუბრუნებიათ ფორმალური ხასიათის ზოგიერთი ნაკლის გამოსასწორებლად. ეს ამბავი გრიგოლის გაჭავრებას გამოიწვევს, მაგრამ ტატო

აქაც იუმორისტულად დასძენს: „მაგრამ მაგ გაჯავრებულ გულზე გთხოვ მიიღო მოკითხვა შენი მტერ-მოყვარე ქალებისაგან.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 143). მტერ-მოყვარე ქალებში უნდა იგულისხმებოდნენ ნინო ჭავჭავაძე, მანანა ორბელიანი და სხვები.

როგორც ცნობილია, 1842 წლის 20 აპრილს ეფემია თავის ძმა ზაქარია ორბელიანს სწერდა: „დღეს ამ წიგნს რომ გწერდი, გრიგოლის წიგნი მოუვიდა ტატოს. შეუტყვია ილიას დაჭერა. დიდს მწუხარებას იწერება, ასე რომ ავათაც შექმნიდა, და ხვეწნას, - ყოველივე დანვრილებით წერილით შემატყობინეთ.“ (ც.არქ., 176, გვ.157) როგორც ჩანს, სწორედ ამ უცნობი წერილის საპასუხოდ დაიწერა ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს ვრცელი წერილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის აღნიშნული ბარათი ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებს პოლიტიკურ-ისტორიული ფაქტების სიმრავლით. მასში გადმოცემულია რუსეთ-დაღესტნის ომების მრავალი ისტორიული დეტალი და ამ მოვლენებში ქართველების ჩართულობა. ბარათი უაღრესად ფასეულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკული შემოქმედების მკვლევართათვისაც, რადგან მასში გადმოცემული ინფორმაცია წარმოადგენს რომანტიკოსი პოეტის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ლექსის, „მერანის“ იდეურ ახსნას. წერილი საშუალებას აძლევს მკითხველს ჩანვდეს იმ შინაგან ემოციებსა და პათოსს, რომელიც ლექსის ლირიკულ გმირს გააჩნია.

1842 წლის ივლისის პირველი დეკადით თარიღდება გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის კიდევ ერთი წერილი. ჩვენამდე მოღწეულია ბარათის მხოლოდ ბოლო, მეორე ფურცელი. ავტოგრაფი დაკარგულია. პეტრე უმიკაშვილის მიერ გადმოღებული პირი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში. (S_4911).

წერილის ავტოგრაფის მხოლოდ ერთი გვერდი 1873 წელს გრიგოლ ორბელიანს პეტრე უმიკაშვილისათვის გადაუცია. იგი დღესდღეობით დაკარგულია

და ჩვენამდე შემორჩენილია უმიკაშვილისეული გადანაწერი. წერილის პირს თან ახლავს პეტრე უმიკაშვილის შენიშვნები. თავში: „ეს ცალკე ფურცელზე იყო ნაწერი. წელიწადი არ არის აღნიშნული. (უნდა ვკითხო გრიგოლ ორბელიანს).“ წერილის ბოლოში კი მიწერილია: „ამ ფურცელზე ნამდვილი ბარათაშვილის ნაწერია.“ (მ. ცერცვაძე, 2015: 239).

აღნიშნული წერილის ნაწყვეტი შეიცავს ბარათაშვილის ლექსის „საფლავი ივერიისა“ ტექსტსა და მის შესახებ პატარა ისტორიას: „... აი ჩემი უკანასკნელი ლექსი, რომელიც კნიაზ ბარათოვს ალბომში ჩაუწერე, მისის თხოვნით, - ისიც ამ ორ დღეს უკან მიდის პეტერბურღში ისტორიული საქართველოს შესახებ ცნობათა დიდი მარაგით.“ (მ. ცერცვაძე, 2015: 239) ბოლო წინადადება ბარათში რუსულადაა ჩართული.

მ. პ. ბარათაევი იყო ცნობილი ნუმისმატიკოსი, პოეზიის მოყვარული, მასონი, დეკაბრისტი (1825 წელს დაპატიმრებული იყო დეკაბრისტთა საქმის გამო). იგი იყო შთამომავალი მელქისედეკ ბარათაშვილისა, რომელიც 1724 წელს ემიგრანტად გადაჰყვა რუსეთში ვახტანგ მეექვსეს. 1839-1843 წლებში ბარათაევი მსახურობდა თბილისში ამიერკავკასიის საბაჟოს გამგედ. აქ იგი დაუახლოვდა ნ. ბარათაშვილს, როგორც მოგვარესა და ნიჭიერ აღამიანს. ბარათაშვილმა მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევს უძღვნა ლექსი: „საფლავი მეფის ირაკლისა“ და აგრეთვე წარწერა-ლექსი „კნიაზ ბარათაევის აზარტეშაზედ:“ „ამავსებ ღვინით, აგავსებ ღვინით. შესვი? გაამოს.“

1846 წელს., როდესაც მ. ბარათაევი ჯერ კიდევ არ იცოდა პოეტის გარდაცვალება, მელიტონს სწერდა: „მეტისმეტად გამახარებდა ჩვენი საერთო საყვარელი ნიკოლოზ მელიტონის ძე, თუ იგი შეავსებდა თავისი უხვი ცოდნითა და ნიჭით თავისი მოხუცი პაპის პირველ ნაშრომს...“

პეტრე უმიკაშვილს ლექსი გადმოწერისას დედნიდან აღარ გადმოუტანია, რადგან იგი უკვე დაბეჭდილი იყო. მას მხოლოდ თავისი ბიბლიოთეკის „ცისკრის“

ნაბეჭდ ეგზემპლარში აღუნიშნავს ის განსხვავებანი, რომლებიც ნაბეჭდსა და ლექსის დედანს შორის არსებობდა. იქვეა მისი მიწერილი შენიშვნაც: „აქ ის ლექსია დაწერილი ცოტაოდენი შეცვლით, რომელიც „ცისკარში“ 1860 წ. ივლისის ნომერში 210 გვერდზე, სახელად „საფლავი მეფის ირაკლისა“, ნახე ჩემი ეგზემპლარი.“ (მ. ცერცვაძე, 2015: 239).

ლექსს მოსდევს ბიძისადმი გულწრფელი და იუმორისტული თხოვნა, რომ ნუ დაივიწყებს პოეზიას: „გრიგოლ, რა იქნება, რომ ერთი კიდევ დაანკარუნო ამდენი ხნის დადუმებული შენი სანთური. –, (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 146). ნიკოლოზ ბარათაშვილი გრძნობს, რომ სამხედრო სამსახურმა ქართულ ლიტერატურას გრიგოლ ორბელიანის სახით დიდი პოეტი მოსწყვიტა. სამხედრო ოპერაციებში აქტიურად ჩაბმულ ბიძას აღარ აქვს შემოქმედებითი საქმიანობისთვის საკმარისი დრო და პირობები, ამიტომ ბარათაშვილი ნატრობს, კიდევ ერთხელ დატკბეს ბიძის ნიჭით.

თავად გრიგოლიც გულწრფელად წუხს დიდი პოეტური ნიჭის მქონე დისწულის ბედზე: „სამწუხარო, მეტად სამწუხარო იქნება, თუ იმის ნიჭს განვითარების საშუალება არ მიეცემა, თუ მისი გონებრივი ნიჭიერება განუვითარებელი დარჩება“ - სწერს იგი ზაქარიას 1835 წლის 27 ივლისს.

კიდევ უფრო მოგვიანებით, 1843 წელს, ძმას, ილია ორბელიანს სწერს: „ჩვენი ტატო პოეტია, და პოეტის ხასიათი ხომ ვიცო, ოღონდ ყური დაუგდო, თორემ აღარ გაათავებენ. მაგისი იმედი მაქვს, რომ კარგად გატენილს წიგნებს მოიწერება მალიმალ“ (ორბელიანი, 1936, 68). მართალია, გრიგოლ ორბელიანის წერილებსა და დღიურებში მისი აზრი დისწულზე, როგორც შემოქმედზე, მისი პოეზიის ავ-კარგზე თანამედროვეობამდე არ შემონახულა, მაგრამ უდიდეს პატივისცემასა და მაღალ შეფასებას გენიოსი დისწულის პოეტური ნიჭისადმი ნათელყოფს ცალკეული მაგალითებით, რომლებიც პოეტის თანამედროვეებმა შემოგვინახეს. ამის დასამტკიცებლად ზ. ჭიჭინაძის მოგონების გახსენებაც კმარა, სადაც გრ. ორბელიანი

ნ. ბარათაშვილს რუსთაველისა და გურამიშვილის გვერდით მოიხსენიებს (მთაწმინდელი, 1885, 64).

მიუხედავად მცირე მოცულობისა, ნიკოლოზ ბარათაშვილის ზემოთ განხილული წერილი გვაძლევს გარკვეულ ინფორმაციას პოეტის ლირიკული შემოქმედების კვლევისას. ბარათის ფრაგმენტი ცხადყოფს იმასაც, რომ გრიგოლს ნიკოლოზი საკუთარი ლექსების ერთ-ერთ პირველ შემფასებლად მოიაზრებს.

საკმაოდ ვრცელია ნიკოლოზ ბარათაშვილის გრიგოლ ორბელიანისადმი 1843 წლის 21 აგვისტოს, თბილისიდან გაგზავნილი წერილი. ამ წერილის ავტოგრაფი დაკარგულია. პეტრე უმიკაშვილის მიერ ავტოგრაფიდან გადმოღებული პირი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (S_4911).

წერილი იწყება იუმორისტული მიმართვით: „საყვარელო ძმაო გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარისაო, ემირავარო, ატილლას ტახტზედ მჯდომარეო!“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 147). ეს მიმართვა ნათელს ჰტენს, ერთი მხრივ ბიძა-დისშვილის მეგობრულ ურთიერთობას, ხოლო მეორე მხრივ ნიკოლოზ ბარათაშვილის ძალიან კარგ იუმორის გრძნობას. იგი ბიძას ხუმრობით ავარიის მმართველს, ჰუნთა მეხუთე საუკუნის მეფის, ატილლას ტახტზე მჯდომარეს უწოდებს. ეს იმიტომ, რომ გრიგოლ ორბელიანი საკუთარ თავს, როდესაც ავარიის მმართველად დანიშნეს, ხუმრობით ემირ-ავარად მოიხსენიებდა. („მე ჰაქიმხან ემირ ავარ, სხვა რიგად აღარ შემიძლიან წიგნის დანყოფა“. - იხ. წერილები, ა განწერელის რედ., 1, გვ. 75).

წერილში შეინიშნება ბარათაშვილის წყენა გრიგოლ ორბელიანის მიმართ: „ჭეშმარიტად, არ ვიცი, მე ვარ დამნაშავე შენთან მიუწერლობისა, თუ არა? ვისთანაც შენგან მონწერილი წიგნი წავიკითხე, ყველასთან ხუმრობისა და ლანძღვის მეტი არა იყო რა, ჩემთან რომ ფარატინი გამოგვეგზავნა, ისიც დაპირების მეტი არა იყო რა.“

(XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 147).

ბარათაშვილი ნაწყენია, რომ ბიძამ დანაპირები არ აუსრულა. იგი უწუნებს მას შორსმჭვრეტელობის უნარს, რადგან გრიგოლი უკვე ასაკში შევიდა და იმას კი არ ჰფიქრობს, რომ თავის მემკვიდრედ ნიკოლოზი აქციოს და ცხოვრებაში გზა გაუკვალოს. ტატო გულწრფელად უამბობს გრიგოლს თავის შინაგან გულისთქმას: „ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს, და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა!“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 147).

ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიოსის ბუნება გრძნობდა, რომ ის ადგილი, სადაც ცხოვრებამ მოახვედრა, მისთვის ძალიან პატარა იყო. მის გონებას უფრო მეტი ასპარეზი სჭირდებოდა, რათა იმ ვიწრო კლდე-ღრიდან თავი დაეღწია. ტატოს სურვილი ისევ და ისევ სამხედრო სამსახურია, ამიტომ იგი ბიძას სთხოვს, დალესტნის დივიზიის უფროსთან, პავლე იაკობის ძე რენენკამფთან სამსახურში მოაწყოს. შეახსენებს იმასაც, რომ გრიგოლი სწორედ ამ პირობით წასული დალესტანში. გაკიცხვა კიდევ უფრო მწვავედება: „ვიცი, დაგავინწყდა, მაგრამ არა, არ დაგვინწყებია. ეს იმ სწეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება...“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 147). ამ გულახდილობის შემდეგ ბარათაშვილმა ისიც იცის, რომ ამისთვის ბიძა დასცინებს. დაცინვა და დიდებისაკენ სწრაფვა ხომ დამახასიათებელია მისთვის: „მე ახლავ მიტყობს გული, რომ ამ ჩემს მსურვალეს განსჯას გამიტრიზავებ: ემირობა მასხარად აიგდე, და მომავალის დიდების ფიქრს რას უზამ? სხვებრ შენ იცი. - ახლა ქალაქის ამბავს მოგწერ.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 147).

აღნიშნულმა საკითხმა სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. გრიგოლ ორბელიანის პირველი ბიოგრაფი და მეხოტბე იონა მეუნარგია წერდა: „სამწუხაროდ, გრიგოლ ორბელიანმა ვერა და ვერ მოუხერხა თავის დისწულს, დაუდევნებლობით მოუვიდა უეჭველია ეს საქმე, თორემ ისეთი მაღალი ადგილი ეჭირა, რომ ადვილად შეძლებოდა იმის შემწეობას» (მეუნარგია, 1954, 188). გრიგოლ ორბელიანს თავისი ადამიანური და ნათესაური მოვალეობის შეუსრულებლობაში ადანაშაულებს კიტა აბაშიძეც: „ასეთი დიდებული ადამიანი ისე განმორდა წუთისოფელს, რომ ვერა ჰპოვა ხვედრი მისი და ვერ მოიშორა მით კაემანი. არა თუ თავის ხვედრს, თანაგრძნობასაც ვერ პოულობდა იმ ადამიანშიც კი, რომელსაც ყველაზედ უფრო უნდა გაეგო. ეს კაცი, მისი სისხლი და ხორცი, მისი დისშვილი-გრ. ორბელიანი მყავს სახეში. ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსი თავის დღეში არ აპატიებს გრიგოლ ორბელიანს, რომ მუდმივ მუდარას და ვედრებას ნიკოლოზ ბარათაშვილისას არავითარი ყურადღება არ მიაქცია, ერთხელაც არ გაუნვდინა მეგობრულად და ნათესაურად ხელი, თორემ, ვინ იცის, უკეთეს პირობებში რომ ყოფილიყო, კიდევ რამდენი მეტი ღირსება შეეძინებოდა ამ მშვენიერ მგოსანს. . . მაგრამ რას ვამბობ. . . აქ მხოლოდ გრიგოლ ორბელიანს ეცხება ჩირქი, რადგან ადამიანური მოვალეობა ვერ შეასრულა, თორემ განა ბარათაშვილს ეჭირვებოდა კიდევ პოეტური ღირსება“ (აბაშიძე, 1970, 142-143).

ერთი შეხედვით, გრიგოლ ორბელიანი არ ეხმარება საყვარელ დისშვილს, არ იზიარებს მის ოცნებებს და გულთან არ მიაქვს მისი გასაჭირი. თუმცა, თუკი დეტალურად გავიხსენებთ გრ. ორბელიანის ბიოგრაფიას, აშკარა ხდება, რომ მას უბრალოდ არ შეეძლო დახმარებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილს. 1831-1845 წლებში, მაშინ როცა ნიკოლოზი მისგან დახმარებას ითხოვდა, გრიგოლ ორბელიანი არ წარმოადგენდა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ფიგურას. იგი ამ დროს ყოველგვარ სახსარს მოკლებული, უბრალო ოფიცერია და ცხადია, არ შეუძლია არც ფინანსურად და არც ავტორიტეტით დახმარება გაუწიოს საყვარელი დის, ეფემიას ოჯახს.

თავად ორბელიანთა ოჯახიც სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისს განიცდის, რასაც მონუმბს ახლობლებისადმი მიწერილი გრიგოლის წერილები. ამის მიუხედავად, არაერთხელ ვხვდებით მის ბარათებში თხოვნას ახლობლებისადმი, ეფემიას და მისი ოჯახის წევრებს გადასცენ მის მიერ გაგზავნილი გარკვეული რაოდენობის თანხა, რაც, მისი აზრით, უდავოდ დიდად წაადგება გაჭირვებულ ოჯახს. ასე გრძელდება ტატოს გარდაცვალების შემდეგაც.

გრიგოლ ორბელიანს ძალიან უყვარდა საკუთარი დის ოჯახი, რასაც მონუმბს მის მიერ ახლობლებისადმი მიწერილი ბარათები, რომლებშიც ძალზე ხშირად ახსენებს ტატოს, ეფემიას და მელიტონის სახელს. გრიგოლი ყოველთვის გულითად მოკითხვას უთვლის მათ, აბარებს ახლობლებს დაუკოცნონ ეფემია და ტატო. როდესაც ახლობლებისგან უყურადღებობას ჩივის, მას პირველ რიგში ტატოს წერილი აკლია. მოკითხვის ბარათებში აშკარად იგრძნობა ის დიდი სითბო და სიყვარული, რასაც ბიძა გრძნობდა გენიალური დისშვილის მიმართ. ასევე აშკარად ჩანს დიდი ინტერესი, ტატოს ყოფითი და შემოქმედებითი ცხოვრებისადმი და ზრუნვა მისი უკეთესი მომავლისათვის. მაშინაც, როდესაც გრიგოლ ორბელიანი უკვე არ იმყოფება საქართველოში, იგი დაინტერესებულია ტატოს განათლებით და გიმნაზიის კურსის დამთავრებისთანავე კითხულობს დისშვილის ამბავს: „რასა იქმს ტატიკო, კიდევ კოჭლობს თუ აღარა? და ან რას ჰსწავლობს? ურჩიე მელიტონს, რომ ეცადოს На казенном иждивении იმისი გაგზავნა რომელსამე უნივერსიტეტში – Жаль, очень жаль будет если его умственные способности останутся без развития. ნეტავი გაგზავნოს დერჰტსკის უნივერსიტეტში, რომელიც არის უპირველესი რუსეთში, ძალიან ადვილია ამის აღსრულება, თუკი მელიტონი ჰსთხოვს ბარონს“. (ევგენიძე, 1995, 65).

გრიგოლმა კარგად იცის მელიტონის შესაძლებლობა. მელიტონი ამ დროს მთავრობის მიერ განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირია, რომელიც მეტად დაახლოებულია მმართველ აპარატთან. აღნიშნავენ კიდევ: «თუ ვინმეს შეეძლო დიდი მონაცემების მქონე ნიკოლოზ ბარათაშვილის გზაზე დაყენება, ეს პირველ

ყოვლისა, მამამისს შეეძლო და არა რიგით ოფიცერს გრიგოლ ორბელიანს» (ევგენიძე, 1995, 65). მაგრამ, სამწუხაროდ, მელიტონმა თავისი შესაძლებლობა არათუ ოჯახისა და შვილების მომავლის კეთილმოწყობისათვის გამოიყენა, არამედ ქეიფში გაფლანგა როგორც საკუთარი, ისე მეუღლის ნამზითვი.

გრიგოლმა, სამწუხაროდ, ვერ შეძლო დახმარებოდა დისშვილს... როგორც ვარაუდობენ „გრიგოლს დაგვიანებია საქმის მოგვარება, ან შეიძლება კიდევ დაღესტნის მიუვალ მთებში, სამხედრო უწყებაში კოჭლი მოხელის მუშაობა გერმანული წყობის რენენკამფს არ აწყობდა“... (ევგენიძე, 1995, 66).

წერილში გადმოცემული ასეთი მწვავე კრიტიკის შემდეგ ბარათაშვილი ბიძას ქალაქის ამბებს მოუთხრობს. თბილისში შაჰის ელჩი ბაბა-ხანის (ფათალი-შაჰის) მემკვიდრის აბას მირზას სტატუს-სეკრეტარი მირზა-სალი ჩამოსულა. მას ბარათაშვილი ახასიათებს, როგორც ევროპული ენების მცოდნე, განვითარებულ კაცს. მთავარმართებელი მირზა-სალის პატივსაცემად, თურმე, ბალის გამართვას აპირებს. ტატო ბიძას ატყობინებს, რომ ამ ბალზე ის ქალები, რომლებიც გრიგოლს აინტერესებს, არ იქნებიან. როგორც ჩანს, ეს ამბავი გრიგოლისთვის ერთობ სასიამოვნოა. მაგრამ აბა მირზა-სალის ნაცვლად რუსი გრაფი „ჩიჩერონე“, (იგულისხმება მიხეილ ვორონცოვი) იყოს, ისინი მაშინვე მობრძანდებოდნენ ბალზე. ეს ბოლო იუმორისტული ფრაზა ბარათაშვილს წერილში რუსულად აქვს ჩართული.

ლევან მელიქიშვილი ქუთაისში გაუგზავნიათ დავალებით. ტატო მასზე წერს: „ჩვენი ლევან ქუთაისში გააგდეს პორუჩენით. - მე და შენში დარჩეს (ისე კი არა, ბალკანას რომ ხომალდი დაეღუპა).“ (მ. ცერცვაძე, 2015: 116). ბალკანა ალექსანდრე ორბელიანის ზედმეტსახელი იყო. ლევან მელიქიშვილი კი - ნიკოლოზ ბარათაშვილის გიმნაზიის ამხანაგი, ნათესავი და ახლო მეგობარი.

გრიგოლ წერეთელი მილიციაში დაუნიშნავთ. იგი თურმე ინაზებოდა, არ უნდოდა ამ თანამდებობის მიღება, მაგრამ მთავარმართებელს ლევანი გაუგზავნია

და თან გზის ხარჯად ასი ოქრო მიუცია. წერეთელსაც ეს ნდომებია და უარი აღარ უთქვამს. ტატო ბიძას სწერს იმასაც, რომ ლევანზე მიწერილი გრიგოლ ორბელიანის წერილი თვითონ გაუხსნია და ბევრიც უცინია.

ილიამ პორუჩიკობა მიიღო, ას თუმნამდე ჯამაგირი ექნება და არმიაშიცაა წარდგენილი, მაგრამ „ამისი საქმე თავში ბოსტანია, გულში სიყვარული, დაიჭერე, ხუმრობა არ გეგონოს.“ - სწერს ბარათაშვილი. 1843 წლის 28 მარტს გრიგოლ ორბელიანი თბილისიდან სწერდა ზმას ზაქარიას: „ილია დიდს ყოფაშია. ოთხმოცის დღის ბოსტანს აკეთებინებს...“ ამ სამეურნეო წამონწყებაში ილიამ საკმაოდ იზარალა. სწორედ ამ ამბავს აშარუებს ბარათაშვილი. რაც შეეხება ილიას „სიყვარულს“, უკანასკნელი კვლევების მიხედვით დადგენილია, რომ იგი ეტრფობა კაპიტან გედეონ ბუჭყიაშვილის დას, რომელზეც დანიშნულიც ყოფილა. (იხ. მ. ცერცვაძე. ნ. ბარათაშვილის პირადი წერილები. 129-130).

გრიგოლ ორბელიანის ოჯახი თურმე გრიგოლს საჩუქარს უმზადებდა: „ბუმაჟნიკს“ და ქედს. კნიაზი ალექსანდრე ჭავჭავაძე და მისი მეუღლე სალომე ორბელიანი მარტყოფში ყოფილან ჯვარობაზე. მათ თან ახლდნენ სავარსამიძის (ჭარ-ბელაქნის გამგებელი, გენ.-მაიორი ლეონტი სავარსამიძე) ცოლი სიდონია სავარსამიძისა, სივრიჩის ცოლი (ორბელიანთა ქალიშვილი) და ბეზაკის ცოლი სოფიო.

სოფიო ორბელიანი აკვნიდანვე გრიგოლ ორბელიანის დანიშნული იყო, მაგრამ ამიერკავკასიის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრს ნიკოლოზ ბეზაკს მიათხოვეს. როგორც ჩანს, გრიგოლ ორბელიანი კვლავაც არ იყო გულგრილი ამ ქალის მიმართ, რის გამოც ბარათაშვილი ხუმრობით და საკმაოდ დაწვრილებით უყვება მის ამბავს. სოფიო მუხრავანიდან გადმოსულა. იქ მთელი ზაფხული უქმროდ გაუტარებია. ტატო ბიძას ეხუმრება: „არ გინდა, რომ ერთს საათს მაგ მთებში გამომძვრალიყავ და მუხრავანში, იმის ოთახში, შუალამისას დაბადებულიყავ?“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 148). საკმაოდ დაწვრილებით ყვება ტატო იმასაც, ეტლში ვინ სად იჯდა: “ იქიდგან

კალასკაში კნიაზი და სივრიჩის ცოლი ერთად ისხდნენ წინ, და კნენა და სავარსამიძის ცოლი ერთად უკან.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 148). როგორც ჩანს, ამ თემის ირგვლივ ყოველი დეტალი გრიგოლ ორბელიანისთვის საინტერესო უნდა ყოფილიყო.

ამის შემდეგ ტატო ბიძას სამწუხარო ამბავსაც შეატყობინებს. მამა ეგნატი (ეგნატე იოსელიანი, პლატონ იოსელიანის მამა) ერთი თვეა გარდაცვლილა. ბარათაშვილი ახდენს ალექსანდრე პუშკინის ლექსის პერიფრაზირებას პოემა „ბორის გოდუნოვის“ მონოლოგიდან და მამა ეგნატის შესახებ რუსულად წერს: „აი ადამიანი, რომელიც თავისი მდგომარეობით საზოგადოებაში ყველაზე მეტად იტანჯებოდა. წარსული მიდიოდა მის წინაშე და ლელავდა, როგორც ზღვა - ოკეანე.“ (მ. ცერცვაძე, 2015: 217).

თავისი სამსახურის შესახებ ბარათაშვილს ლერმონტოვის ლექსი ახსენდება, რითაც გამოხატავს სამსახურში მის უინტერესო ყოფასა და მოწყენილობას.

ამის შემდეგ წერილში ჩართულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „სულო ბოროტო.“ პოეტი ამით ასრულებს ბარათს და ბიძას ჰპირდება, რომ როცა მეტი დრო ექნება უფრო დანვრილებით უამბობს ყველაფერს. ახლა კი სიჩქარეში მეტი აღარ ახსენდება.

წერილი იუმორით მთავრდება: „სირცხვილია რომ მაგ საშინელებებში პოეზიამ არ გაიღვიძოს, და თუ ემირს ლექსის წერა აღარ ეკადრება, ავარიის ისტორია და სტატისტიკა მაინც უბრძანე, რომ დანერონ.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 149).

წერილის პირველი გვერდის არშიაზე მინწერილია: „მამამ, ფეფომ, კატომ, ბაბალემ, ნინუცამ და აპლიპუტილამ მოგიკითხეს. – არ გებრალეხა, რომ მაია ქვეშაგებად ჩავარდა! – გიორგი ზაქათალას გაგზავნეს ბატალიონის კამანდერზედ გამოსაძიებლად და ბატალიონსაც პირველს ამას აძლევენ“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 149).

ჩანს, ნიკოლოზს მოგვიანებით გახსენებია გრიგოლზე მოკითხვების გადაცემა. ტატოს მშობლებს ნიკოლოზსა და ეფემიას შეუთვლიათ გრიგოლისთვის მოკითხვა. ნიკოლოზი დედას მოთვერებით აქაც ფეფოთი მოიხსენიებს. საყვარელ ბიძას მოკითხვას უთვლიან ნიკოლოზის დებიც: კატო (ეკატერინე), ბაბალე (ბარბარე), ნინუცა (ნინო) და აპლიპუტა. აპლიპუტა პოეტის ყველაზე უმცროსი დის სოფიოს საალერსო სახელია. ამ წერილის დაწერის დროს ის მხოლოდ 2 წლის იყო.

გამდელი მათა ქვეშაგებად ჩავარდაო წერს ბარათაშვილი ბიძას. პოეტის მამიდაშვილი, გიორგი საგინაშვილი კი ზაქათალაში გაუგზავნიათ ბატალიონის კამანდერზედ გამოსაძიებლად.

ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილის აღნიშნული წერილი ხაზს უსვამს რომანტიკოსი პოეტის იუმორის გრძნობას. გრიგოლ ორბელიანთან ნიკოლოზი ყოველთვის ძალიან ლაღი და ხალისიანია. მართალია, იგი ხშირად საყვედურობს ბიძას და ნაწყენია, რომ მან კარიერულ წინსვლაში არ დაეხმარა, მაგრამ ნიკოლოზს წყენა მალევე ავიწყდება და ისევ ისეთ ენაწყლიან, ხუმარა პიროვნებად იქცევა.

წერილი საყურადღებოა პოეტის ლირიკული მემკვიდრეობის შესასწავლადაც, რადგან მასში ბარათაშვილს ჩართული აქვს თავისი ლექსი: „სულო ბოროტო.“ მართალია, აქ არ გვაქვს არანაირი ახსნა ლექსის დაწერის ისტორიის ან ავტორის შინაგანი განცდებისა, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ ტატო ბიძისადმი გაგზავნილ ამ წერილსაც არ ტოვებს საკუთარი ახალი ლექსის ჩართვის გარეშე, უკვე მოწმობს ბიძა-დისშვილის განსაკუთრებულ სულიერ სიახლოვეს.

1844 წლის 23 მაისით თარიღდება გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ჩვენამდე შემონახული ბოლო წერილი. იგი ავტოგრაფის მიხედვით 1885 წლის გაზეთ „დროების“ 144-ე ნომერში გამოაქვეყნა იონა მეუნარგიამ. ბარათაშვილის გამოცემებში წერილი სწორედ ამ პუბლიკაციაზე

დაყრდნობითაა შესული. სად ინახება ავტოგრაფი ამჟამად უცნობია. აღსანიშნავია ისიც, რომ წერილში მოხსენიებული პირები „დროებაში“ დაბეჭდილ ტექსტში მთელ რიგ შემთხვევებში ინიციალებით ან შემოკლებებითაა აღნიშნული.

წერილი იწყება ერთგვარი ირონიული ტონით. გულთბილი მიმართვის შემდეგ ტატო ბიძას ბოდიშს უხდის ამდენი ხნის მანძილზე ვერ მიწერისთვის, მაგრამ ამ დაგვიანების მიზეზი კი ირონიულადაა ახსნილი: „სიზარმაცეში, ანუ უნდობლობაში ნუ ჩამომართმევ ამდენს ხანს წიგნის მოუნერლობას. - დრო არა მქონდა. შენ გაიცინებ, რასაკვირველია, იტყვი: შენ, ჭიანჭველავე, რა საქმე გაქვსო? კიდევ ამისთვის არა მცალიან, რომ ჭიანჭველა ვარ, ყოველთვის ჩემზედ მეტი და დიდი უნდა ავიკიდო. - ესეც კი არის მიზეზი, რომ რა მოგწერო? დედაკაცები ისევ ისინი, ჩვენი ყმანვილები და ხახვების ფრანტები სულ შამილის დასაჭერად წამოვიდნენ, ქალაქი მე დამრჩა. მოუსვი, ბიჭო! ამისთანა ფართე ოკეანე არც ერთს ხომალდს არ შეხვედრია.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 155). ბარათაშვილი გულგატეხილია და თავის თავს ჭიანჭველად მოიხსენიებს. მას არ მოსწონს თავისი სამსახური. ქალაქის ყველა ყმანვილი შამილთან საომრად და ბრძოლაში თავის გამოსაჩინად წასულა, თვითონ კი ჯარისკაცობას ვერა და ვერ ეღირსა. ტატო საკუთარ თავზე ხუმრობს, რომ მთელი ქალაქის ქალები მას დარჩა.

ამის შემდეგ ნიკოლოზი ქალაქის ამბების თხრობას იწყებს და ბიძას საწყენ ამბავს ატყობინებს. ქეთევანი ყაზბეგის ცოლი ჭკუაზე შემცდარა და მგონი დიდხანს ვეღარ იცოცხლებსო, ვარაუდობს ბარათაშვილი. პოეტის და კატო, რევაზ ერისთავზე დაუნიშნავთ. ამ ამბის შესახებ ტატო ერთ რუსულ გამოთქმას დასძენს: „საბედოს ცხენითაც ვერ აუვლი გვერდს.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 156). ქორწილი ექვსი კვირის შემდეგ, 29 ივნისს, პეტრე-ჰავლობას დაუნიშნავთ. წერს, რომ ზაქარია ორბელიანმა და გიორგი საგინაშვილმა საქორწილო საჩუქარი უკვე გამოგზავნეს. ზაქარიამ მოიწერა ახლა გრიგოლის ჯერიაო. კატოს კი შემოუთვლია: „ახლა შენ იციო, ეგეც

დიდ-კაცობა, ესეც შემთხვევა გამოდგომისაო, თუმცა კი სულ ერთია, თუნდ შენსა ჯიბეში და თუნდ ჩემს ჯიბეშიო. – „თავად ნიკოლოზი კი იუმორით დასძენს: „მე კი ეს ვიცი, რომ ერისთიანთ რძალთან არა დაგვეკარგება-რ, კარგს ქიზგას გვაჩუქებენ. – მაინც საჭიროა. – ორმოც წელიწადს იქით ცოლი აღარ ვარგა.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 156).

როგორც ჩანს, ბარათაშვილი თავის წერილთან ერთად გრიგოლს ელისუს მმართველის, დანიელ სულთანის წერილებსაც უგზავნის, რომელთა შესახებაც წერს: „ეს წიგნები სულთანს გამოეგზავნა შენთან. რასაკვირველია, რიცხვზედ შეატყობ, რომ დიდი ხნისაა. ამაში კი ჩემი უზრუნველობაა მიზეზი, მაგრამ უფრო გულმაფინცობა; ვერა დროს ვერ დავეჩვიე, რომ სამშაბათობით მოდიოდა შენთან ფოჩტა.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 156).

შემდეგ აბზაცში ბარათაშვილი სამხედრო მოსამსახურეებს აშარუებს და წერს: „ვე ბატონი ქართველთ სარდლები რომ წამობრძანდნენ, ყაფლან მაგათზედ იცინის; ასე ამბობს, სულ ჩამომავლობით ჭირვეულნი არიანო.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 156).

წერილის შემდეგი ნაწილი ქალაქის ჭორებს ეთმობა. ნიკოლოზი ბიძას ეხუმრება, ნინო ჭავჭავაძე 9 ივნისს ოდესაში მიდის და შენ მანდ გაჯავრდიო. ამით ბარათაშვილი წერას ამთავრებს და მომავალში უფრო ამბებით „გატენილ წიგნს“ გამოგიგზავნიო ჰპირდება. დამშვიდობებისა და თარიღის შემდეგ კი მოკითხვებს მიანწერს: „ფეფომ და მაშომ მოგიკითხეს; ამათ შენი ხანობა არად ეპიტნავებათ; გამდიდრდი თუ არაო? ესენი ამას მკითხავენ. – შენ მაგივრად მე ვეტყვი, ვაი შენს მტერსა-მეთქი.“ გრიგოლი პოეტის დედასა და მამიდას, ეფემიასა და მარიამ ბარათაშვილს მოუკითხავთ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის აღნიშნული წერილი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თავისი მწვავე ირონიული იუმორით. ბარათაშვილი აბუჩად

იგდებს მის ნაცნობ სამხედრო მოსამსახურეებს და ყველაზე მეტად საკუთარ თავს, რადგან ყველა საომრად და სახელის მოსახვეჭად წასულა, თვითონ კი ქალაქში ქალებთან ერთადაა დარჩენილი.

მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილები

ნიკოლოზ ბარათაშვილის ოთხი წერილი გაგზავნილია მაიკო ორბელიანის მისამართით. მარიამ ქაიხოსროს ასული ორბელიანი (1816-1849) მაშინდელ საზოგადოებაში სილამაზით განთქმული ქალი ყოფილა. მამამისი ქაიხოსრო ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილის დედის, ეფემია ორბელიანის ბიძაშვილი იყო. ალბათ, ამ ნათესაურმა კავშირმაც იმოქმედა იმაზე, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი და მაიკო ორბელიანი ყრმობიდანვე მეგობრობდნენ. ამ ლამაზ და ჭკვიან ქალს ნ. ბარათაშვილი თავის ინტიმურ გრძნობებს უზიარებდა და თავისი პოეტური შემოქმედების კურსშიც შეჰყავდა ხოლმე.

მაიკოს ჰყავდა უფროსი ძმა მიხაკო, რომელიც პოეტი და ეპიგრამისტი იყო. მიხაკო ორბელიანს ნიკოლოზ ბარათაშვილი ახსენებს 1845 წლის 9 თებერვლით დათარიღებულ მაიკოსადმი მიწერილ წერილში. როგორც წერილი ცხადყოფს, ტატო მიხაკოსთანაც მეგობრობდა.

მაიკო ორბელიანს ჰყავდა საქმრო – თავადი ლევან მელიქიშვილი. მაიკო იყო ლევან მელიქიშვილის დანიშნული. ლევანი თბილისელი, ხელმოკლე ქართველი თავადის ოჯახის შვილი იყო. იგი დაიბადა 1817 წელს. მელიქიშვილი

ნიკოლოზ ბარათაშვილის თანაკლასელი და მეგობარიც გახლდათ. სწორედ ის უწევდა დახმარებას ბარათაშვილს და სამსახურშიც მოაწყო ნახჭევანში. უდროოდ დაღუპულ პოეტს მან მიუჩინა საბოლოო განსასვენებელი. ლევანს ყმანვილობიდანვე უყვარდა ულამაზესი მაიკო ორბელიანი, მაგრამ გაჭირვების გამო ვერ მოხერხდა შეყვარებული წყვილის დაქორწინება. ლევანმა სამხედრო კარიერა აირჩია და დიდ თანამდებობასაც მიაღწია. ელისაბედ ელიშბარის ასულ ერისთავის მოგონებებში მინიშნებულია, რომ ლევან მელიქიშვილი, მიუხედავად დიდი თავადიშვილობისა, ღარიბი იყო და ოცნებობდა მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობისთვის მიეღწია.

ნიკოლოზ ბარათაშვილი მთელი ცხოვრების მანძილზე მეგობრობა მაიკო ორბელიანთან. ბარათაშვილის წერილები ცხადყოფს იმ დიდ სულიერ სიახლოვეს, რომელიც ამ ორ პიროვნებას შორის არსებობდა. იგი დაწვრილებით მოუთხრობს მეგობარს საკუთარ სულიერ ობლობას, შინაგან განცდებსა და იმ ტკივილებს, რომლების პოეტის ლექსებშიც მუღავნდება. სწორედ მაიკო ორბელიანია ნიკოლოზ ბარათაშვილის ბევრი ლექსის პირველი შემფასებელიც. თავის ნაწარმოებებს ნიკოლოზი ხშირად პირველი სწორედ ამ ქალბატონს უგზავნის და მისგან შეფასებასაც ელოდება.

მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ არც ერთ წერილში არ არის ჩართული რუსული ფრაზა ან სიტყვა. როგორც ჩანს, რუსული უფრო გავრცელებული საკომუნიკაციო ენა გახლდათ სამხედრო ან სამოქალაქო სამსახურში მყოფი პირებისთვის, ბავშვობის მეგობრებს შორის კი ურთიერთობის ენა ყოველთვის ქართულია.

კიდევ ერთი ნიუანსი, რომლითაც მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი ბარათაშვილის წერილები იქცევა ყურადღებას, ეს იუმორია. მართალია, ნიკოლოზის ძალიან კარგ იუმორის გრძნობას ცხადყოფს სხვა პიროვნებებზე მიწერილი ბარათების, მაგრამ გულითად მეგობართან იგი მაინც განსაკუთრებული გახსნილობითა და ენამახვილი იუმორით გამოირჩევა.

ჩვენამდე შემორჩენილი მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი პირველი წერილი თარიღდება 1842 წლის 31 ოქტომბრით, ხოლო ბოლო - 1845 წლის 10 აგვისტოთი. მაგრამ გარდა ამ ოთხი წერილისა, მაიკო ადრესატია 1841 წლით დათარიღებული ბარათაშვილის ლექსების მიძღვნისა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში თავდაპირველად ერთ-ერთ წერილად მიიჩნეოდა, თუმცა თანამედროვე მკვლევრები მას წერილებში აღარ განიხილავენ. მასში შედის ხუთი ლექსი: 1840 წელს დაწერილი „სატროფო, მახსოვს,“ 1841 წელს დაწერილი „არ უკიჟინო, სატროფო“ და „ვპოვე ტაძარი,“ 1842 წელს დაწერილი „სუმბული და მწირის“ პირველი ვარიანტი სახელწოდებით „ქილის ყვავილი და მწირი“ და 1845 წელს დაწერილი „დამქროლა ქარმან.“ ბარათაშვილის ლექსების ეს კოლექცია მაიკოს გარდაცვალების შემდეგ ილია ჭავჭავაძის დასთან, ელისაბედ საგინაშვილთან ინახებოდა. 1893 წელს ელისაბედს ის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის გადაუცია.

1842 წლის 31 ოქტომბრით თარიღდება მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი რიგით პირველი წერილი. იგი მიწერილია თბილისიდან. წერილის ავტოგრაფი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (S_2484).

დასაწყისშივე ტატო მადლობას უხდის მაიკოს, რომ პირობა შეუსრულა და „რახაელს წიგნი დასტყუა.“ რახაელ ციციშვილის ეს წერილი ნიკოლოზისთვის იასე ანდრონიკაშვილს მიუტანია და პოეტს ძალიან გახარებია, რადგან ამ ბარათს დავით ორბელიანის მეუღლე, მანანა ერისთავზე ყოფილა შეპირებული. ქალს ჰგონებია, რომ წერილი უკვე ნიკოლოზთან ინახებოდა და, როგორც ჩანს, ტატო ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა მანანასთვის წერილი რომ ვერ მიეტანა. ამ ერთი პირობის შესრულების შემდეგ ბარათაშვილი მაიკოსგან მეორე დანაპირების შესრულებასაც მოელოდა.

მანანა ნიკოლოზ ბარათაშვილის ახლო ნათესავი და მეგობარი იყო, ამიტომ პოეტის წერილებში მისი სახელი არა ერთხელ გვხვდება. მანანას ოჯახში თავს იყრიდნენ მაშინდელი ქართველი პოეტები ნ. ბარათაშვილის მეთაურობით. „მანანა

მათ გულლიად იღებდა და ახალისებდა მათ ამგვარი შრომისთვის“ (დიმ. ყიფიანი). „მანანა ორბელიანის სალონი იყო, საცა „ცისკრის“ გამოცემასა და ქართულ თეატრს მიეცა დასაწყისი“ (ლუკა ისარლიშვილი). არსებობს ცნობები, რომ რახაელ ციციშვილი ლექსებს წერდა. ალბათ, მანანას დაინტერესება რახაელის წერილით სწორედ ამ ფაქტს უნდა უკავშირდებოდეს.

ნიკოლოზი იწერება, რომ კავკასიის მთავარმართებლის ევგენი გოლოვინის მეუღლე თბილისიდან წასულა, რის გამოც ქალებს ძალიან მოუწყენიათ და ზოგჯერ ოხვრით იგონებენ ხოლმე მის სახლში გატარებულ კარგ დროს. გუშინ წინ ტასოს დღეობა იყო და ელენე ორბელიანის სახლში გადაუხდიათ. ტასო, იგივე ანასტასია ორბელიანი მანანა ორბელიანის შვილი, დედის მხრიდან პოეტის ნათესავი იყო. ტატო მაიკოს სწერს, ძალიან კარგად ვიმხიარულეთ და ბევრჯერ მოგიგონე, დიდად მინდოდა ჩვენთან ერთად ყოფილიყავიო.

შემდეგ აბზაცში ნ. ბარათაშვილი მაიკოს, როგორც გულითად მეგობარს, თავის მწუხარებას უმჟღავნებს: „მაგრამ სულ ამაოა ჩემთვის. ეს ლამეც წავიდა, ვითარცა სიზმარი. კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენს იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 144).

ის მარტოსულობა, რომელიც პოეტს თავის ლექსებში აქვს გამოთქმული, თვალნათლივ იგრძნობა ამ სიტყვებშიც. „არ დაიჭერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულეებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში!“ ნიკოლოზი იმედგაცრუებულია: ვინც მაღალი გრძნობის მქონე ეგონა, უგულო აღმოჩნდა. ვინც განვითარებული სულის მქონედ წარმოედგინა, სული საერთოდ არ აღმოაჩნდა. ვისი გონებაც ნიჭიერი ეგონა, მას განსჯის უნარიც არ აღმოაჩნდა. ვისი ცრემლიც მშვენიერი სულის სიბრალულის გამოხატულებად

ეჩვენებოდა, ცბიერების ცრემლი აღმოჩნდა. ბარათაშვილი სვამს რიტორიკულ შეკითხვას: „სად განისვენოს სულმა, სად მიიღრიკო თავი?“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 145). ნიკოლოზი წერს იმასაც, რომ ამგვარმა იმედგაცრუებამ მას შეაძლებინა სამოცი წლის მოხუცივით ცივ გონებაზე, მიუკერძოებლად განესაჯა ყველაფერი. სიბრალულს მოელის პოეტი თავისი მეგობრისგან და საკუთარი სულის ობლობას ლექსად გამოთქვამს:

„ძნელი არის მარტოობა სულისა;

მას ელტვიან სიამენი სოფლისა,

მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,

ოხვრა არის შვება უბედურისა!“

(XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 145).

საკუთარი შინაგანი ტკივილის მოთხრობის შემდეგ ტატო მაიკოს ამბავს კითხულობს. შენი ავადმყოფობის ამბავი შევიტყვეო, წერს იგი მეგობარს. ამ ავადმყოფობას კი სულიერ ტკივილს უკავშირებს და არიგებს: „თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადლიერი იყოს ამ წუთის სოფლისა - დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გნამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან!“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 145).

წერილის ბოლო ნაწილში ქალს საყვედურობს უყურადღებობას და ტრაგიკული ტონის შემდეგ ბარათს მაინც იუმორისტულად ამთავრებს: „თუ წინუცას, ანუ (რადგანაც ჯავრობენ ზოგიერთი ქალები) ანნა ივანოვნას წიგნი მისწერო, ან შენ

თითონ ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარ, დიდად ვწუხვარ, რომ აღარ გაციებს თქო.“ ილიას მალე ვნახავთო ჰპირდება და გულთბილად ემშვიდობება:

„შენი მარად ერთგული ძმა ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 145).

წერილს პირველი გვერდის არშიაზე მიწერილი აქვს თხოვნა მაიკოსადმი, თუ გლუხარიჩი (გიორგი ერისთავი) ნახო უთხარი, რომ გვესტუმროსო.

მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი პირველი წერილი გამორჩეულია ბარათაშვილის გულწრფელობითა და ადამიანურ ყოფაზე ფილოსოფიური მსჯელობით. ნიკოლოზი გულითად მეგობარს უზიარებს საკუთარ ფიქრებსა და განცდებს. თუმცა, ამ შინაგანი ტკივილის ფონზეც პოეტი არ ივინწყებს იუმორის გრძნობას.

სამი წლის შემდეგ, 1845 წლის 9 თებერვალს ნახჭევანიდან იგზავნება მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი ჩვენამდე შემონახული შემდეგი წერილი. ამ ბარათის ავტოგრაფი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (S_2484).

პირველივე სტროფებში ნიკოლოზი მადლობას უხდის მაიკოს მოკითხვისათვისა და სიყვარულისთვის. ტატო არწმუნებს მაიკოს საკუთარ გრძნობებში და დასძენს იმასაც, ჩემზე მეტად მხოლოდ ერთ ადამიანს უყვარხარო. ამ ერთში იგი მაიკოს გულის მპყრობელს, ლევან მელიქიშვილს გულისხმობს. როგორც ჩანს, მაიკო საყვედური გამოუთქვამს ბარათაშვილის ნათესავების მიმართ მათი ნიკოლოზისადმი გულცივობისა და მოუკითხველობის გამო. პოეტი ამშვიდებს მას და შეახსენებს ქართველების მეგობრული და ნათესავური გრძნობების უქონლობას. ტატო ნაწყენია, რომ ახლობლებმა დაივინწყეს და შორს წასულს აღარ კითხულობენ: „ახლა ყველანი კარგად გიცანით; აი სამი თვეა აქა ვარ და ძაღლად არავინ მახსენა; ეჰ! მაგის დარდსაც გაუძლებ“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 160).

თავისი ახალი სამსახურით ნ. ბარათაშვილი კმაყოფილია. იგი სიამაყით წერს: „აღარც მე მცალიან ვისთვისმე; ახლა მე ჩემი თავი ხელმწიფობას და საზოგადოებას შევძღვენი; სულ ხომ ყმანვილობა არ იქნება, დრო არის რიგიანის სამსახურისა; თქვენც გეყოფათ ბუზების ხოცვა.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 160).

ბარათაშვილი კვლავ უბრუნდება ახლობლებს და წერს, რომ ნანყენია ერთი ქალის ხუმრობაზე. ამ ერთ ქალში მანანა ორბელიანი იგულისხმება, რომელსაც სამშობლოდან წასულებზე უთქვამს, რომ აქ მოგვწყინდნენ და გავყარეთო. ტატო აიმედებს მაიკოს ჩვენ მხოლოდ 26 წლისანი ვართ და წინ ბევრი ნუგეში და სიამოვნება მოგველის, მაგრამ ვაი იმას ვინც უკვე 28 წლისაა და ამ სოფლიდან კარგს აღარაფერს ელოდებაო. უცნობია, ვის მიმართ აქვს დაწერილი ბარათაშვილს ეს ირონია.

ამის შემდეგ ვიგებთ, რომ ბარათაშვილს თავისი ახლობელი ქალებისთვის თხოვნა აუსრულებია და თავრიზიდან მათთვის ხუთი კრიალოსანი დაუბარებია. თუმცა, ასეთივე კრიალოსანი მანანას ქალი ტასოსთვის უკვე ჰქონია ნაჩუქარი და სანამ ნებართვას არ მოგცემთ, რომ მისნაირი კრიალოსანი გქონდეთ მანამდე არ გამოგიგზავნითო, - იწერება ნ. ბარათაშვილი და თავის აზრს „ვეფხისტყაოსნით“ ტაეპით ამტკიცებს: „რაკი ტურთა გაიაფდეს, აღარა ღირს აღარც ჩირად!“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 160).

ბარათაშვილი აღნიშნავს, რომ თბილისიდან ვინც კი წერილი მისწერა ყველა ირანელ მომღერალ ჯათარას უქებდა. ამ აზრის მიმართ ნიკოლოზის დამოკიდებულება ირონიულია. ჯათარა თან ახლდა თავრიზიდან მომავალ შაქის უკანასკნელი ხანის სელიმ-ხანის ვაჟს. ირანიდან მომავალი იგი ქ.ნახჭევანში ნ. ბარათაშვილის სადგომში ჩამოხდა. ნიკოლოზი მაიკოს ჯათარას ნახვის ამ ამბავს მოუთხრობს და თან ხუმრობით დასძენს: „რაც ჰუნარები ჰქონდა, სულ აქ დაასრულაო.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური

მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 161). მართალია, ჯათვარა საფარაზე მეტი ნაკითხია, მაგრამ მას ვერც ხმით და ვერც გარეგნობით ვერ მიედრებაო.

ტატო მეგობარს ნახტევანის ამბებსაც მოუთხრობს. ნახტევანში ერთი 18 წლის ქალის, გონჩა-ბეგუმის ლექსი გავრცელებულია. იგი ხანის ცოლია, სილამაზითა და მომხიბვლელობით სახელგანთქმული. 12 წლისა ძალით გაუთხოვებიათ, თავისი ქმარი არ უყვარს და მასთან გაშორება უნდაო - იწერება ბარათაშვილი. თავისი ბედი და გულისტკივილი გონჩა-ბეგუმს ლექსად გამოუთქვამს. ნიკოლოზს ძალიან მოსწონს ეს ლექსი და მაიკოს წერს, ამ ლექსს თავისი თარგმანით გამოგიგზავნი და სათარამ, მისი ხმა თუ იცის, იმღეროსო. ამის გარდა კიდევ ერთი ძალიან კარგი ლექსი ყოფილა, რომლის ხმა საფარამაც იცის და ჯათვარამაც, როცა შეხვდები უთხარი, მუსლიმან, „გულზე დამეცი ხანჯალი!“ იმღეროსო.

შემდეგ აბზაცში ნიკოლოზი საყვედურს უთვლის მაიკო ორბელიანის ძმას, მიხაკო ორბელიანს უკითხავობისთვის. პოეტი ხუმრობს ივანე ორბელიანზე და წერს: „ივანეს კიდევ არ დავემღერები, ამიტომ, შენის ძმის წყალობით, რაც ტვინი ჰქონდა, ისიც ყაბახზედ დააბნია!“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 161).

შედარებით სერიოზულადაა ნაწყენი ტატო მანანა ორბელიანზე, რომელიც თურმე პოეტს საერთოდ აღარ კითხულობს და მათთან მეგობრობას ოთხმოცი წლის კაცები ამჯობინა. მაგრამ ვის გულისხმობს ბარათაშვილი ამ მწვავე სატირაში, უცნობია.

ბარათაშვილი მოკითხვას უთვლის ტასოს (მანანას ქალიშვილს) და კატოს (იგულისხმება ეკატერინე ორბელიანი, რომელიც იმხანად გათხოვდა ეროვნებით რუს ნიკოლოზ ივანოვზე). კატოს შესახებ იუმორის წერს: „კატო მომიკითხე, მეტად ბევრს თურმე ლაპარაკობს! ეგ ხომ წიგნს ვერ მამწერს და: ქართული იცოდა, ისიც დავიწყების, რუსულიც ვერ უსწავლია, და რ ვიცი, რომელს ენაზედ დასწერს?“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 161).

წერილის ბოლოს ნიკოლოზი ეკითხება მაიკოს: „მაიკო, ეს რისაგან არის, რაკი შენ მაგ ქალაქში ჩამოხვალ ქართლითგან, მაშინვე ჭორაობა უნდა გაჩნდეს?“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 162). ჩანს, მაიკო ორბელიანის ქალაქში ჩასვლას მითქმა-მოთქმა მოყვება, რასაც ბარათაშვილი, როგორც ერთგული მეგობარი, განიცდის.

დამშვიდობებისას პოეტი ღმერთს სთხოვს მაიკოს ბედნიერებას და გულთბილად ემშვიდობება: „შენი მარადის ერთგული: თ. ნ. ბარათაშვილი“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 162).

წერილის პირველი გვერდის არშიაზე მიწერილია ბარათაშვილის ხელით: „აი ამ ქართულს ლექსს გიგზავნი მდაბიურულად დანწერილს, როგორღაც ფიქრში მამივიდა. - მე ვარ და ჩემი ნაბადი, იმის ხმაზედ. -“, (იგულისხმება ლექსი „მადლი შენს გამჩენს“, რომელიც უნდა ემღერათ ხალხური ლექსის_ „მე ვარ და ჩემი ნაბადის“_მელოდიაზე. (მ. ცერცვაძე, 2015: 201-204).

წერილის მეორე გვერდის არშიაზე ლევან მელიქიშვილის ხელით მიწერილია: „უფალმა ნაჩაღნიკმა მოკითხვა შემოგიტვალათ.“ საკუთარ თავს ხუმრობით უფალ ნაჩაღნიკად მოიხსენიებდა ლევან მელიქიშვილი, რომელიც ამ დროს ნახჭევანის მაზრის უფროსი იყო. (მ. ცერცვაძე, 2015: 193).

წერილის მესამე გვერდის არშიაზე მიწერილია კვლავ ლევან მელიქიშვილის ხელით: „ტატო დღე და ღამე იხვენება, თუ ღმერთი გნამს გააშვებინე ქმარიო, მე, როგორც დამჯდარი კაცი, არა ვშვრები.“ ლევან მელიქიშვილის ეს შენიშვნა გონჩა-ბეგუმს ეხება. სწორედ ამ მინაწერიდან გამომდინარე, მაიკო ორბელიანმა ბარათაშვილის ამ ქალისადმი ურთიერთობა სერიოზულ გრძნობად მიიღო. (მ. ცერცვაძე, 2015: 193).

წერილის მეოთხე გვერდის არშიაზე ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელით მიწერილია: „არა, ის რა ფერი ლაქით დაგებეჭდა შენი წიგნი; იქნება ახლა მაგ

ფერიც მოდა იყოს და, მოსწონდეს ვისმე?“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 162).

მაიკო ორბელიანზე მიწერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის აღნიშნული წერილი ძირითადად მწერლის ყოფითი ცხოვრების დეტალებს ეხება, ამიტომ იგი განსაკუთრებით საინტერესოა პოეტის ბიოგრაფებისთვის. აქ გვხვდება ის ჩვეული იუმორი, რომლითაც მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილები ხასიათდება. წერილი მნიშვნელოვანია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკული და ეპისტოლარული მემკვიდრეობის ურთიერთმიმართების საკითხის კვლევისას. ბარათში პოეტი წერს საკუთარ ახალ ლექსს და მაიკოსგან მის შეფასებას ელოდება.

1845 წლით ათარიღებენ მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ წერილს. ამ წერილს თარიღი არ აწერია. იგი ნიკოლოზ ბარათაშვილს ნახჭევანიდან აქვს მოწერილი. ბარათის ავტოგრაფი შემორჩენილია და ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (S_2484). როგორც წერილის შინაარსი ცხადყოფს, მას უძლოდა მაიკოს მოწერილი სხვა წერილი, რომელშიც იგი ბარათაშვილისა და გონჩა-ხანუმის ურთიერთობას ეხებოდა. ჩანს, მაიკოს უფიქრია, რომ ნიკოლოზი ამ ქალის მიმართ გულგრილი არ უნდა ყოფილიყო.

ამ წერილის მიმართაც სხვა წერილების მსგავსია: „საყვარელო დაო, მაიკო!“ პირველ რიგში ნიკოლოზი უხსნის მაიკოს, რომ მან არასწორად გაიგო ბარათაშვილის გონჩა-ხანუმისადმი დამოკიდებულება. მე იგი ქმართან შევარიგე კიდევო, იწერება ტატო. როგორც ჩანს, მაიკო წერილში კრიალოსნების ამბავსაც კითხულობდა. რის შესახებაც ნიკოლოზი იუწყება, ჯერ არ ჩამომსვლია და როგორც კი ჩამომივა, გამოგიგზავნიო.

თხრობა იქაური ამბებით გრძელდება. თუკი წინა წერილში ნ. ბარათაშვილს მოსწონდა და ამაცობდა თავისი სამსახურით, ახლა იქ ცხოვრება მისთვის ტანჯვისა და უსიამოვნების მეტი აღარაფერი ყოფილა. იქ მყოფი მისი მეგობარი ლევან

მელიქიშვილიც ავად გამხდარა და ტატო ხუმრობს: „ლევანიც ავად გამიხდა და თავად ბლუ იყო, უფრო დაბლუვდა სიციხისაგან“-ო. როგორც ნიკოლოზი იწერება, იქაურობა არც ლევანს მოსწონს და დღედაღამ ნეიდგარს სწყევლის აქ გაგზავნისთვის. იმ ადგილას ერთი ქართველი პოლკოვნიკი ფორსტენი ყოფილა. ისიც წამოსულა და ლევანი და ნიკოლოზი სულ მარტონი დარჩენილან. როგორც ისტორიული წყაროებითაა ცნობილი, პოლკოვნილი ფორსტენი შთამომავლობით შვედი, რუსის არმიის ოფიცერი ყოფილა. იმჟამად იგი ე. ნახჭევანის გარნიზონის საინსპექციოდ იყო ჩასული.

მაიკოს წერილზე ნიკოლოზი გულნაკლული დარჩენილა. იგი წერს: „მაიკო, რაცა გაქვს სათქმელი, რატომ არა მწერ? სულ ერთია, თუ პირად გითქვამს და თუნდ წიგნში მოგიწერია; თუ შენი ამბავია, ხომ იცი შეგინახავ საიდუმლოდ და თუ ჩემი კარგი ამბავია და რატომ არ მანუგეშებ ამ დაობლებულს გულზედ?“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 163). ჩანს, ბარათაშვილს ეჩვენება, რომ მაიკო რაღაცას არ ეუბნება და ამიტომ სთხოვს მასთან გულწრფელი იყოს.

წერილის დასასრულს ადრესატი მოკითხვას აბარებს მაიკოს ყველა იმ ადამიანთან, ვითაც ახსოვს. „ვისაც ვახსოვდე, მომიკითხე, და ვისაც არა... რაც მოუვიდეთ, მოუვიდეთ!“ პოეტი გულგატეხილია ახლობლებზე მათი უყურადღებობის გამო.

წერილის დამშვიდობებას ისევ ძალიან თბილი და სიყვარულით სავსეა: „შენი მარადის უცვალელებელი ძმა ტატო“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 163).

ნიკოლოზ ბარათაშვილის შინაგან მარტოსულობას გადმოსცემს მაიკო ორბელიანზე გაგზავნილი ზემოთ განხილული წერილი. ამ ბარათში პოეტი აღარ არის ისეთი მხიარული და ენაკვიმატი, როგორიც სხვა წერილებში. იგი თავს

მართოდ გრძნობს და გულგატეხილია, რომ ახლობლებსა და მეგობრებს აღარ ახსოვთ.

მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ჩვენამდე შემონახული ბოლო წერილი თარიღდება 1845 წლის 10 აგვისტოთი. მისი ავტოგრაფი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (S_2484). ბარათი გაგზავნილია სოფელ მურუტიდან. ეს სოფელი მდებარეობს განჯის ოლქში კიროვაბადის რაიონში, მდინარე განჯიდან 14 კილომეტრის დაშორებით. სოფელ ზურნაბადის მახლობლად. ბარათაშვილის დროს ეს სააგარაკო ადგილი ყოფილა.

ეს წერილიც საპასუხო წერილია მაიკო ორბელიანის ბარათზე, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. ტრადიციული მიმართვის, „საყვარელო დაო, მაიკო!“-ს, შემდეგ პოეტი მაიკოს წერილს პასუხობს. მაიკოს მოუწერია, დასანახავად აღარ მინდევხარო. ჩანს ბარათაშვილს იგი ლევან მელიქიშვილზე ხუმრობის გამო გაუჭავრებია და მის გაჭავრებას ახლაც აგრძელებს: „ - აი ახლაც მინდა ერთი მართალი სიტყვა ვსთქვა - და შენ კი მაშინვე გაჭავრდები; ჩემი რა ბრალია? აი, ახლა ვსთქვათ, ჩვენს ყმანვილებს რომ ჯვრები მოუვიდათ, რამ დამავინცა იმათი სახელი/ მაგრამ შენ მოიგონე, რად მოუვიდათ?.. აი, აკი გითხარ გაჭავრდები მეთქი. არა შენ რა გაჭავრებს? ეგ სწორეთ იმასა ჰგავს, რომ კაცს ღვთისწყალობა უთხრან და გაჭავრდეს; შენ რა? აგრე განითლებაკ იქნება. მანანას ეგონება, სიანჩხლით განითლდი, ივანე კი ჩაიცინებს. აბა ნახე შენვე აძლევ მიზეზს და მე კი მაბრალე, მე რა ვსთქვი? ჯვრები ტყუილად მიიღეს მეთქი იმათ... რამ დამავინცა?.. ოჰ, მამაგონდა, ილიამ, ალექსანდრე ერისთავმა და ლევანმა. ყველას მსარჩველი შენა ხარ! აბა ჩემზედ თქვას ვინმემ რამ ცუდი, თუ წამომესარჩლო?“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 164). იგულისხმება წერილის დაწერამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე ბრძოლის ველზე გამოჩენილი მამაცობისთვის ნ. ბარათაშვილის ნაცნობი რუსეთის არმიაში მომსახურე ქართველი მეომრების დაჭილდობა წმ. გიორგის IV თანრიგის ორდენებით. (მ. ცერცვაძე. 2015. 211).

წერილის შემდეგ აბზაცში ბარათაშვილი მაიკოს შერიგებას სთხოვს. თურმე, ტატოზე გასაგზავნად ქალები ხელთ-საქმეს აკეთებენ. ბარათაშვილი აქაც იუმორით წერს: „მაგრამ ვაი შენს მტერს, რაც თქვენ ვერა შეასრულოთ რა!“ „მე კი არა გთხოვთ, და თუ კი გამომიგზავნით მე ვიცი და ხელმწიფე იმპერატორმა, და თუ არა და ის თქვენ იცით და პაპუა ორჯონიკიძემ.“ –ხუმრობს პოეტი. (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 164). პაპუა ორჯონიკიძე მაშინდელი ღარიბი აზნაური, არისტოკრატიულ წრეებში ყბადაღებული პიროვნება იყო. სწორედ მას აპამპულავენ თავის წერილში ბარათაშვილი.

შემდეგ აბზაცში ტატო მეგობარს ეკითხება რისი გამოგზავნა სურს და ხუმრობით ჩამოუთვლის რისი გაგზავნა შეუძლია. თავის გარე ბიძაშვილ სოფიო (ხორეშან) კონსტანტინეს ასულ ორბელიანთან ხუმრობით აბარებს, ჩემი ზონარი რა უყო, ქმარი არ დაუშლისო. ხოლო მეორე სოფიოსთან აბარებს, თუკი ზონარს მომიქსოვს, ისიც მალე გათხოვდებაო. როგორც მკვლევარი მაია ცერცვაძე აღნიშნავს „მეორე სოფიო“ შეიძლება იყოს სოფიო იაკობის ასული ორბელიანი, სოფიო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე, ან სოფიო შალვას ასული ერისთავი. მკვლევარი დეტალურად განიხილავს თითოეულ ვერსიას და გამოთქვამს დასაბუთებულ ვარაუდს რომ, „მეორე სოფიოდ“ ნაგულისხმევი პიროვნება სოფიო იაკობის ასული ორბელიანი უნდა იყოს, თუმცა აღნიშნავს იმასაც, რომ ხელთ არსებული მასალების მიხედვით დანამდვილებით მტკიცება შეუძლებელია. (იხ. მ. ცერცვაძე. „ექვსი სოფიო - ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობისა და საახლობლო წრის შესწავლისათვის“. ჟურნალი „ამერ-იმერი“ ##3-4. 2014 წ; გვ.275-280, აგრეთვე მ. ცერცვაძე. ნ. ბარათაშვილის პირადი წერილები. 2015; გვ. 214-221);

ბარათაშვილი მოიკითხავს ნიკოლაი ივანოვს (სამხედრო-საინჟინრო უწყების ოფიცერი) და თავის ახლო ნათესავს, ნიკოლაის მეუღლე ეკატერინე ორბელიანს. აინტერესებს, ისინი ისევ ქალაქში არიან თუ თავის სახლში,

დილიჟანში წავიდნენ. წერს, რომ თვითონაც აპირებს დილიჯანში წასვლას და ეკატერინეს დასთან, თამარ ორბელიანთან სტუმრობას, რომელიც დროებით დილიჯანში ცხოვრობდა. ბარათაშვილი ვარაუდობს, რომ იგი კვლავ დასევდიანებული იქნება.

წერილის ბოლოს ნ. ბარათაშვილი ჩვეული გულთბილობით ემშვიდობება მეგობარს: „შენი მარადის ერთგული თუნდ ტატო და თუნდ ნიკოლოზ“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 164).

ამრიგად, წინა წერილისგან განსხვავებით, ეს ბარათი თითქმის მთლიანად იუმორითაა დაწერილი. ბარათაშვილი ხუმრობს წერილის ადრესატსა და თავის სხვა ახლობლებზე. ნიშანიც აღარ შეიმჩნევა იმ დიდი შინაგანი ტკივილისა, რომლითაც განმსჭვალული იყო მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი წინა ბარათი. აქ ბარათაშვილი განსაკუთრებით ლაღი და ხალისიანია.

ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილები

1844 წელს თავისი საყვარელი ბიძის, ზაქარია ორბელიანის მისამართით ნიკოლოზ ბარათაშვილს გაგზავნილი აქვს სამი წერილი. ეს წერილები იგზავნებოდა 1844 წლის აპრილის, მაისისა და აგვისტოს თვეებში.

ზაქარია დიმიტრის ძე ორბელიანი (1806-1847) პოლკოვნიკი, ნ. ბარათაშვილის ბიძა, დედის ძმა იყო. იგი გახლდათ ძმა გრიგოლ ორბელიანისა. მან თავისი სამხედრო კარიერა დაიწყო 1826 წელს და წლების განმავლობაში იბრძოლა რუსეთის არმიაში. სწორედ იმ წელს, როდესაც ნიკოლოზი მას წერილებს უგზავნის, ზაქარიამ მიიღო პოლკოვნიკის წოდება. ზაქარია ორბელიანს უყვარდა ნინო ჭავჭავაძე, რომლის ტრფობა ქორწინების შემდეგად არ განელებია. 1835 წელს მელიტონისა და ეფემიას რჩევითა და მეცადინეობით ზაქარიამ იქორწინა ანჩისხატის დეკანოზის აზნაურ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის ასულზე, ქეთევანზე.

ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის პირველი წერილი დაწერილია რუსულად, მასში მხოლოდ მცირე ნაწილია შესრულებული ქართულით. მეორე წერილი - რუსულ-ქართულად, ხოლო მესამე წერილი - ქართულად, მაგრამ მასში შესულია სამი რუსული ფრაზა. რუსულის ამგვარი მოჭარბება არცაა გასაკვირი, ვინაიდან ზაქარიასა და ნიკოლოზს თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულება ამ ენაზე უწევდათ.

წერილები ცხადყოფს, რომ ზაქარიასა და ტატოს საკმაოდ თბილი ბიძა-დისშვილური ურთიერთობა აქვთ. ნიკოლოზი ზაქარიას შინაგან სამყაროში ხედავს საკუთარი შინაგანი მარტოსულობის ანალოგს. სწორედ ამას უბიძგებია პოეტისთვის დიდი ხნის უკითხავი ბიძისთვის წერილები გაეგზავნა.

ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილი პირველი წერილი თარიღდება 1844 წლის 15 აპრილით. წერილი გაგზავნილია თბილისიდან. მისი ავტოგრაფი შემორჩენილია და ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (S_2484). ბარათი დაწერილია რუსულად, მხოლოდ მცირე ნაწილი - ქართულად.

ნიკოლოზი მიმართავს საყვარელ ბიძას: „საყვარელო ძმაო ზაქარია!“ პოეტი ჩაფიქრებული და შეწუხებულია, თუ რატომ არ წერენ ერთმანეთს წერილებს ის და მისი საყვარელი ბიძა. ზაქარია რომ ძალიან უყვარს, უდავოა. წერაც არ ეზარება, ამას მისი სამსახუროებრივი საქმიანობაც ადასტურებს. მაშ მხოლოდ ქართული დაუდევრობა ყოფილა ჩვენი ერთმანეთზე ვერ მიწერის მიზეზიო, - დაასკვნის ნ. ბარათაშვილი. თუმცა, ნამდვილ მიზეზს იქვე მიუწერს: „ესეც კი არის, რომ რა მოგწერო?“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 150).

ბარათაშვილისთვის ბიძისათვის წერილის გაგზავნის სურვილი ზაქარიას წერილს აღუძრავს, რომელშიც პოეტის ბიძა ცხოვრებისაგან დაღლაზე ჩიოდა. ამ განცდებს ბარათაშვილში სულიერი სიახლოვე და თანაგრძნობის განცდა გამოუწვევია. ტატო ბიძას მოუთხოვს საკუთარი მარტოსულობის შესახებ. ამ მცირე ხნის წინ გადატანილ საშინელ ავადმყოფობას, რომელმაც იგი კინალამ შეიწირა, მასზე განსაკუთრებული შინაგანი ზემოქმედება მოუხდენია. პოეტის სულში გაუღვიძია საკუთარი მიზნის მიუღწევლობითა და ცხოვრების ამოცებით გამოწვეულ სევდას. ამ ყველაფერს მისი სული საშინელი სიცარიელით აუვსია. ბარათაშვილი ნატრობს ჰქონდეს იმის საშუალება, რომ მიატოვოს ამ გაუმაძღარი ადამიანების შექმნილი ქვეყანა და საკუთარი სამშობლოს წარმტაც ბუნებაში განმარტოებით იცხოვროს.

ნიკოლოზი ცდილობს ჩასწვდეს ბიძის მონყენის მიზეზს და წერს: „ადამიანის სული, რომელმაც სრულ განვითარებას მიაღწია და აღასრულა საქმენი ზეგარდმო მისთვის განკუთვნილი, ბოლოს დაქანცული ეძიებს წყნარ სადგურს მყუდრო ოჯახურ ცხოვრებაში. მე რომ ვიცოდე, რომ შენ უკვე განვლე ასპარეზი, შენი მონყენილობის მიზეზს ამ ჰიპოთეზით ავხსნიდი. მაგრამ შენთვის ჯერ არ დამდგარა ცხოვრების ეს პერიოდი.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 152). ბარათაშვილის ვარაუდით, სამურის ოლქის გამგებლობა ზაქარიასთვის უკვე ჩვეულებრივ საქმედაა გამხდარა და მისი სული

ახლა რაღაც უფრო დიდ სამოღვაწეო ასპარეზს ითხოვს. ეს ასპარეზი ისევ და ისევ სამხედრო სამსახურია. პოეტის შეხედულებით, სწორედ ესაა ბიძის სევდის გასაქარვებელი ერთადერთი საშუალება და ის დიდი საქმეც, რომელიც მან უნდა შეასრულოს.

ამის შემდეგ ნ. ბარათაშვილი უკვე გადადის ახლობლების ამბების მოთხრობაზე. უამბობს ბიძას თავისი დის, კატოს რევამ ერისთავზე დანიშვნის ამბავს. იწერება, რომ კმაყოფილია სიძითა და მისი ოჯახით. რევამ ერისთავის ძმას, დავით ერისთავს ზაქარიასთვის სამაჭანკლო ქორი უთხოვია. ნიკოლოზი იმედს გამოთქვამს, რომ ბიძა თავს არ შეირცხვენს ახალ მოყვრებთან და მათ პატივს სცემს. ტატო ზაქარიას სთხოვს ეს ამბავი გიორგი საგინაშვილსაც გადასცეს. იწერება, პირადადაც მივწერდი, მაგრამ ვაი თუ ჯარების ახლანდელი მოძრაობის გამო წერილი ვერ მისვლოდაო. სხვა მხრივ კი, საჩუქრის საკითხში ბიძის არჩევანს ენდობა. ამით ბარათაშვილი ზაქარიას ემშვიდობება.

პირველი გვერდის არშიაზე მიწერილია: „შენი წერილის შემდეგ გრიგოლის წერილი მივიღე. რას მოიწერებოდა? მიეცი მას თუნდაც ავეუსტოსის ტახტი, იგი მთელ რომის იმპერიას კომიკურ ხუმრობას აქცევდა. - ხუმრობა და ხუმრობა! უთუოდ ჯერ თავისი პოდპოლკოვნიკობა არ იცის.“ (მ. ცერცვაძე, 2015: 150).

ამრიგად, ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილი ნ. ბარათაშვილის აღნიშნული წერილი საინტერესოა მასში გაშლილი ფილოსოფიური მსჯელობის თვალსაზრისით. ნიკოლოზი ბიძას უმხელს საკუთარ განცდებსა და ტკივილებს, რომლებიც მას მიზნის მიუღწევლობით დაუფლებია.

წერილში ჩანს, რომ მე-19 საუკუნის საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილი ყოფილა ძველი ქართული საქორწინო წეს-ჩვეულებები, კერძოდ კი პატარძლის გათხოვებისთვის გადახდილი სამაჭანკლო. მართალია, მას მხოლოდ სიმბოლური ხასიათი აქვს და არ არის ფულადი სახის, მაგრამ ნიკოლოზი ამ საკითხს მაინც გარკვეული სერიოზულობით ეკიდება.

ერთი თვის შემდეგ 1844 წლის 10 მაისს საყვარელ ბიძას ნ. ბარათაშვილი კიდევ ერთ წერილს უგზავნის. წერილი გაგზავნილია თბილისიდან. წინა ბარათის მსგავსად, ისიც რუსულ-ქართულადაა შესრულებული. ავტოგრაფი ინახება საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში (# - 16401).

ჩვეული მიმართვაც, - საყვარელო ძმაო, ზაქარია! - ამ წერილში რუსულად წერია. ბიძის სამხედრო წარმატებით აღტაცებული ნიკოლოზი ზაქარიას ბრწყინვალე გამარჯვებას ულოცავს. ტატოს ბიძისადმი პირველ წერილში გამოთქმული მოლოდინი გამართლებულა. როგორც იწერება, იგი ყოველთვის გრძნობდა, რომ ზაქარია ოდესმე ასეთი დიდებული და სახელმოხვეჭილი შეიქნებოდა.

შემდეგ აბზაცში ტატო ბიძას მადლობას უთვლის თოფისთვის. ეს საჩუქარი მისთვის ორმაგად ღირებულია. ერთი მხრივ იმიტომ, რომ სამურის ოლქის მმართველის საჩუქრის სახელი აქვს, ხოლო მეორე მხრივ, იგი მისთვის საყვარელი ძმის (გულისხმობს ბიძის) ნაჩუქარია.

ჩანს, ზაქარიას ნიკოლოზისთვის წერილიც გამოუგზავნია. ამ წერილის შესახებ ბარათაშვილი იუწყება, რომ იგი ჯერ არ მიუღია და მოუთმენლად ელოდება. ტატო ბიძას აცნობებს იმასაც, რომ შამილთან საბრძოლველად წამოსულან მათი ნაცნობი ყმანვილი ბიჭები: ილია ორბელიანი, ლევან მელიქიშვილი, დავით ჭავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი, ალექსანდრე (ბაბახან) (ზურაბის ძე) ერისთავი, და ზაქარია (გიორგის ძე) ერისთავი. (პიროვნებათა იდენტიფიკაციისთვის იხილეთ მ. ცერცვაძე. ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები. გვ 159-160). ისინი ქართული ჯარის სარდლები ყოფილან, მაგრამ ტატო მათ ასარუებს: „ყაფლან ხომ ასე ამბობს, რომ ესენი სულ ჩამომავლობით გიყვები არიანო.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 154).

თხრობა ოჯახის ამბებით გრძელდება. კატოს (პოეტის დის, ეკატერინე ბარათაშვილის) ქორწილი პეტრე-პავლობას დაენიშნეთო, ინერება ბარათაშვილი. პოლიტიკური ამბებიდან ატყობინებს, მოსე არღუთაშვილ-მხარგრძელის გენერალ-ადიუტანტად დანიშვნაზე ლაპარაკობენ, თუმცა ჯერ ოფიციალურად გამოცხადებული არ არისო. ბარათაშვილი კი მის შესახებ ხუმრობს: „ვინც რა უნდა ილაპარაკოს და აცა თუ ეგ მართლა მონტეკუკული არ გახდეს ამ ცოტა ხანში.-“, (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 154).

წერილის ბოლოს ტატო მოიკითხავს გიორგი საგინაშვილს. ღმერთს ზაქარიას გამარჯვებას ევედრება და ბიძას გულთბილად ემშვიდობება.

წერილის ბოლოში ჩანამატია: „მამამ, ფეფომ პირს გაკოცეს. - კატომ მოგიკითხა. ისევ შენ, თორე სხვანი ჩუსუმები არიანო.

დავით ერისთავმა, სიძის ძმამა, სამაჭანკლოში ქორი გთხოვა ზაქარიავ, ხომ იცი, ამათ მაგისტანები დიდად მიაჩნიათ. –

შენი გამარჯვება ქეთევანს აქ გადავახდევინეთ. ხომ არ დაიჯერებ და მამპანსკებს თვლა აღარ ჰქონდა. - ამისთანა წუნკმა ხანდისხან ასეც იცის.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 155).

ქეთევანი ზაქარია ორბელიანის მეუღლე იყო.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილი აღნიშნული ბარათი ძირითადად ყოფითი ცხოვრების დეტალებს ეხება, თუმცა მასში ჩანს პოეტის უდიდესი გატაცება სამხედრო საქმით. მაგრამ, ადვილად შეიძლება ამოვიცნოთ ნიკოლოზის უდიდესი შინაგანი გულის დანყვეტა, რადგან თვითონ ვერ მოახერხა ყოფილიყო სამხედრო მოსამსახურე. იგი დასცინის საომრად წასულ ახლობლებს და ამით ერთგვარად საკუთარ თავს სამხედრო კარიერაში ხელმოცარულის პოზიციას აშორებს.

საკმაოდ ვრცელია ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ჩვენამდე შემონახული ბოლო წერილი. ეს ბარათი თარიღდება 1844 წლის აგვისტოთი. ავტორი არ მიუთითებს წერილის დაწერის ადგილს. ბარათის ავტოგრაფი შენახულია საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში (# - 16402).

„უსაყვარლესო ძმაო ზაქარიავ!“ მომილოცავს პოლკოვნიკობა! - სამხედრო დანინაურებას ულოცავს საყვარელ ბიძას ნიკოლოზ ბარათაშვილი. ნიკოლოზს ბიძის პოლკოვნიკობა ჯერ მისი წერილიდან გაუგია, ხოლო მეორე დღეს გაზეთებშიც ამოუკითხავს. ტატოს ზაქარიას გენერლობის იმედიც აქვს, მაგრამ ამისთვის უთუოდ დაღესტანში სამსახურია საჭირო, შემდეგ კი იქნებ „კასპის ობლასტის ნაჩალნიკიც“ გახდეს. როგორც აღნიშნავს, წინასწარ თქმა ნიკოლოზს კარგად აქვს დაცდილი.

ამის შემდეგ ტატო დანვრილებით უამბობს ბიძას თავისი დის, ეკატერინეს ქორწილის ამბებს. ერთი თვეა კატოს ჯვარი დაწვრეთო, წერს ნიკოლოზი. კარგი ქორწილი გადაუხდიათ, კატო მეორე დღესვე წაუყვანიათ. ერთი დღე და ღამე ბარათაშვილების ოჯახი თავიანთ ნათესავთან, მდიდარ მემამულე ქაიხოსრო მუხრან-ბატონთან ყოფილა სადილად. იქიდან ახალგორში გადასულან. ბიძინა ერისთავის სოფელ ოძისს როგორც კი მიუუახლოვდით სიძის ძმა ლევან ერისთავი მოგვეგება თავადებით, აზნაურებით და იმერეთის მგალობლებითო - ატყობინებს ბიძას ნიკოლოზი. პატარძლის ოჯახს თან ხლებია: მანანა ორბელიანი და მისი ქალიშვილი ტასო, მაიკო ორბელიანი, ყათულან ორბელიანი, მაიკოს ძმა მიხეილ ორბელიანი და ერისთავების ნათესავი, სიძე-დედოფლის მეჯვარე ალექსანდრე სუმბათაშვილი. ისინი ახალგორში შებინდებისას შესულან. სასახლე და მოედანი ჭრაქებითა და მაშხალებით ყოფილა განათებული. ახალი არქიერი, კატოს დედამთილის ძმა, წულუკიძეც იქ ყოფილა და მგალობლები ჰყოლია მოყვანილი. გალაგნის კარებში დეკანოზი შეგებებიათ, შემოსილი და ჯვრით ხელში. სტუმრებს მომღერლად იმ დროის ცნობილი ირანელი მომღერალი, სათარა ჰყოლიათ

წაყვანილი. ბარათაშვილი აღფრთოვანებაში მოუყვანია ამდენი თოფის სროლას, ხალხის სიმრავლესა და მათ შეძახილებს. ამ ყველაფერს ზედ დამატებია მშვენიერი მთვარიანი ღამე და ბუნება, რასაც ერთობ საუცხოო სანახაობა შეუქმნია. ტატო წერილში ყურადღებას ამახვილებს სასახლის სიმდიდრეზეც, რომელსაც აღტაცებაში მოუყვანია ყაფლან ორბელიანი, რომელსაც სასახლეში შესვლისას ქუდი მოუხდია და რუსულად წამოუძახებია: „ფუ... - ეს სასახლეა.“ ამ წამოძახილს სტუმრებში დიდი სიცილიც გამოუწვევია.

მეორე დღეს, კატო, ჩვეულების თანახმად, ქვეშაგებში იწვა და მხოლოდ მესამე დღეს ადგა. პატარძლის მზითვეი გასინჯეს, კატოს მზითვეის სიმდიდრეს მთელს ქართლში გაუთქვამს სახელი. მეოთხე დღეს დედამთილს, მამლებს, მულებსა და რძალს კატოსთვის ნიშნები მიურთმევიათ. „კარგი ნიშნებიც იყო“ - აღნიშნავს ბარათაშვილი. არქიერი ეზოში, ჭადრების ქვეშ გაშლილ კარავში დაბანაკებულა, მას პატარძლისათვის საჩუქრად ღვთისმშობლის ოქროთი მოჭედული ხატი მიურთმევია. ამგვარ დროსტარებაში გაუტარებიათ ხუთი დღე მაყრებს. მათთან ერთად ყოფილა ნიკოლოზ ბარათაშვილის უფროსი მეგობარი მამუკა ორბელიანიც, რომელსაც მათსავით კარგი დრო უტარებია. (1845 წლის 19 ივნისიდან 9 ოქტომბრამდე ნ. ბარათაშვილი ითვლებოდა მამუკას თანაშემწედ, როგორც ელისავეტპოლის (განჯის) მაზრის უფროსისა).

ქორწილის შემდეგ მამუკა ორბელიანსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს გორში გაუგრძელებიათ გზა. ისინი ელიზბარის სასახლეში პოეტის სიძის ახლო ნათესავის, ესტატე ერისთავის შვილის ნათლობასაც დასწრებიან. იქ დახვედრიათ ელენე და მანანა ორბელიანები, რომლებიც ქორწილიდან მათზე ორი დღით ადრე წამოსულან, მოსანათლი ბავშვის ბებია - მელანია სოლომონის ასული ქობულაშვილი - სუმბათაშვილისა და სხვები. (მელანიას პიროვნების იდენტიფიკაციისათვის იხ. მ. ცერცვაძე. „ვინ არის მელანია?“ - ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების ერთი ფიგურანტის იდენტიფიკაციისათვის.“ გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. #3-4. 2018. გვ. 14-22). გორიდან

ატენში გადასულან, სტუმრებს „კნიაზი“ გიორგი იასეს ძე ერისთავი შუშურებით (წყალნარევი ღვინით) გამასპინძლებია. „ერთი ლექსით, კარგად გავატარეთ დროება, მრთელი ორი კვირა“ - კმაყოფილი წერს ბიძას ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ლხინისა და დროსტარების ამბების თხრობა ამით არ ამოიწურება. ბარათაშვილი ბიძას უამბობს, რომ ის და მამა, მელიტონ ბარათაშვილი ალევობას, ანუ მარიამობას ქსნის ხეობაში სწვევიან კატოს ოჯახს. საუცხოო ჯვარობა გამართულა. სალოცავად მანანა და ელენეც გადმოსულან. ქალები ცხენებით, სანვიმრებითა და ქოლგებით ყოფილან წამოსულნი. სალოცავად ოსური სიმღერის თანხლებით ასულან. ერთი ღამე და დღე ძალიან კარგი დრო უტარებიათ. წამოსვლის დროს მანანა გამხდარა ავად და ამას ცოტა გაუფუჭებია მათი ხასიათი.

ბარათაშვილი დიდად კმაყოფილია თავისი დის ახალი ოჯახით: „ზაქარიავ, სწორეს გულით გეტყვი, რომ კატო თავის მოსაწონს, ეხლანდელს დროში, სანატრელს ოჯახშია. - ძმების უმაგალითო თანხმობა., სიმდიდრე სახლიდან და უვალობა. - ამასთან რევამ ზედ აკვდება, ლევანისა ხომ სულია კატო, და დავით ხომ იმის ნებივრობაშია. - მე ეს მამა, რომ მტერი ვერ გაიხარე[ბ]ს. - თუ ღმერთი გვალისებს ერთად შეყრას, შენ, გრიგოლ, ილია, გიორგი, მამუკა, უნდა ვეწვივნეთ ამ შემოდგომამდე, რომ ლაზათი გავწიოთ. მართალია სანადირო არ არის ყოვლის გვარისა. -„ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 158).

თხრობა ოჯახის წევრებისა და ახლობლების ამბებით გრძელდება. გრიგოლ ორბელიანს რაღაც წერილი მოუწერია, რომელზეც ბევრი უცინიათ. იგი მანანა ორბელიანსაც წაუკითხავს. გრიგოლის წერილის გარდა, დატყვევებული ილიკოს წერილიც მოსვლიათ. ილია წერილით იტყობინება, რომ ჩერვლოვში (თერგისპირეთში) არიან, - წერს ტატო ბიძას. სწორედ იქ იყო დაბანაკებული 1844 წელს რუსის ჯარი, რომელიც დაღესტნისა და საჩაჩნოს წინააღმდეგ იბრძოლა. იმუამად ილია ორბელიანიც იქ იმყოფებოდა. ამ სამ დღეში მოელოდნენ კავკასიის მთავარმართებელ ალ. ნეიდგარდტს. ბარათაშვილი ბიძის გამხნევებას ცდილობს

და წერს, ილიას ამ თვეში აუცილებლად გამოუშვებენო. ლუარსაბ ორბელიანის მეუღლე ანნა ავად გამხდარა - ამ ამბით ასრულებს ახლობლებისა და ქალაქის ამბებს ნიკოლოზ ბარათაშვილი.

დასასრულს, პოეტი ღმერთს შესთხოვს ბიძის ბედნიერებას და გულთბილად ემშვიდობება. დამშვიდობების შემდეგ პოეტი მიაწერს: „ P.S. ზაქარიავ! ამ შენ გამოგზავნილს თოფსა თავის შესაფერი ერთი წყვილი დამბაჩაც უნდა, თვარემ ობოლსავით დარჩენილა და ამისთვის კაბინეტში ვერ გამიმართავს.-, (მ. ცერცვაძე, 2015: 173).

ტატო ჩვეული იუმორით თხოვს ბიძას ნაჩუქარ თოფს დამბაჩას მოაყოლოს. დამატებით მინაწერში ბიძას აუწყებს საეჭიმო სამმართველოს შტაბ-მკურნალის დეპნერი ივან კარლინის გარდაცვალებას. დეპნერის მეუღლე სალომე თარხნიშვილი დაქვრივებული. გარდაცვლილ მეუღლეს კი მისთვის მთელი თავისი ქონება კანონიერი აქტით უანდერძებია. წერილის ბოლოს ნიკოლოზი ბიძას მოკითხვას აბარებს გიორგი საგინაშვილთან.

წერილის პირველ გვერდზე ჩამატებულია: „მეც მომილოცავს პოლკოვნიკობა. შენი... [შემდეგ გაურკვეველია]. (მ. ცერცვაძე, 2015: 173).

წერილის მესამე გვერდზე კი ჩამატებულია: „იაკი[ნ]ტემ ამ წიგნის წერაში, ასე მითხრა: ჩემ მაგიერ მოკითხვა მისწერეო და ასე შეუთვალე, რომ ცალკე წიგნისთვის არა მცალიან, ბევრი საქმეები მაქვსო. აქ არის სასამართლოში სოცეტნიკის თანამდებობაში დროებით დანიშნული.“ (მ. ცერცვაძე, 2015: 173). იაკინთე დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის უფროსი შვილია. იგი ზაქარია ორბელიანის ცოლი ძმაა. ერთ ხანს იგი ბარათაშვილის თანამოსამსახურე, ხოლო შემდეგში მეფისნაცვლის კანცელარიის მმართველი იყო.

ამრიგად, მიუხედავად ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების რაოდენობრივი სიმცირისა, მკითხველს საშუალება აქვს თვალნათლივ დაინახოს ბიძა-დისშვილის ძალიან მეგობრული და გულღია

ურთიერთობა. როგორც პირველივე წერილში ნიკოლოზი აღნიშნავს, მათ არ უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან ხშირი მიმოწერა, მაგრამ ისინი ერთმანეთისთვის იმდენად ახლობლები არიან, რომ წერილებში არ შეიმჩნევა ურთიერთობის უხერხულობის განცდა. ბარათაშვილი, მარტივად ახერხებს ესაუბროს ბიძას საკუთარი შინაგანი განცდებისა და მუდმივი მარტოსულობის შესახებ. იგი საყვარელი ბიძის მწუხარებაში საკუთარი ტკივილის ანალოგიას ხედავს და ადვილად უზიარებს მას საკუთარ განცდებს.

გარდა აღნიშნულისა, ზაქარია ორბელიანთან ნიკოლოზ ბარათაშვილის პირველი წერილი გამოირჩევა ღრმა ფილოსოფიური მსჯელობით. როგორც ჩანს, ზაქარიას მდგომარეობას ნიკოლოზზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია და ადამიანის რაობასა და მის მნიშვნელობაზე ჩაუფიქრებია. მომდევნო წერილებში თხრობა ყოფით ცხოვრებაზე გადადის და ნიკოლოზი ბიძას ძირითადად ახლობლების ამბებს მოუთხრობს. კატოს ქორწილის ბარათაშვილისეული აღწერა იმდენად დიდი ექსპესიითა და დეტალური ხასიათით გამოირჩევა, რომ წერილების ეს მონაკვეთები გვაძლევს საკმაოდ უხვ ინფორმაციას მე-19 საუკუნეში საქართველოში შემორჩენილი საქორწილო წეს-ჩვეულებების შესახებ.

მიუხედავად ბიძა-დისშვილის უდიდესი სიყვარულისა, ნიკოლოზი ზაქარიას საკუთარი შემოქმედების შემფასებლად არ მოიაზრებს. ჩვენამდე შემორჩენილ ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილებში არ არის ჩართული ნიკოლოზ ბარათაშვილის რომელიმე ლექსი. როგორც ჩანს, საკუთარი შემოქმედების გასაზიარებლად პოეტს ადრესატთან რაღაც განსაკუთრებული სულიერი სიახლოვის ქონა სჭირდებოდა.

მიხეილ თუმანიშვილისადმი გაგზავნილი წერილი

მიხეილ თუმანიშვილი დაიბადა 1818 წლის 19 მაისს. იგი იყო პოეტი, ჟურნალისტი, ფელეტონი, თეატრალი, - თეატრის ისტორიკოსი და კრიტიკოსი. 1831 წელს მ. თუმანიშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში. ჯერ კიდევ გიმნაზიაში თუმანიშვილი რედაქტორობდა მოწაფეთა ხელნაწერ ჟურნალს „გიმნაზიის ყვავილს“ და „ანთოლოგიას“. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც „ანთოლოგიაში“, ისე „ყვავილში“ მოთავსებულია 1832 წლის შეთქმულების მონაწილე მწერალთა ნაწარმოებები (გრ. ორბელიანის, ალ. ორბელიანის, გ. ერისთავის, სოლ. დოდაშვილის და სხვათა). ამ თხზულებათა უმეტესობა აშკარა პოლიტიკურ ტენდენციას შეიცავს, რაც ნათლად მიუთითებს გიმნაზიელთა, მათ შორის მ. თუმანიშვილის, სულიერ განწყობილებაზე. ლიტერატურული წრის წევრთაგან მ. თუმანიშვილს ყველაზე ახლო კავშირი ნიკოლოზ ბარათაშვილთან ჰქონდა. ჩანს, რომ ეს ურთიერთობა სკოლის

ამხანაგთა უბრალო დამეგობრებას სცილდებოდა და ინტელექტუალური ინტერესების სფეროში გადადიოდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილს მიხეილ თუმანიშვილზე მიწერილი აქვს ერთი წერილი. იგი გავგზავნილია 1838 წლის 6 აგვისტოს, თბილისიდან. ბარათის ავტოგრაფი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (S_2484). იგი დანერილია რუსულად, რუსული სალიტერატურო ენის ნორმების სრული დაცვით. მასში გვხვდება ერთი ფრანგული სიტყვა aster. წერილში ბარათაშვილი მსჯელობს ამ სიტყვის მნიშვნელობაზე. გვაქვს მხოლოდ ოთხი ქართული ფრაზა, რომელთა რუსულად თარგმანი პოეტს, როგორც ჩანს, გაუმართლებლად მიუჩნევია.

წერილის ავტოგრაფს თავში აქვს მ. თუმანიშვილის წარწერა, აღნიშნულია წერილის მიღების თარიღი და ადგილი: „10 აგვისტო. დედოფლისწყარო“.

„საყვარელო მეგობარო“ - მიმართავს ბარათაშვილი ყრმობის მეგობარს და თხოვს, ნუ გაუჭავრდება ამდენი ხნით მიწერის დაგვიანებისთვის. ბარათაშვილის შეფასებით, თბილისი სიციხეებისგან მოსაწყენი, მტვრისაგან კი სულის შემხუთველი გამხდარა. აქ საყურადღებო არაფერია. პოეტს მხოლოდ თბილისის მშვენიერი მთვარიანი საღამოები გამოაცოცხლებს. ბარათაშვილი მეგობარს მოუთხოვს თავს გადამხდარ ერთ ამბავს: „გუშინ, ერთ-ერთ ამგვარ საღამოს, წავედი სახეტილოდ მოსკოვის საგუშაგოსკენ; უცებ სასაფლაოზე აღმოვჩნდი. უნდა გამოგიტყდე, ცოტა შევშფოთდი, როცა თვალი მოვაველე ამ უდაბურებას: ღამის 11 საათია. არც ერთი სული. ირგვლივ მარადიული სიყარაიელაა. მთვარე საფლავეებს მკრთალად ანათებს, როგორც მბუჟტავი ლამპარი მიცვალებულისა. წყნარად და ნელად მოღელავს მტკვარი, თითქოს ეშინია დაარღვიოს მყუდროება ამ მჭმუნვარე ქვეყნისა... შენ ახლა გალადებული ხარ და არ მინდა შეგამფოთო შავ-ბნელი ფიქრებით, რომელიც გამოიწვია ჩემში ამ ზეციურ-მიწიერმა სანახაობამ! გეტყვი კი, რომ მშვენიერი გამოგონებაა სასაფლაო. იგი აუცილებელიცაა, რათა მოკვდავმა მასში ხანდახან თავისი ცხოვრება ამოიკითხოს: ნუგეშისცემა უბედურისა,

ბედნიერების დასასრული!“ (მ. ცერცვაძე, 2015: 36) - ასე პოეტურად აღწერს ყველაფერს ბარათაშვილი.

ამის შემდეგ ბარათაშვილი ყოველდღიურ ამბებს ეხება. მადლობას უხდის მიხეილს წერილისათვის, რომელსაც იგი ერთობ უსიამოვნებია. ეს წერილი მას და ბიძამისს, ზაქარია ორბელიანს, ერთად წაუკითხავთ. ბარათის შესახებ ტატო წერს, რომ ეს იყო კრიტიკა, უკეთ რომ ვთქვათ, ეპისტოლე „ასტრას“ ავტორისადმი. „ასტრა“ ბარათაშვილის დაკარგული ლექსია, რომლის შესახებაც სწორედ ამ წერილის მეშვეობით ვიგებთ. ბარათაშვილი ვარაუდობს, რომ ამ კრიტიკით თუმანიშვილი მიზანს ვერ მიაღწევს და იგი მაინც ვერ გაიგებს ვინაა ეს უცნობი ასტრა. როგორც ჩანს, თუმანიშვილის წერილი აკრიტიკებდა „ასტრას“ ავტორს იმისთვის, რომ მკითხველისთვის გაუგებარია თუ ვინაა ასტრა. ბარათაშვილის აზრით, ამის გაგება არც არის საჭირო. ეს მხოლოდ ავტორმა იცის და იგი მხოლოდ ერთი ადამიანისთვის წერდა, ამიტომ მას სულაც არ სჭირდება სხვამ გაუგოს. რაც შეეხება თავად სიტყვის ეტიმოლოგიას, როგორც წერილში ირკვევა, იგი ფრანგული სიტყვიდან მომდინარეობს და ქართულად „მთიებს“ ნიშნავს.

შემდეგ აბზაცში ნიკოლოზი მეგობარს ატყობინებს: „დღეს საღამოს წყნეთში მივემგზავრები. - რატომ? იმიტომ, რომ ის იქ გახლავთ. დედამისმა მთხოვა რამდენიმე დღე მათთან გავატარო. როგორი იქნება ეს დღეები? ახ? მაშ მოკვდი, ბზ!“ - ხუმრობით აჯავრებს მიხეილს ნიკოლოზი.

როგორც წერილიდან ვიგებთ, ნ. ბარათაშვილს თავისი ლექსი „ასტრა“ მიხეილ თუმანიშვილისათვის გაუგებარია. ის ხშირად უგზავნიდა მეგობრებს თავის ახალ ლექსებს. მიხეილ თუმანიშვილს ეს ლექსი მოსწონებია „კარგი სიტყვის, კარგი სტიხის, კარგი ხმის“ გამო, მაგრამ ვერ გაუგია თუ ვის მიმართ იყო ეს ლექსი მიძღვნილი. თუმანიშვილს დაუწერია საპასუხო ლექსი „ასტრას“, რომელშიაც ბარათაშვილს მკითხველისთვის გაუგებარ მომენტებს ეკითხება.

ნიკოლოზი ჩქარობს ფოსტას მიუსწროს და ამით წერილს ამთავრებს. იგი კვლავ ხუმრობით ასრულებს: „მშვიდობით, ალაზნის ველის მეუღაბნოვე! მაუნყე ხოლმე რამე შენის ველის ქალწულისა.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 137).

წერილს ბოლოში მინაწერი აქვს: „P.S. ვერ მოვასწარი საგანგებოდ მიმწერა ვარლამოვისათვის. თუ შეხვდები, უთხარი, რომ მისი საქმე ისე მოგვარდა, როგორც თავად სურდა და წარდგენილია ჩინზე. ახლა მაინც შეურიგდეს ქვეყანას.“ ვარლამოვში იგულისხმება გარსევან სტეფანეს ძე ვარლამაშვილი, პოეტის ამხანაგი სკოლიდან, შემდეგ კი მისი თანამოსამსახურე „სამართლისა და განჩინების ექსპედიციაში“. პოეზიის მოყვარული. მონათვეობაში ვარჯიშობდა პუშკინის „ევგენი ონეგინის“ თარგმნაში.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენამდე შემორჩენილია ნიკოლოზ ბარათაშვილის მიხეილ თუმანიშვილისადმი მიწერილი ერთადერთი წერილი, ამ ბარათშიც კი გარკვევით იკითხება ამ ორი ადამიანის უდიდესი მეგობრობა. წერილის ტონი იუმორისტული და ახლობლურია, ნიკოლოზი მეგობარს უზიარებს საკუთარ ლექსსაც, რაც მათ განსაკუთრებულ ურთიერთობას უსვამს ხაზს.

ბაბაღე და ალექსანდრე საგინაშვილებისადმი გაგზავნილი წერილები

1845 წლის 23 აგვისტოთი თარიღდება ნიკოლოზ ბარათაშვილის ქრონოლოგიურად ბოლო ორი წერილი. ერთი მათგანი გაგზავნილია ბაბაღე საგინაშვილისადმი, ხოლო მეორე - ბაბაღეს ქმრის, ალექსანდრე საგინაშვილისადმი. ბარათები იგზავნება მურუტიდან. თარიღი მითითებული არ არის. ფურცლის ერთ მხარეს დაწერილია ბაბაღე საგინაშვილისადმი განკუთვნილი წერილი, ხოლო ფურცლის მეორე მხარეს ბარათაშვილი

ალექსანდრე საგინაშვილისთვის წერს წერილს. ორივე მათგანი 1837 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ #3/25 ავტოგრაფის მიხედვით გამოაქვეყნა გრიგოლ აბაშიძემ. სად ინახება ამჟამად ავტოგრაფები, უცნობია.

ბარბარე (ბაბალე) სამარაგლონ ორბელიანის ასული საგინაშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილის დედის ბიძაშვილი იყო. ბაბალე ევროპულად განათლებული ქალი ყოფილა, დაინტერესებული მწერლობით. პოეტის სიკვდილის შემდეგ სწორედ მასთან ინახებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სურათი, ლექსები და მისი ლეიზევის ტრაგედიის „იულიუს ტარენტელის“ ბარათაშვილისეული თარგმანი.

ბაბალე ორბელიანი იყო პოეტ გიორგი ერისთავის გატაცების საგანი. სწორედ მას ეძღვნება ერისთავის ლექსი „კ. ბაბ. ორბე[ლ]“ და კომედია-პოემა „შეშლილი.“ წყვილს ერთმანეთი ჰყვარებია და ისინი დანიშნულებიყ ყოფილან, თუმცა, მშობელთა წინააღმდეგობის გამო, მათი შეუღლების ამბავი ჩაშლილა. 1839 წელს ბარბარე ცოლად გაყვა ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილს, ალექსანდრე საგინაშვილს.

ბარათის დასაწყისშივე პოეტს თავის მართლება უწევს დიდი ხნით წერილის ვერ მიწერის გამო. როგორც ჩანს, ბაბალეს ნიკოლოზზე წერილი გაუგზავნია, რომელშიც იგი მას ბორჯომიდან ჩამოსვლის ამბავს ატყობინებდა და თან ნათესავების დაინწყებას საყვედურობდა. ნიკოლოზი თავს სწორედ იმით იმართლებს, რომ თუკი ბარბარე ისედაც შინ არ იყო, წერილი ვისთვისღა უნდა გაეგზავნა. პოეტი მეგობრულად ეხუმრება ნათესავს: „ნუ ხარ აყვია, სულ მაგას გიშლი და არ იქნა, ვერ დაგაშლევინე. აბა, ვისთვის მომიწერია წიგნი, რაც წამოვსულვარ? თქვენმა მზემ, თქვენ რომ ნათესავები მყევხართ! განა არა, მომაგონდებით!“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 165).

თავის მართლების შემდეგ ნიკოლოზი იქით საყვედურობს ქალს მოკლე წერილებისთვის. სამშობლოდან გადახვეწილი პოეტი ბაბალეს სთხოვს მოუყვეს თბილისის ჭორებს. მართალია, ბაბალეს ჭორები არ უყვარს, მაგრამ ტატო იხვეწება, ჩემი ხათრით მაინც მოისმინე და მომწერეო. როგორც ბარათაშვილი წერს, სამშობლოდან იმ უდაბურ ადგილას გადახვეწილისთვის ერთადერთი ნუგეში ახლობელის წერილები და მათი ამბის გაგებაა.

შემდეგ აბზაცში ტატო იქაური ამბების თხრობას იწყებს. თუმცა, მოსაყოლი ბევრი არც არაფერია. ნიკოლოზი ხუმრობს ვილაც იქაური ქალის ბარბარეს შესახებ: „აქაური პირველი ფრანტისა ჯორაკის ქალი ბარბარე ბრძანდება. - ამით წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა; თუ ღმერთ არ შემენია, გავსულელდები ამდენს თარაქამებში.-“, (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 165). თუ ვის გულისხმობს ბარათაშვილი ჯორაკსა და მის ქალ ბარბარეში, მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობის საგანია. აკ. განწერელიას აზრით, ესენი შეიძლება იყვნენ დავით ჯორჯაძე და მისი ქალი ბარბარე. (ნიკოლოზ ბარათაშვილი. თხზულებანი. აკ. განწერელიას და ი. ლოლაშვილის რედაქციით. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1972 წ. გვ 230). გიორგი ლეონიძის აზრით, ეს ბარბარე ზაქარია ჯორჯაძის მეუღლე, პოეტი ბარბარე ჯორჯაძეა. (ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებანი. გ. ლეონიძის კომენტარებით. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. თბილისი. 1954. გვ. 145). ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის თანამედროვე მკვლევარი მაია ცერცვაძე კი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მასალისა და არგუმენტების სიმცირის გამო, ვარაუდის გამოთქმისაგან თავს იკავებს და საჭიროდ მიიჩნევს შემდგომში უფრო სიღრმისეულ კვლევას. (მ. ცერცვაძე, 2015: 229).

წერილის შემდგომ ნაწილში ნიკოლოზი კიდევ ერთხელ სთხოვს ბაბალეს იქაური ამბებით სავსე ბარათების მიწერას და მოუთხოვს დილიუჟანში თამარ ორბელიანთან სტუმრობის ამბავს. „პრინცს მოველოდი დატეხილს ხიდზე, აღარ მოვიდა და იქ შევბრუნდი.“ - წერს იგი ბაბალეს. გატეხილი ხილი ეწოდებოდა

ისტორიულ ხიდს სამხრეთ ქართლში მდინარე ხრამზე, ხრამის მტკვართან შესართავის ზონაში (შემდეგ ამ ხიდს დაერქვა „წითელი ხიდი“). სწორედ აქ ელოდებოდა თურმე ნიკოლოზ ბარათაშვილი დედოფლის ძმას, ალექსანდრე ჰესენელს. დარდოს ექსპედიციაში მონაწილეობის შემდეგ პრინცი კავკასიის მინერალურ წყლებზე ისვენებდა. აქედან გამოემგზავრა საქართველოში, საიდანაც ირანში აპირებდა წასვლას. თბილისიდან მას გზად უნდა გამოეწვლი „გატეხილ ხიდზე“, აქედან გაეწვლი დილიჟანზე და სომხეთის გზით ჩასულიყო ირანში. რამდენადაც დილიჟანი ადმინისტრაციულად განჯის მხარეში შედიოდა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, სამსახურის მოვალეობის გამო, უნდა შეხვედროდა პრინცს და გაეცილებინა იგი განჯის მხარეზე გავლისას. მაგრამ პრინცი არ ჩამოსულა. ნ. ბარათაშვილი შებრუნებულა დილიჟანში და ორი დღე გაუტარებია თამარ ორბელიან-სენკოვსკაიას ოჯახში. როგორც თვითონ წერს, იქ მას ძალიან კარგი დრო უტარებია. წერილში ტატო თამარზე ხუმრობს: „გასულელებულა, სულ იცინის.“ ბარათაშვილი მოიკითხავს თამარის დედას, იაკობ ორბელიანის მეუღლე „ძალუა ნინოს“ და ბაბაღეს აბარებს მას გადასცეს, რომ ანდრია სენკოვსკი უკეთაა.

მოკითხვას უთვლის ნ. ბარათაშვილი იაკობ ორბელიანის მეუღლე ელისაბედსაც. ხუმრობს, მისთვის ბევრი რამ მაქვს მოსაყოლი, მაგრამ, სანამ ჭორებით სავსე მისი წერილი არ მომივა, მე არაფერს მივწერო.

მოკითხვას აბარებს ბაბაღეს ნიკოლოზი გრიბოედოვის მეუღლე ნინო ჭავჭავაძესთანაც. მოიკითხავს თვითონაც და ბარბარეს თხოვს ნინოს გადასცეს მატუროვის ცოლის მოკითხვაც. ვინ იგულისხმება მატუროვის ცოლში უცნობია, მაგრამ საფიქრებელია, რომ იგი სომხის ქალი უნდა იყოს, რომელსაც ქართული და რუსული კარგად არ სცოდნია. მის შესახებ ნიკოლოზი წერს: „ჩვენი დროს გამტარებელი ეს არის. - მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ამისი ენა ჯერ არ მესმის.“ (მ. ცერცვაძე, 2015: 226).

წერილის ბოლოს ტატო მეგობრულად დასცინის მაიკო ორბელიანს და მასთან ბაბაღეს აბარებს: „მაგ სულელ მაიკოს უთხარ, რა ხანია თავის წიგნის პასუხი გამოუგზავნე“.

წერილი მთავრდება გულთბილი სიტყვებით: „შენი მარადის თ. ნ. ბარა[თაშვილი] (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 165).

ამრიგად, ბაბაღე საგინაშვილისადმი მიწერილ ბარათში ვხედავთ ძალიან ენამოსწრებულ და ხალისიან პოეტს, რომელიც გულთბილად მოიკითხავს ახლობლებს და ხუმრობს მათ შესახებ.

ჩვენამდე შემონახული ნიკოლოზ ბარათაშვილის ქრონოლოგიურად ბოლო წერილი გაგზავნილია პოეტის მამიდაშვილის, რუსეთის ომების მონაწილე გენერალ-ლეიტენანტის, ალექსანდრე საგინაშვილისადმი. ალექსანდრე გახლდათ მელიტონ ბარათაშვილის დის, მარიამის შვილი. 1840 წელს მან იქორწინა ნ. ბარათაშვილის ნათესავზე ბარბარე ორბელიანზე, ხოლო დაქვრივების შემდეგ 1872 წელს - ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძეზე, ილიას ჭავჭავაძის დაზე.

ეს წერილი მოცულობით ძალიან პატარაა. იგი, ისევე როგორც ალექსანდრეს მეუღლის, ბარბარესადმი გაგზავნილი წერილი, თარიღდება 1845 წლის 23 აგვისტოთი.

როგორც ჩანს, ალექსანდრეს, ბარბარეს მსგავსად, ტატოსთვის ბარათი გაუგზავნია, რომელშიც იგი ბიძაშვილს უყურადღებობასა და ნათესავების დავიწყებას საყვედურობდა. ამიტომ ნიკოლოზი ისევე, როგორც ბარბარეს შემთხვევაში, აქაც თავს იმართლებს, რომ იქ მოსაყოლი ბევრი არაფერი ხდება და ტყუილად ემდურებიან: „ძმაო ალექსანდრე! რომ მემდური, არ ვიცი კი, აქ რა არის, რა მოგწერო;“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 166).

ალექსანდრესგან ბარათაშვილი იქით ელოდება ცნობებს ახალი ამბებით გატენილი თბილისიდან. ტატო ატყობინებს მას, რომ მამუკა ორბელიანი აქ არ არის და მას მალე შენ თვითონ ნახავ ქალაქშიო. ამის შემდეგ ტატო ეხუმრება მამიდაშვილს მისი კარიერის შესახებ: „რასაკვირველია, რომ შენ მაიორობა არ მოგივა: ყოველ წელიწადს ბორჯომში შეეცევი, ცივს ნიავს არ მიიღენ! - მე რომ ბაბალესი ვიყო, ძალად გაგაგდებ დაღისტანში! სანყალს მაიორობა არ ეღირსა, არ იქნა. - ქალაქიდან განჯა ორასი ვერსია, თუნდ გამიჯავრდეთ, რას შეგეპუებით.“

ამ პატარა ბარათის ბოლოს პოეტი გულთბილად ემშვიდობება ალექსანდრეს: „შენი მარადის თ. ნ. ბარათაშვილი.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 166).

ამრიგად, ბაბალე და ალექსანდრე საგინაშვილების ოჯახთან ნიკოლოზ ბარათაშვილის ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა, რასაც ცხადყოფს ნიკოლოზ ბარათაშვილის მათდამი გაგზავნილი წერილები. ბარბარესადმი გაგზავნილ ბარათს ნიკოლოზი იწყებს თბილი მიმართვით: „საყვარელო დაო ბაბალე!“, ხოლო ალექსანდრესადმი გაგზავნილი წერილი იწყება სიტყვებით: „ძმაო ალექსანდრე.“ ეს იმთავითვე ამ ოჯახისადმი ნიკოლოზ ბარათაშვილის განსაკუთრებულ სიყვარულს მოწმობს.

წერილების დათარიღებისა და ადგილის შესახებ

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა მოიცავს პოეტის ცხოვრების 15 წლიან პერიოდს, 1831 წლის 3 სექტემბრიდან 1845 წლის აგვისტომდე.

უთარილოა ნიკოლოზ ბარათაშვილის პირველი წერილი. ამ წერილს არ აქვს აღნიშნული არც დაწერის ადგილი. წერილი აკაკი განერელიამ 1831 წლის 3 სექტემბრით დაათარიღა „იმის საფუძველზე, რომ იგი მოთავსებულია 1831 წლის 3 სექტემბერს პოეტის მამის, მელიტონ ბარათაშვილის, მიერ გრიგოლ ორბელიანისათვის ნოვგოროდში გაგზავნილ სხვა წერილთან ერთად. მელიტონის ეპისტოლეში ნახსენებია ტატოს ბარათი: „ჩემმა ტატომ კი წიგნი მოგწერა. მერწმუნე თვითონ დასწერა, არავის უსწავლებია“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, 2011, 245).

ნიკოლოზ ბარათაშვილის მეორე წერილში ქართულად მითითებულია ადგილი და ნაწილობრივ თარიღი, აღნიშნულია მხოლოდ თვე და წელი. ბარათის დაწერის რიცხვი უცნობია. აღნიშნული მონაცემები წერილს დართული აქვს დასაწყისში. „გრიგოლ ორბელიანისადმი – „ტფილისი, გარეთუბანი, 1837–სა წელსა, თებერვლის ...“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 131).

მესამე წერილი გაგზავნილია მიხეილ თუმანიშვილისადმი. წერილს დასაწყისში აქვს რუსული სრული დათარიღება და ადგილი. «6-го августа, 1838 г. Тифлисъ» (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 135).

მეოთხე წერილი არის სრულად ქართულად დათარიღებული, მითითებულია ადგილიც. აღნიშნული ინფორმაცია წერილს დართული აქვს ბოლოში: „წელსა

1841–სა, მაისის 28–სა დღესა, ქ. ტფილისი“. (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 139).

მეხუთე წერილი არის ქართულად სრულად დათარიღებული, მითითებულია ადგილიც. დათარიღება და მისამართი მიწერილია ბოლოში: „წელსა 1841–სა ოკტომბრის 18–ს, ქ. ტფილისით“. (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 140).

მეექვსე წერილი არის ქართულად სრულად ბოლოში დათარიღებული: „მაისის 2–სა დღესა, 1842 წელსა“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 143). წერილს არ აქვს აღნიშნული ადგილი. წერილის შინაარსის მიხედვით იგი გაგზავნილი უნდა იყოს თბილისიდან.

მეშვიდე წერილი არის ქართულად სრულად დათარიღებული, მითითებულია მისამართიც. აღნიშნული მონაცემები ბარათს ერთვის დასაწყისში. „წელსა 1842–სა, ოკტომბრის 31–სა, ქ. ტფილისით“. (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 144).

მერვე წერილს აქვს რუსული სრული თარიღისა და ადგილის მითითება ბოლოში: „21 августа, 1843 г., Тифлисъ“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 149).

ქართული სრული დათარიღება და ადგილი ბოლოში აქვს მითითებული ნიკოლოზ ბარათაშვილის მეცხრე წერილს: „წელსა 1844–სა, აპრილის 15–სა, ქ. ტფილისით“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 152).

ნიკოლოზ ბარათაშვილის მეათე წერილი არის ქართულად სრულად დათარიღებული. მითითებულია ადგილიც. მინაწერი გაკეთებულია ბოლოში: „წელსა 1844–სა, მაისის 10–სა, ქ. ტფილისით“. (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 154).

მეთერთმეტე წერილი არის სრულად ქართულად ბოლოში დათარიღებული, მითითებულია ადგილიც: „წელსა 1844, მაისის 23–სა, ქ. ტფილისით“. (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 156).

უთარილო და უადგილოა ნიკოლოზ ბარათაშვილის რიგით მეთორმეტე, ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილი. მისი დათარიღება მოხდა ბარათში პოეტის დის, კატოს, ქორწილის თარიღისა (29 ივნისი) და ალევოხის დღესასწაულის ხსენებით (ძველი სტილით 15 აგვისტო), რომელსაც დასწრებია ნ. ბარათაშვილი მამასთან ერთად. ამდენად, წერილი დაწერილი უნდა იყოს 1844 წლის 15 აგვისტოს შემდეგ. აღნიშნული სავარაუდო დათარიღება ეკუთვნის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მარიამ ნინიძეს. (იხ. XIX -XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლარული მემკვიდრეობა, ტ. I. ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი. ტომის რედაქტორები: ქ. გიგაშვილი და მ. ნინიძე. „უნივერსალი“. თბილისი. 2011. გვ. 267-268). როგორც მაია ცერცვაძე აღნიშნავს, უახლესი კვლევის მიხედვით, წერილი დაწერილია 1844 წლის 18-დან 20 აგვისტომდე. (იხ. მ. ცერცვაძე. „ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთი წერილის დათარიღებისათვის“. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, #18 (3748), 2015 წლის 8 მაისი, აგრეთვე მ. ცერცვაძე. ნ. ბარათაშვილის პირადი წერილები. 187). ვინაიდან წერილში მოხსენიებულია ანა ორბელიანი, რომელიც გარდაიცვალა 1844 წლის 21 აგვისტოს. მის შესახებ კი ბარათაშვილი წერს, რომ იგი ძალიან ავად არის, თუმცა არაფერია ნათქვამი ქალის გარდაცვალებაზე.

სრულად ქართულად დათარიღებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის რიგით მეცამეტე, მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი ბარათი: „9–ს თებერვალს, 1845, ქ. ნახეჩევანით“. (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 160). თარიღი და ადგილი წერილს უძღვის თავში.

თარიღი და დაწერის ადგილი არ არის აღნიშნული მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ პოეტის შემდეგ, რიგით მეთოთხმეტე წერილში. მისი დათარიღება

მოხერხდა 1845 წლის 9 თებერვალს ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილის და ამ ბარათის შედარებით, რომელშიც გრძელდება წინა წერილში წამოჭრილი „კრიალოსნების“ თემა. ამდენად, წერილი დაწერილი უნდა იყოს 1845 წლის 9 თებერვლის შემდეგ, უფრო სწორად კი 20 თებერვლის შემდეგ, რადგან წინა წერილის დაწერიდან ამ უკანასკნელი ბარათის დაწერამდე, შუალედში, ბარათაშვილს მაიკოს პასუხის მიღებაც უნდა მოესწრო. წერილის ბოლო ზღვარი კი დადგენილია 1845 წლის მარტის დამლევს ნ. ბარათაშვილის თბილისში დაბრუნებით. ამიტომ წერილი დათარიღებულია 1845 წლის 20 თებერვლიდან 20 მარტამდე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მეთხოუმეტე ეპისტოლე არის სრულად ქართულად დათარიღებული. მითითებულია მისამართიც. მონაცემები დატანილია თავში: „10–სა აგვისტოს, 1845, მურუტს“. (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 163).

მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე წერილებს, რომლებიც ბაბალე და ალექსანდრე საგინაშვილისადმი მიძღვნილი, ქართულად თავში აწერია რიცხვი, თვე და დაწერის ადგილი, ხოლო წელი გამოტოვებულია: „23 აგვისტოს, მურუტი“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 165). წერილში ნახსენებია პრინცი ალექსანდრე ჰესენელის ყოფნა კავკასიაში, სადაც იგი 1845 წლის 20 აპრილს გაგზავნეს საბრძოლველად. ამდენად, 23 აგვისტო 1845 წელს ეკუთვნის.

თარიღი და ადგილი არ არის მითითებული ნიკოლოზ ბარათაშვილის ბოლო, მეთვრამეტე წერილში. ამ უთარილო წერილის 1842 წლისთვის მიკუთვნება მოხდა მასში ჩართული ლექსის „საფლავი ივერიისა“ დაწერის წლის მიხედვით და ასე იყო ის ცნობილი მრავალი წლის მანძილზე, რაც შეეხება ამ წლის ივლისის პირველი დეკადით წერილის დათარიღებას, ეს დადგინდა მაია ცერცვაძის ბოლოდროინდელი კვლევის შედეგად (იხ. მ. ცერცვაძე. „კნიაზ ბარათოვი“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთი წერილის დათარიღება“. გაზეთი

„ლიტერატურული საქართველო“, #21 (3751), 2015 წლის 29 მაისი, აგრეთვე მ. ცერცვაძე. ნ. ბარათაშვილის პირადი წერილები. გვ. 187) აღნიშნულ წერილს არც დაწერის ადგილი უწერია.

ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილის 18 წერილიდან სრულად თარიღიანია მისი 11 წერილი. ნაწილობრივ თარიღიანია სამი წერილი. ერთ მათგანს, გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილს, აკლია რიცხვი. ბაბალე და ალექსანდრე საგინაშვილებისადმი გაგზავნილ წერილებს კი არ აქვს მითითებული წელი. სრულიად უთარილოა ოთხი წერილი, ამათგან ორი გაგზავნილია გრიგოლ ორბელიანისადმი, თითო-თითო კი - ზაქარია და მაიკო ორბელიანებისადმი.

თარიღიანი ან ნაწილობრივ თარიღიანი 14 წერილიდან შვიდს აღნიშნული მონაცემი მიწერილი აქვს თავში, შვიდს კი - ბოლოში.

რაც შეეხება წერილის დაწერის ადგილს, ადგილი მითითებული არ არის 5 წერილში, ხოლო მითითებულია 13 წერილში. ამათგან ადგილის მითითება წერილს თავშივე უძღვის 7 შემთხვევაში, წერილის ბოლოში კი გადატანილია 6 შემთხვევაში.

წერილების თარიღი და ადგილი 12 წერილში დაწერილია ქართულად, ხოლო 2 წერილში - რუსულად.

ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების ეტიკეტი

ძალიან საინტერესოა ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების ეტიკეტური ნიუანსების კვლევა. ამ მხრივ ბარათებში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე სტრუქტურული ერთეული: მისალმება-მიმართვა, ბოდიშის მოხდა წერილის დაყოვნებისთვის, მოკითხვები და დამშვიდობება.

ბარათების მიმართვის ფორმები განსხვავდება ადრესატებისა და მათთან სიახლოვის ხარისხის მიხედვით. ზოგ შემთხვევაში მკითხველს აქვს საშუალება თვალნათლივ დაინახოს პოეტისა და წერილის ადრესატის სიახლოვის თანდათანობითი ზრდა, რომელიც აისახება წერილების მიმართვა-მისალმების ენობრივ ფორმებში.

როგორც ვიცით, ყველაზე მეტი წერილი ნიკოლოზ ბარათაშვილს გაგზავნილი აქვს საყვარელი ბიძის, გრიგოლ ორბელიანის მისამართით. 1831 წელს (როცა პოეტი 14 წლისაც არ იყო) გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში ადრესატისადმი მიმართვის ფორმა ასეთია: „Его Сиятельству, Милостивому Государю Григорию Орбельнову; Дражайший дядя!“ წერილში ნ.

ბარათაშვილი გრ. ორბელიანს „თქვენობით“ ესაუბრება და ამით იგი გამოხატავს ბიძისადმი პატივისცემასა და მონივნებს. 1837 წლიდან ბარათაშვილის ორბელიანისადმი მიმართვის ფორმები უფრო მეგობრული ხდება. პოეტი აქაც გამოხატავს ბიძისადმი მორიდებას, მაგრამ საუბრისას უკვე „თქვენობითან“ ერთად მიმართავს „შენობით“ ფორმასაც. 1841 წლიდან კი ბიძისადმი პოეტის მიმართვები ერთი სახისაა: – „საყვარელო ძმაო გრიგოლ!“. ტატო უკვე ბიძას ესაუბრება შენობით, უთამამდება, ეხუმრება ან საყვედურობს კიდევ. თამამი ხუმრობების მიუხედავად, ნიკოლოზს თავაზიანობა და მოკრძალება ბიძასთან არასდროს ავიწყდება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილების მიმართვის ფორმები გამომხატველია პოეტისა და ადრესატის ახლობლური, გულითადი დამოკიდებულებისა. ოთხივე წერილში გვაქვს განსაკუთრებით გულთბილი მიმართვის ფორმა: „საყვარელო დაო, მაიკო.“ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მაიკო ორბელიანი ნიკოლოზ ბარათაშვილის მესაიდუმლე და მისი შინაგანი განცდების გამზიარებელია. მასთან ნიკოლოზი ყოველთვის განსაკუთრებით გულახდილია.

ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების მიმართვებით – „Любезный братъ Захарій!“ და „უსაყვარლესო ძმაო ზაქარიაჲ!“ – განისაზღვრება პოეტისა და ადრესატის ურთიერთდამოკიდებულება და მათი სიახლოვის ხარისხი. ბიძა–დისშვილის ურთიერთობის მაჩვენებელია ასევე წერილების შინაარსი. პოეტი ზაქარიასადმი გაგზავნილ წერილებში ყოველდღიურ–საყოფაცხოვრებო თემებზეც საუბრობს და ფილოსოფიურ შეხედულებებსაც გამოხატავს.

მიმართვის განსხვავებულ ფორმას – «Милый друг!» - ირჩევს ნ. ბარათაშვილი მიხეილ თუმანიშვილისადმი მიძღვნილ წერილში. აქ უკვე პოეტი იყენებს სიტყვა „მეგობარს“ და ამით უფრო მეტ ინტიმურობას ანიჭებს მიმართვასაც და წერილის შინაარსსაც. მართალია, ბარათში პოეტი ბოლომდე არ იხსნება

უახლოეს მეგობართან და ლექსი „ასტრას“ ადრესატის ვინაობას მაღავეს, მაგრამ მგოსანი ნაწილობრივ მაინც ამხელს თავისი სიყვარულის საიდუმლოებას.

„საყვარელო დაო ბაბაღე!“, „ძმად ალექსანდრე“ – ახლობლურ, მეგობრულ ხასიათს ატარებს მიმართვის ფორმები ბაბაღე და ალექსანდრე საგინაშვილებისადმი გაგზავნილ ბარათებში. ამ წერილებში გამოხატული პოეტის უშუალობა, საუბრის მსუბუქი თემები მაჩვენებელია მათი მეგობრული ურთიერთდამოკიდებულებისა.

გარდა მისაღმებისა, ბარათაშვილის წერილების ეტიკეტურ ნაწილში გამოიყოფა თხოვნა მიმონერის გაგრძელებაზე. ამგვარი თხოვნები მარტოსული პოეტის მხრიდან ძალიან ხშირია. ბარათაშვილს არ ავიწყდება ახლობლების მოკითხვაც. იგი მოკითხვას უთვლის ოჯახის წევრებს, ნათესაებსა და მეგობრებს.

რაც შეეხება ბარათაშვილის წერილების დასასრულს, პოეტი ყოველთვის გამოირჩევა გულთბილი ხელმოწერებით. ზოგჯერ ბარათის ბოლოს, ხელის მონერაში, პოეტი თავის მოფერებით სახელს (ტატოს) იყენებს.

ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის ძალიან თბილ ურთიერთობას უსვამს ხაზს ტატოს ბიძისადმი დამშვიდობების ფორმები. პირველ ორ წერილში პოეტი დიდი სიყვარულით და ამავედროულად მონივნებით ემშვიდობება ბიძას: „დავშთები პატრვისცემით თქვენი დისწული ნ. ბარათოვი“, ან „თქვენი უმორჩილესი ნ. ბარათაშვილი.“ შემდგომში, ისევე როგორც მიმართვის, დამშვიდობების ფორმაც უფრო ახლობლური და შინაურული ხდება: „შენი მარად და მარადის იქითაც.“

მომდევნო წერილებში გვაქვს: „შენი ნ. ბარათაშვილი.“ „მარად შენი ერთგული ნ. ბარათაშვილი.“ „შენი მარადის ნ. ბარათაშვილი“, „შენი მარად ნ. ბარათაშვილი.“ ჩვენამდე არ მოაღწია ერთი ბარათის სრულმა ვერსიამ, ამიტომ მასში მიმართვისა და დამშვიდობების ფორმები არ ჩანს. თუმცა, ხელთ არსებული წერილების დამშვიდობების მიხედვითაც ადვილი სავარაუდოა, თუ რამდენად ახლობელი ადამიანი იყო ტატოსთვის გრ. ორბელიანი.

მაიკო ორბელიანს ნიკოლოზ ბარათაშვილი ამგვარად ემშვიდობება: - „შენი მარად ერთგული ძმა ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „შენი მარადის ერთგული: თ. ნ. ბარათაშვილი, „შენი მარადის უცვალებელი ძმა ტატო“, „შენი მარადის ერთგული თუნდ ტატო და თუნდ ნიკოლოზ“.

ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილებში გვაქვს: - „შენი მარად და მარად ნ. ბარათაშვილი“, „შენი ერთგული ნ. ბარათაშვილი , „შენი მარადის ერთგული თ. ნ. ბარათაშვილი“

ბაბაღე და ალექსანდრე საგინაშვილებისადმი - „შენი მარადის თ. ნ. ბარათაშვილი“

ამგვარად, ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების ეტიკეტურ ნაწილებს – დასაწყისსა და დასასრულს – გააჩნია თავისი სპეციფიკური ნიშნები, რომლებსაც პოეტი ყოველთვის იცავს. ნიკოლოზი საკუთარი ბარათების ადრესატების მიმართ ყოველთვის თავაზიანია და ახლობლებისადმი პატივისცემას გამოხატავს.

ნ. ბარათაშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობა წერილების მიხედვით

მართალია, წერილი არ იძლევა ადამიანის ცხოვრების ამომწურავ სურათს, მაგრამ იგი, როგორც დოკუმენტური მასალა, წარმოადგენს ერთ-ერთ ბიოგრაფიულ წყაროს. ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისეული ცნობების აღწერასა და ახსნას მისი თანამედროვეთა მოგონებანი გვანვლიან, მაგრამ მწერლის კერძო წერილებს კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისათვის.

პოეტის საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეხება 1837 წელს გრიგოლ ორბელიანის მისამართით გაგზავნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი. ამ დროს პოეტს წელიწად-ნახევრის დამთავრებული ჰქონდა გიმნაზია და 1836

წლიდან მუშაობდა უბრალო ჩინოვნიკად სამართლისა და განჩინების ექსპედიციის კანცელარიაში. ამ პერიოდში ქართველი პატრიოტი მოღვაწეები რუსეთის მთავრობას 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისთვის სამშობლოს გარეთ ჰყავდა გადახვეწილი. ყრმა პოეტი დიდად განიცდიდა მათ ბედს. სამხედრო დიდებას მაშინდელი ახალგაზრდობა იდეალად ისახავდა. უფროსი თაობის წარმომადგენლები, ახალგაზრდობაში ნერგავდნენ მხედრული საქმის სიყვარულს, მაგრამ ბარათაშვილი, თავისი კოჭლობის გამო, იძულებული გახდა სახელმწიფო სამსახურში შესულიყო. ამის შემდეგ ნიკოლოზს უნივერსიტეტში შესვლის განზრახვა ჰქონია, მაგრამ ამაში ხელი ოჯახის სიღარიბესა და მამის ავადმყოფობას შეუშლია. ამრიგად, მეოცნებე პოეტი იძულებული გახდა უსულგულო მოხელეთა გვერდით ეპოვნა სამსახური.

პოეტი მწვავედ განიცდის თავისი სურვილების მიუღწევლობას. იგი სწერს ბიძას: „აგერ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სუდაირასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი, მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც პანციონში ყოფნის დროს, когда будущность моя представлялась мне в радужных метчания, და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხვალმე გულში.“ (მ. ცერცვაძე, 2015: 15).

წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი გულისტკივილს გამოხატავს იმაზეც, რომ სწავლა ვერ გააგრძელა უნივერსიტეტში: „მაგრამ რადგანაც შევიტყე უარი მათი და მით უსიამოვნება, ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო.... არც ეს შემისრულდეს. უბედურებისა გამო, მამაც ამ დროს ავად შეიქმნა და ავადმყოფი, ჩემს თხოვნაზე, ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ჰხედავ შენის სახლის გარემოებასაო, იქნება მე ველარც კი გავაწიო ამ სწეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის

თხოვნით“. (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 131).

შინაგან შესაძლებლობათა არარეალიზებამ პოეტი იძულებული გახადა, დამორჩილებოდა თავის ბედს, თუმცა კი ზოგჯერ მასთან ბრძოლას აპირებდა. ამავე წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი სწერს ადრესატს: „დავრჩი ისევ ჩემს მამულში; განვწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრ ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხვალმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება“. (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 131).

სასამართლოსა და განჩინების ექსპედიცია, სადაც მსახურობდა ნ. ბარათაშვილი, ადგილობრივი ხელისუფლების სასამართლოს ფუნქციების აღმასრულებელი ორგანო ყოფილა. პოეტი უშუალო მონაწილე შეიქმნა საოცარი ბიუროკრატიული წესებისა, რომლებიც თითქოს სპეციალურად შექმნილი იყო ხალხის სატანჯველად, ქართული ენა იდევენებოდა სახელმწიფო დაწესებულებებიდან და ხალხს საქმე ჰქონდა უვიც მექრთამე თარჯიმნებთან. მექრთამეობა სცილდებოდა ყოველგვარ საზღვარს. ბიუროკრატიულ ხლართებში გახვეული სრულიად მარტივი სასამართლო საქმე ხშირად ფანტასტიკურად იზრდებოდა და რთულდებოდა. ნ. ბარათაშვილი იძულებული იყო ეკითხა გულისა და სულისათვის უსარგებლო ქალაქების დასტები.

ნ. ბარათაშვილის ნიჭი არ იფარებოდა თვით ამ ბნელ ბიუროკრატიულ აპარატშიც. მას სამსახურში მოუხვეჭია ყურადღება. 1839 წლის ივლისში ნ. ბარათაშვილი დანიშნეს მაგიდის უფროსად სათავადაზნაურო მეურვეობის ნაწილში, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ დააწინაურეს სააპელაციო ნაწილის მაგიდის უფროსად.

1844 წლის ბოლოს ნიკოლოზ ბარათაშვილმა გადაწყვიტა წასულიყო ნახჭევანში მაზრის მმართველის თანაშემწედ. იმ დროს იქ მაზრის უფროსად დანიშნეს მისი მეგობარი ლევან მელიქიშვილი. ნახჭევანში პოეტის ცხოვრება,

როგორც თვითონ წერს, ტანჯვისა და უსიამოვნების მეტი არაფერი ყოფილა. ამიტომ იგი იძულებული შეიქმნა მალე დაეტოვებინა ეს მხარე. 1845 წლის მარტში მას კვლავ თბილისში ვხედავთ ახალი სამსახურის ძებნაში გართულს. მისი ოჯახური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, მთელი ოჯახი ერთადერთ ნუგეშს ნიკოლოზში ხედავდა. როგორც იყო, ნ. ბარათაშვილმა მიიღო თელავის მაზრის უფროსის თანაშემწის ადგილი. იგი გაემზადა კიდევ წასასვლელად, მაგრამ ამ დროს მისმა ნათესავმა - განჯის მაზრის უფროსმა - მამუკა ორბელიანმა - პოეტს თავისი თანაშემწეობა შესთავაზა. ნიკოლოზ ბარათაშვილი დათანხმდა. 1845 წლის 19 ივნისს ბარათაშვილი დაინიშნა მაზრის უფროსის თანაშემწედ განჯაში. ვინაიდან მამუკა ორბელიანი იშვიათად იყო მაზრაში, ამ ჯერ კიდევ დაუწყნარებელი მხარის მართვა – გამგეობის მთელი სიმძიმე ნ. ბარათაშვილს დაანვა. მაზრაში გავრცელებული ყაჩაღობა კიდევ უფრო ართულებდა პოეტის ისედაც მძიმე პირობებს ამ მივარდნილ მხარეში

ოთხი თვის შემდეგ, 27 წლის ასაკში, აუტანელი შრომით დაქანცული პოეტი ავად გახდა ავთვისებიანი ციებით, რასაც თან დაემატა ფილტვების ანთება. 1845 წლის 10 ოქტომბერს (ძველი სტილით) ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაიცვალა. იგი იქვე, მართმადიდებელთა ეკლესიის გალავანში დაკრძალეს. ნიკოლოზ ბარათაშვილის ჩვენამდე მოღწეული ბოლო წერილი მიწერილია ალექსანდრე და ბაბაღე საგინაშვილებისადმი, 1845 წლის 23 აგვისტოს, პოეტის გარდაცვალებამდე თვე-ნახევრით ადრე.

ნ. ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის კავშირი მის ლირიკასთან

რომანტიკოსი მწერლებისთვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია პოეზიაში პიროვნული განცდების უხვად წარმოდგენა. ვინაიდან ეპისტოლარული ჟანრი ააშკარავებს ავტორის შინაგან ემოციებსა და მის ფსიქოლოგიურ პორტრეტს, ბუნებრივია, მწერლის შემოქმედების განხილვისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება

მის ეპისტოლარულ მემკვიდრეობას. ამიტომ, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის განხილვა სრულყოფილი ვერ იქნება მისი წერილების გათვალისწინების გარეშე.

ბარათაშვილისთვის წერილები ლექსებთან ერთად საკუთარ გრძნობათა გამოთქმის საშუალებაა. აქ ნათლად ვხედავთ რომანტიკოსი პოეტის ფაქიზ ბუნებას, მის ტკივილსა და სიხარულს, ფიქრსა და დარდს. პირად ბარათებში პოეტი ხშირად ჩაურთავს თავის ლექსებს და ახლობლებს დეტალურად მოუთხრობს მათი შექმნის ისტორიას. თუმცა საკუთარი ლექსის შემფასებლად იგი მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს ირჩევს. ესენია: გრიგოლ ორბელიანი, მაიკო ორბელიანი და მიხეილ თუმანიშვილი. ზაქარია ორბელიანის, ბაბაღე და ალექსანდრე საგინაშვილებისადმი გაგზავნილ ბარათებში ლექსები არ გვაქვს.

გრიგოლ ორბელიანი ნიკოლოზ ბარათაშვილის გულის მესაიდუმლევცაა და შედეგრთა შემფასებელიც. სწორედ მასთან გაგზავნილმა წერილებმა შემოგვინახა ნიკოლოზ ბარათაშვილის ბევრი ლექსის შექმნის ისტორია და მწერლის შინაგანი ემოციური მოტივაცია. ბიძისადმი გაგზავნილ წერილებში ჩართულია ლექსები: „ძია გ...სთან“, „ღამე ყაბახზედ“, „ვპოვე ტაძარი“, „მირბის, მიმაფრებს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი“, „საფლავი მეფის ირაკლისა“ და „სულო ბოროტო.“

1837 წლის თებერვალში გაგზავნილ ბარათში ნიკოლოზი საყვარელ ბიძას უგზავნის ლექსებს: „ ძია გ...სთან“ და „ღამე ყაბახზედ“. პირველი ლექსი ეხება გრიგოლ ორბელიანის სამშობლოდან გადახვეწას. ნიკოლოზი ლექსში ბიძას მიმართავს, რომ იგი თავის საკუთარ სამშობლოს ავი ენის გესლმა, ანუ ბოროტმა დასმენამ მოაშორა და ჩრდილოეთში გადახვეწა. ამის მიუხედავად, გრიგოლს მაინც ახსოვს სამშობლო, აქ დარჩენილი საყვარელი ადგილები და ხალხი. გრ. ორბელიანისადმი მიწერილი ყველა წერილი ასახავს იმ დიდ მონატრებას, რომელიც ტატოს გადახვეწილი ბიძის მიმართ ჰქონდა. აღნიშნული ლექსის შინაგანი პათოსიც სწორედ ამ მონატრების გაგრძელებაა.

„ღამე ყაბახზედ“ ძირითადად ტრაგიკულ ელფერს ატარებს. ბარათაშვილი იხსენებს მაისის ერთ მშვიდ საღამოს, როცა იგი თავისი ბიძის საყვარელ ადგილზე, ყაბახზე დასეირნობდა და შემთხვევით ნაცნობ ქალებს წააწყდა. განსაკუთრებით ემოციური მისთვის ერთ ქალთან შეხვედრა ყოფილა. პოეტი არ აკონკრეტებს თუ ვინ იყო ეს ქალი, მაგრამ, როგორც ჩანს, გრიგოლ ორბელიანმა ეს ისედაც იცოდა. ყოველ სტრიქონში იგრძნობა რაღაც დიდი სევდა, რომელიც ბარათაშვილის ტრაგიკული სიყვარულის გამოხატულებაა. ეს ყოველივე ძალიან დიდი დობით იჩენს თავს ნ. ბარათაშვილის სხვა ლექსებშიც. მისი პოეზია განმსჭვალულია დიდი სასიყვარულო ტრაგიზმით.

1836 წლის ზაფხულში დაწერილი ლექსი „ღამე ყაბახზედ“, რომელიც წერილშია ჩართული, ნ. ბარათაშვილმა შემოდგომ გადაამუშავა. პოეტის თხზულებათა კრებულებში უმთავრესად ლექსის გადამუშავებული ვარიანტებია შესული. ამდენად წინამდებარე წერილი სხვა დანარჩენთან ერთად იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მან ლექსის თავდაპირველი ვარიანტი შემოინახა.

1841 წლის 18 ოქტომბერს გრიგოლ ორბელიანზე გაგზავნილ წერილში ნ. ბარათაშვილი ჩაურთავს თავის ლექსს „ვპოვე ტაძარი“ და ბიძას სთხოვს გააგებინოს მისი აზრი ამ ლექსთან დაკავშირებით. იგივე ლექსი ნიკოლოზს ჩართული აქვს მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ „მიძღვნა ლექსთა კრებულისა“-ში. ლექსი დაწერილია 1841 წელს. მასში პოეტი იმედგაცრუებული და სასოწარკვეთილია. ლირიკული გმირი საუბრობს წუთისოფლის ამაოებაზე. იგი განიცდის უიმედობას, ობლობასა და მიუსაფრობას. პოეტი აანალიზებს, რომ წუთისოფელს შეუძლია ერთ წამში ყველაფერი წაგართვას. ამქვეყნიურ ამაოებაზე ჩივილი უცხო არ არის რომანტიკოსი მწერლისთვის. იგი ამ განცდებს გამოხატავს ახლობლებისადმი გაგზავნილ წერილებშიც.

1843 წლის 21 აგვისტოს ბიძისადმი გაგზავნილ ბარათში ნიკოლოზი ჩაურთავს კიდევ ერთ საკუთარ ლექსს „სულო ბოროტო.“ მასში გადმოცემულია წუთისოფლის ამაოების გაცნობიერებისგან გამოწვეული პოეტის დიდი

სასონარკვეთა. სადღაც გამქრალა ლირიკული გმირის ახალგაზრდული მომავლის რწმენა და სულიერი სიმშვიდე. ცხოვრების ბოროტ სულს მისთვის წაურთმევია ეს განცდები და ახლა მარტოსული, უიმედო და ურწმუნო ამქვეყნად დაეხეტება.

„ვპოვე ტაძარსა“ და „სულო ბოროტო“-ში ავტორი დიდ სულიერ ობლობას ჩივის. იმავე განცდა ძალიან ხშირად იჩენს თავს პოეტის პირად მიმონერაში. 1842 წლის 31 ოქტომბრით დათარიღებულ მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში ნ. ბარათაშვილი წერს: „მაგრამ სულ ამაოა ჩემთვის. ეს ღამეც წავიდა, ვითარცა სიზმარი. კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენს იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 144).

ის მარტოსულობა, რომელიც პოეტს თავის ლექსებში აქვს გამოთქმული, თვალნათლივ იგრძნობა ამავე წერილის სიტყვებშიც. „არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულეებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში!“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 144).

ნიკოლოზი იმედგაცრუებულია: ვინც მაღალი გრძნობის მქონე ეგონა, უგულო აღმოჩნდა. ვინც განვითარებული სულის მქონედ წარმოედგინა, სული საერთოდ არ აღმოაჩნდა. ვისი გონებაც ნიჭიერი ეგონა, მას განსჯის უნარიც არ აღმოაჩნდა. ვისი ცრემლიც მშვენიერი სულის სიბრაღის გამოხატულებად ეჩვენებოდა, ცბიერების ცრემლი აღმოჩნდა. ბარათაშვილი სვამს რიტორიკულ შეკითხვას: „სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი?“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 145).

სიბრაალულს მოელის პოეტი თავისი მეგობრისგან და საკუთარი სულის
ობლობას ლექსად გამოთქვამს:

„ძნელი არის მარტოობა სულისა;

მას ელტვიან სიამენი სოფლისა,

მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,

ოხვრა არის შვება უბედურისა!“

(XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011;
145).

1842 წლის 2 მაისს ნ. ბარათაშვილის გრ. ორბელიანზე გაგზავნილი წერილი
თითქმის მთლიანად ილია ორბელიანის დატყვევების ამბებს მოიცავს. პოეტი
შენუხებული და აფორიაქებულია ილიკოს დატყვევების გამო და ეს განცდები
მისთვის „მერანის“ დასაწერად შთაგონების წყარო გამხდარა. იგი მთელი
გულწრფელობით ანდობს ბიძას, რომ ლექსის დაწერისას ბევრი ცრემლი
დაიღვარა. ეს სტროფები განსაკუთრებით მგრძნობიარე და გულახდილია, რადგან
ისინი გამოძახილია იმ სასოწარკვეთისა და დარდისა, რომელიც ტატოს
დაუფლება ბიძის ტყვედ ჩავარდნის ამბის გაგებისას. სამ დღიანი ბურუსის შემდეგ
კი თავისი დარდი ამ ლექსებით გამოუთქვამს. ტატო ნატრობს, მიეცეს საშუალება
თავისი ნაწერი ილიასაც მიაწვდინოს, რადგან იცის, რომ მისი წაკითხვა ტყვეობაში
მყოფ ილიკოს გააღიმებს და ეამება.

მერანი თავგანწირვით იბრძვის საკუთარი მიზნისთვის, რათა ამქვეყნიური
საზღვრები გაარღვიოს და ამ თავგანწირვით მაგალითად იქცეს მომავალი
თაობისთვის, რომლისთვისაც გზის სიმძიმის გაიოლებას შეძლებს. საკუთარ
ბედთან, ან უფრო ზუსტად, უბედო ბასთან თავგანწირულ ბრძოლას ნატრობს
ბარათაშვილი 1837 წელს გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში. ოჯახის
მატერიალური სიდუხჭირისა და მამის ავადმყოფობის გამო ნიკოლოზს მოუწია

საკუთარ კარიერულ ოცნებაზე უარი ეთქვა, მაგრამ ბიძას სწერს: ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემენუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში, განვჰყნისდი სამსახურში და დავჰმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა. თუმც ხანდისხან ჯავრით დავაჰირებ ხოლმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი, ან ჩემი სურვილის აღსრულება...“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 131). ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ნიკოლოზისათვის პიროვნების იდეალი „მერანის“ მსგავსად ბედთან მებრძოლი ადამიანია.

1842 წლის ივლისის პირველი დეკადით დათარიღებულ გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ ბარათში ნიკოლოზ ბარათაშვილს ჩართული აქვს „საფლავი ივერიისა“. ეს არის თავდაპირველი სათაური ნ. ბარათაშვილის ლექსისა „საფლავი მეფის ირაკლისა.“ აღნიშნული ლექსი კიდევ ერთ წარწერა-ლექსთან ერთად პოეტმა უძღვნა მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილს. ლექსში პოეტი ხოტბას ასხამს მეფე ერეკლეს ბოლო პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, რომ ქართლი ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობის ქვეშ შესულიყო.

გარდა ამისა, გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილები გვანვდის ინფორმაციას ნიკოლოზ ბარათაშვილის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ. 1841 წლის 28 მაისს გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ ბარათში ნათქვამია, რომ ბარათაშვილს უთარგმნია იოჰან ანტონ ლეიზვეიცის დრამა „იულიუს ტარენტელი.“ ეს თარგმანი დღეს დაკარგულად ითვლება.

”მართლია, გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში არ არის გამოხატული მისი დამოკიდებულება ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებისადმი, მაგრამ თუ ცალკეული ჩანაწერების და თანამედროვეთა გადმოცემის გათვალისწინებით შევხედავთ ამ საკითხს, დავინახავთ, რომ გრიგოლმა თავისი პოზიცია არაერთგზის გამოხატა. თანამედროვეთაგან თუ ვინმეს ესმოდა, ატყაპებდა და შემოქმედებითაც ერთგვარად ენათესავებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას, ეს გრიგოლ ორბელიანი იყო“. (ჭილაია, 1946, 3-27).

გარდა გრიგოლ ორბელიანისა, ნიკოლოზ ბარათაშვილი საკუთარი პოეზიის შემთავსებლად გულითად მეგობარს, მაიკო ორბელიანს თვლის. 1831 წლის 31 ოქტომბერს მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში ჩართულია ერთი სტროფი პოეტის ლექსისა „სულო ობოლო“ („ძნელი არის მარტობა სულისა...“). 1845 წლის 9 თებერვალს გაგზავნილ წერილში კი პოეტი მაიკოს გასაცნობად უგზავნის თავის ლექსს „მადლი შენს გამჩენს“.

მიხეილ თუმანიშვილისადმი 1838 წელს გაგზავნილი წერილით ვიგებთ, რომ ბარათაშვილს 1838 წლის ივლისში დაუწერია ლექსი „ასტრა“. ეს ლექსი მიძღვნილი უნდა ყოფილიყო მისი ფრანგი მეგობარი ქალის, იმხანად მისი ყმანვილური გატაცების საგნის დელფინა ლაბიელისადმი. მიხეილ თუმანიშვილს ეს ლექსი მოსწონებია „კარგი სიტყვის, კარგი სტიხის, კარგი ხმის“ გამო, მაგრამ ვერ გაუგია თუ ვის მიმართ იყო ეს ლექსი მიძღვნილი. თუმანიშვილს დაუწერია საპასუხო ლექსი „ასტრას“, რომელშიც ბარათაშვილს მკითხველისთვის გაუგებარ მომენტებს ეკითხება.

ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკული და ეპისტოლარული მემკვიდრეობა ავლენს როგორც შინაარსობრივ, ასევე ემოციურ მსგავსებას. თავის პოეზიაში პოეტს აწუხებს იგივე საკითხები, რომლებიც მას გადმოცემული აქვს ახლობლებისადმი მიწერილ ბარათებში. ბარათაშვილის პოეზიაში, ისევე როგორც მის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში ვხედავთ ამქვეყნიურ ამაოებაზე ჩაფიქრებულ მარტოსულ პიროვნებას.

სატირა და იუმორი ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებში

სატირა და იუმორი გამოხატავს დაცინვას. მათ შორის განსხვავებას ქმნის ობიექტისადმი დაცინვის ხარისხი. მწვავე დაცინვა არის სატირა, ხოლო მისი შენელებული გამოხატულება - იუმორი.

სატირა და იუმორი აქტიურად იჩენს თავს ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში. პოეტის თანამედროვეები მას იგონებენ როგორც ოხუნჯ, ენამოსწრებულ, ენაკვიმატი ბუნების მქონე ადამიანს. ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი ეპისტოლური მემკვიდრეობის გამონათქვამებშიც ხშირად მიმართავს სატირულ-იუმორისტულ ტონს. ეხუმრება როგორც წერილების ადრესატებს, ასევე ხუმრობს ბარათებში მოხსენებულ სხვა პირებზე.

ბარათაშვილი ყველაზე მეტს თავისი მეგობარი ქალების შესახებ ხუმრობს: მიხეილ თუმანიშვილს იგი წერს: “მშვიდობით, ალაზნის ველის მეუღაბნოვე! მაუწყე ხოლმე რამე შენი ველის ქალწულისა”. (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 137). “ველის ქალწულში” კახეთის მკვიდრი ეკატერინე ჭავჭავაძე უნდა იგულისხმებოდეს.

გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში ნ. ბარათაშვილი დასცინის ქალებს სამხედრო მინისტრის ადიუტანტის, ივანე ბალაშოვის სიკვდილთან დაკავშირებით. იგი სწერს ადრესატს: “მაიკო ძალიან გწყევლის, არ ვიცი, რა მოგიწერია. – ბალაშოვის სიკვდილს აქ ასე გლოვობენ, რომ ეს არის შავები არ აცვიათ, თორემ სხვა აღარა აკლიათ რა” (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 138). იმავე წერილში ბარათაშვილი ხუმრობს: „დიდი დაძვერებაებია ქალებისა, დიდი აყალ-მაყალი, დიდი ტირილი, დიდი ღამის თევაები, დიდი წვეულებაები ერთმანეთის ჯავრით“. (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 138). პოეტი ნათქვამში მეტი იუმორისტული ტონის შესატანად მიმართავს მრავლობით ფორმებს.

მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ ეპისტოლეში ნ. ბარათაშვილი მოკითხვას უთვლის თავის დას, ნინო ბარათაშვილს და თან ხუმრობს მასზე. პოეტი სწერს მეგობარს: “თუ ნინუცას, ანუ (რადგანაც ჯავრობენ ზოგიერთი ქალები) ანნა ივანოვნას წიგნი მისწერო, ან შენ თითონ ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარ, დიდად ვწუხვარ, რომ აღარ გაციებს თქო” (მ. ცერცვაძე, 2015: 105).

პოეტი თავისი რძლის, ზაქარიას მეუღლე ქეთევანის ხელმომჭირნეობაზეც ხუმრობს. ბარათაშვილი სწერს ზაქარია ორბელიანს: “შენი გამარჯვება ქეთევანს აქ გადავახდევინეთ. ხომ არ დაიჯერებ და შამპანსკებს თვლა აღარა ჰქონდა. – ამისთანა წუნკმა ხანდისხან ასეც იცის” (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 155).

ზოგჯერ ბარათაშვილი ქალებზე სატირულ დაცინვასაც არ ერიდება. გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი წერს: “კნიაზი ჭაჭავაძე თავისი კნინათი მარტყობს იყვნენ ჯვარობას. ამათ დასტაში იყვნენ სავარსამიძის ცოლი, სივრიჩის ცოლი და ბეზაკის ცოლი, ეს კი მუხრავანიდგან გადმოვიდა, ამ ზაფხულს იქ იდგა, უქმროდ. არ გინდა, რომ ერთს საათს მაგ მთებში გამომძვრალიყავ და მუხრავანში, იმის ოთახში, შუალამისას დაბადებულიყავ?” (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 148).

პოეტი არც მანანა ორბელიანს ინდობს. 1845 წლის 9 თებერვალს ნახჩევანიდან მაიკო ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში იგი ხუმრობით დასცინის ახლობელ ქალბატონს: “მაგრამ ეს მაკვირვებს, არ ვიცი, რა მიზეზია, რომ მანანა მოკითხვითაც არა მკითხულობს? მაგრამ, ერთის მხრივ, არც კი უნდა დავემდურო, ახლა ჩვენ ვილას მოვავგონდებით, ვილაც ორი ბლუ ბიჭი გდია ნახეჩევანში. – ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოდაში ოთხმოცის წლის კაცები არიან!” (მ. ცერცვაძე, 2015: 192). “გადმოცემით, მანანა ორბელიანი

მოსწონდა კავკასიის მთავარმართებელ მიხეილ ვორონცოვს, რომელიც ამ დროს 63 წლის იყო. ნიკოლოზ ბარათაშვილი წერილში, სავარაუდოდ, ამ ფაქტზე მიანიშნებს” (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი I, 271). ამავე წერილში პოეტი მოკითხვას უთვლის თავის ნათესავს, იაკობ ორბელიანის ქალიშვილს – ეკატერინეს, და თან ხუმრობს მასზე: “კატო მომიკითხე, მეტად ბევრს თურმე ლაპარაკობს! ეგ ხომ წიგნს ვერ მამწერს და: ქართული იცოდა, ისიც დავიწყებია, რუსულიც ვრე უსწავლია, და არ ვიცი, რომელს ენაზედ დასწერს?” (მ. ცერცვაძე, 2015: 193). ეკატერინე ცოლად გაჰყოლია გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ ალაპის ძე ივანოვს და ამიტომ არის მინიშნება რუსულის სწავლაზე და ქართულის დავიწყებაზე.

1845 წლის 10 აგვისტოს ნ. ბარათაშვილის მიერ მურუტიდან მაიკო ორბელიანისადმი მიძღვნილი წერილი თითქმის სულ ხუმრობის კილოთია დანერგილი. ნიკოლოზი ხუმრობით ეკითხება მეგობარს, თუ რა გაუგზავნოს: “აბა რა გამოგიგზავნო? ბრონეული, ყურძენი, ატამი, ხობობი, დურუჯი, ჭეირანი, აბრეშუმი. თუ სულ ყველა ერთად? აქაურ ფაბრიკებში და მალაზიებში ამის მეტი არ არის რა” (მ. ცერცვაძე, 2015: 209). მაიკოსთან ერთად იგი მანანა ორბელიანსაც ეხუმრება: “ხელთ-საქმეს თურმე მიკეთებთ, მაგრამ ვაი შენს მტერს, რაც თქვენ ვერა შეასრულოთ რა! (პატივისცემა კი არ გეგონოს მრავლობითად რომ გეუბნები). – რადგანაც ორნი მოსაქმენი ბრძანდებით, იმისთვის მოგახსენებთ. – მე კი არა გთხოვთ, და თუ გამომიგზავნით, ის მე ვიცი და ხელმწიფე იმპერატორმა, და თუ არა და ის თქვენ იცით და პაპუა ორჯონიკიძემ” (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 164). პ. ორჯონიკიძე არის იოანე ბატონიშვილის “კალმასობის” ერთ-ერთი მოქმედი პირი, აბაშიძეების ვასალი, რომელიც მათ მიერ ქართველი გლეხების ტყვეებად გაყიდვის გასამართლებლად აბსურდულ აზრებს გამოთქვამს (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი ვ, 274).

23 აგვისტოს ნიკოლოზ ბარათაშვილი ბაბალე საგინაშვილს თამარზე სწერს: “გასულელებულა, სულ იცინის! მართლად ორი დღე ვიყავ, ძალიან მხიარულად გავატარეთ დრო” (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 165). ხოლო, თავად ბაბალეზე პოეტი ხუმრობს ალექსანდრე საგინაშვილისადმი მურუტიდან მიძღვნილ ეპისტოლეში: “რასაკვირველია, რომ შენ მაიორობა არ მოგივა: ყოველ წელიწადს ბორჯომში შეექცევი, ცივს ნიავს არ მიიდენ! – მე რომ ბაბალესი ვიყო, ძალად გაგავდებ დაღისტანში! სანყალს მაიორობა არ ეღირსა, არ იქნა. – ქალაქიდან განჯა ორასი ვერსია, თუნდ გაჯავრდეთ, რას შეგეპუებით” (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 166).

ნიკოლოზ ბარათაშვილი ხშირად ეხუმრება საყვარელ ბიძასაც. გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილებში იგი სწერს ადრესატს: “გრიგოლ, რა იქნება, რომ ერთი კიდევ დაანკარუნო ამდენი ხნის დადუმებული შენი სანთური”. (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 146).

ამავე წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი ხუმრობით აჯავრებს ნინო ჭავჭავაძეზე შეყვარებულ გრიგოლ ორბელიანს. პოეტი სწერს ბიძას: “ახალი ამბავი ანუ ჭორი ხომ გიყვარს: ამ ხელად ეს არის, რომ ნ(ინა) ალ(ექსანდროვ)ნა ოდესაში მიდის 9 ივნისს. მანდ გაჯავრდი” (მ. ცერცვაძე, 2015: 63). ამ წერილს გრიგოლ ორბელიანის დაღესტნის მმართველად დანიშვნის თაობაზე ხუმრობითვე ამთავრებს ნიკოლოზი: “ფეფომ და მაშომ მოგიკითხეს; ამათ შენი ხანობა არად ეპიტნავენათ; გამდიდრდი თუ არაო? ესენი ამას მკითხავენ. – შენ მაგივრად მე ვეტყვი, ვაი შენს მტერს-მეთქი” (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 156).

ნიკოლოზ ბარათაშვილი ილიას ტყვეობასაც კი ირონიული ხუმრობით ხატავს 1842 წლის 2 მაისს გრ. ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში. პოეტი სწერს ბიძას: “მახლავს, ილიკო ყოჩაღად ყოფილა. Он теперь предметов разных

анекдотов..... ეს არის, რომ იქნება ჩვენ დაგვიგვიანდეს ილიას ნახვა, თვარემ იმას ამ ტყვეობით არა უშავს რა” (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 142).

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად ბარათებში ვხვდებით მსუბუქი იუმორის სხვა ნიმუშებსაც. მისი დაცინვის ობიექტები არიან: პოეტის თანაგიმნაზიელი და შემდეგ მისი თანამშრომელი “საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატაში” – გარსევან ვარლამოვი; პლატონ იოსელიანი; პოეტი, დრამატურგი, ბარათაშვილის ახლო მეგობარი – გიორგი ერისთავი (გლუხარიჩი); ზაქარია ორბელიანი; მაიკო ორბელიანის ძმა – მიხაკო ორბელიანი და მანანა ორბელიანის ვაჟი – ივანე; პოეტის მეგობარი – ლევან მელიქიშვილი.

1841 წლის 18 ოქტომბრით დათარიღებულ ნ. ბარათაშვილის მიერ გრ. ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში პოეტი ხუმრობს პლატონ იოსელიანის ძალიან დიდ ბაკენბარდებზე, რომლებიც მას იმ დროს მართლაც ჰქონდა. იგი სწერს ადრესატს: “ჩვენს დიდს პლატონს ძილში კატა დასწოლია ბაკენბარდზედ და ასე გაეთელა, რომ ველარას გზით ვერ გაუსწორებია. ეს ერთი ბაკენბარდი ასე გათელილი დარჩა; ვურჩევთ, რომ მოიპარსოს, მაგრამ არ გვიჯერებს. ეს აკლდა ამის ფილოსოფოსურს სახეს” (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 139).

1842 წლის 31 ოქტომბერს ნ. ბარათაშვილი მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში მოკითხვას უთვლის გიორგი ერისთავს და ამავე დროს ხუმრობს მასზე: “შენ გაზრდას, მაიკო, თუ გლუხარიჩი ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარ, რა ღმერთი გაგინწყრა, რომ აგრე ფეხი აიკვეთე ქალაქისაკენა თქო. როგორ აღარა აგონდება რა სასიამოვნო შენს პოეტურს სულსა თქო” (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 145).

1845 წლის 9 თებერვალს მაიკო ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში ხუმრობს ადრესატის ძმასა და ივანე ორბელიანზე. პოეტი სწერს მეგობარს: “ერთი შემატყობინე, რატომ ეგ შენი ქაჩალი ძმა წიგნს არ მწერს, ივანეს კიდევ არ დავემდურები, ამიტომ, შენის ძმის წყალობით, რაც ტვინი ჰქონდა, ისიც ყაბახზედ დააბნია!” (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 161). ამავე წელს კვლავ მაიკოსადმი გაგზავნილ ბარათში სწერს ლევან მელიქიშვილზე: “ჩვენი აქ ცხოვრება, სწორე გითხრა, ტანჯვისა და უსიამოვნობის მეტი არა არის რა! ლევანიც ავად გამიხდა და თავად ბლუ იყო, უფრო დაბლუვდა სიცხისაგან. რასაც ეს ნეიდგარდს სწყევლის, აქ გამოგზავნისთვის, არ ვიცი თუ რა მოუვიდეს” (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 163).

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად წერილებში დასტურდება უფრო მწვავე იუმორის შემთხვევებიც. ბიძაზე გულგატეხილი და ნაწყენი პოეტი სწერს გრიგოლ ორბელიანს: “მე ახლავ მითყობს გული, რომ ამ ჩემს მხურვალეს განსჯას გამიტრაზავებ: ემბრობა მასხარად აივდე, და მომავალის დიდების ფიქრს რას უზავ?” (მ. ცერცვაძე, 2015: 115). ამ იუმორის მიღმა ძვეს ღრმა სატირული ქვეტექსტი. ეს არის ნიკოლოზ ბარათაშვილის სატირის თავისებურება. პოეტისთვის იუმორი სატირის ატრიბუტია.

დასახელებული წერილის დასასრულს კი ნიკოლოზ ბარათაშვილი ასე ეხუმრება ბიძას გრიგოლ ორბელიანს: “სირცხვილია რომ მაგ საშინელებებში პოეზიამ არ გაიღვიძოს, და თუ ემირს ლექსის წერა არ აღარ ეკადრება, ავარიის ისტორია და სტატისტიკა მაინც უბძანე, რომ დაწერონ” (მ. ცერცვაძე, 2015: 116).

ნიკოლოზ ბარათაშვილის იუმორში შეიმჩნევა ერთგვარი აბუჩად აგდება სამხედრო სამსახურისა. როგორც ჩანს, იგი ამ ხერხით ებრძვის იმ შინაგან გულის დაწყვეტას, რომელიც საკუთარ ოცნებაზე უარის თქმის შემდეგ დაეუფლა. ამისი მაგალითია 1844 წლის 10 მაისს ზაქარია ორბელიანისადმი მიძღვნილი

წერილი, რომელშიც იგი ხუმრობს ილია ორბელიანზე, ლევან მელიქიშვილზე, დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე, ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანზე – მეტსახელად ბაკლანაზე, სამხედრო ოფიცრებზე, სენატორ გიორგი იესეს ძე ერისთავის შვილებზე – ზაქარიასა და ალექსანდრეზე. თავისი სურვილის აუსრულებლობამ – თვითონაც წასულიყო ბრძოლის ველზე – პოეტი ირონიულად განაწყობს ზემოთჩამოთვლილი ადამიანების მიმართ. 1844 წლის 10 მაისს ნ. ბარათაშვილი სწერს ზაქარია ორბელიანს: “ჩვენი ყმანვილი კაცები ილია, ლევან, დავით, ბაკლანა (მითომ ესეც ყმანყვილებშია), ზაქარია და ალექსანდრე ერისთავი სულ წამოვიდნენ შამილის დასაჭერად; ესენი სულ სარდლები არიან ქართველთ ჯარისა. ყათლან ხომ ასე ამბობს, რომ ესენი სულ ჩამამავლობით გიჟები არიანო” (მ. ცერცვაძე, 2015: 157).

ასეთივე განწყობას გამოხატავს ნიკოლოზ ბარათაშვილი 1844 წლის 23 მაისით დათარიღებულ გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში. პოეტი სწერს ადრესატს: ეგ ბატონი ქართველთ სარდლები რომ წამობრძანდენ, ყათლან მაგათზედ იცინის; ასე ამბობს, სულ ჩამომავლობით ჭირვეულნი არიანო” (მ. ცერცვაძე, 2015: 164).

ხოლო 1845 10 აგვისტოს მურუტიდან მაიკო ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში პოეტი უფრო მეტი ირონიითაა განწყობილი ილიას, ალექსანდრე ერისთავისა და ლევან მელიქიშვილის მიმართ, რომლებმაც მიიღეს ჯვრები. იგი სწერს მეგობარს: “აი ახლაც მინდა ერთი მართალი სიტყვა ვსთქვა – და შენ კი მაშინვე გაჯავრდები; ჩემი რა ბრალია? აი, ახლა ვსთქვათ, ჩვენს ყმანვილებს რომ ჯვრები მოუვიდათ, რამ დამავინცა იმათი სახელი? მაგრამ შენ მოიგონე, რად მოუვიდათ?..... მე რა ვსთქვი? ჯვრები ტყუილად მიიღეს მეთქი იმათ.... რამ დამავინცა?..... ოჰ, მამაგონდა, ილიამ, ალექსანდრე ერისთავმა და ლევანმა” (მ. ცერცვაძე, 2015: 209).

პოეტს ზოგჯერ ერთგვარი დამცინავი ტონი აქვს თავისი საქციელის შეფასების დროსაც. იგი 1844 წლის 23 მაისით დათარიღებულ წერილში,

რომელიც მიძღვნილია გრიგოლ ორბელიანისადმი, ხუმრობს საკუთარ თავზე: დედაკაცები ისევ ისინი, ჩვენი ყმანვილები და ხახვების ფრანტები სულ შამილის დასაჭერად წამოვიდნენ, ქალაქი მე დამრჩა. მოუსვი, ბიჭო! ამისთანა ფართე ოკეანე არც ერთს ხომალდს არ შეხვედრია” (მ. ცერცვაძე, 2015: 163).

ამ ნიმუშებში ნ. ბარათაშვილს კომიკურ ობიექტად თავისი თავი ჰყავს გამოყვანილი. გრიგოლ კიკნაძე წერს: “....როდესაც ადამიანი ახერხებს ერთგვარი დამცინავი ტონით თავისი საქციელის შეფასებას – ასეთი ადამიანი უკვე ქმნის საფუძველს თავის თავზე ამალღებისათვის” (კიკნაძე, 1972, 19).

როგორც ვხედავთ, ნ. ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში მეტწილად ჭარბობს იუმორისა და მსუბუქი სატირის ნიმუშები. ობიექტის აღწერა-დახასიათებისას ბარათაშვილი განსაკუთრებულად დინჯი და აუღელვებელია. აქ არ იგრძნობა ის ზიზღი და აღშფოთება, რომელიც სატირისთვისაა დამახასიათებელი. პოეტი მიზნად არ ისახავს გამოხატოს აგრესია და უარყოფითად განაწყოს მკითხველი საკუთარი სატირის ობიექტებისადმი.

მე-19 საუკუნის საქართველოში შემორჩენილი წეს-ჩვეულებები ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში

საქართველო დიდი ტრადიციების მქონე ქვეყანაა. თავისი ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრების განმავლობაში ქართველმა ხალხმა შეიმუშავა ცხოვრებისა და ურთიერთობის თავისებური სტილი. ქართულ ტრადიციათა შორის საზოგადოების ცხოვრებაზე დღემდე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტუმარ-მასპინძლობის, ქორწინების, გლოვისა და სუფრის ტრადიციები. ტრადიცია ამოზრდილია ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრებიდან და ვინაიდან ეპისტოლარული უანრი ძალიან ახლოს დგას ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასთან, ბუნებრივია, მასში ნათლად აისახება ის წეს-ჩვეულებები, რომლებიც ხალხშია გავრცელებული.

ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები გვაძლევს ძალიან საინტერესო ცნობებს ძველი ქართული ტრადიციული ქორწილის, სტუმარ-მასპინძლობისა და წმინდა ადგილების მოლოცვის რიტუალის შესახებ. ბარათებში ნიკოლოზი ბიძებს უყვება თავისი დის, ეკატერინე ბარათაშვილის ქორწილის ამბებს, რომლებიც გვიქმნიან წარმოდგენას მე-19 საუკუნის ქართული საქორწინო რიტუალისა და სტუმარ-მასპინძლობის ადათ-წესების შესახებ.

1844 წლის 15 აპრილს თავის ბიძას, ზაქარია ორბელიანს ნიკოლოზი სწერს: „კატო დავნიშნეთ წარსულს კვირას რევამ ერისთავმედ და ქორწილსაც საამაღლებლოს ვაპირებთ“... „დავით ერისთავმა სამაჭანკლოში ქორი გთხოვა და იმედი მაქვს, რომ ახალს მოყვრობას პატივსა სცემ!“ (მ. ცერცვაძე, 2015: 148). 1844 წლის 10 მაისს ნიკოლოზ კიდევ ერთხელ ახსენებს ბიძას დისშვილზე გასატანებელი სამაჭანკლოს თაობაზე: „დავით ერისთავმა, სიძის ძმამ, სამაჭანკლოში ქორი გთხოვა. ზაქარიავ, ხომ იცი, ამათ მაგისტანები დიდად მიაჩნიათ.“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 151).

ძველი ქართული ტრადიციით, სამაჭანკლო იყო მაჭანკლის გასამრჯელო, რომელსაც იგი წყვილის შეუღლების ხელშეწყობისათვის იღებდა. ძველ დროში სამაჭანკლო ფულადი სახის იყო და მაშინდელი საზოგადოებისთვის არც ისე მცირე თანხას შეადგენდა. როგორც ჩანს, ეს ტრადიცია მე-19 საუკუნის საქართველოში ჯერ კიდევ ახსოვთ, თუმცა მას კატოს შემთხვევაში შედარებით სიმბოლური ხასიათი აქვს და პატარძლის ბიძას მხოლოდ ქორს სთხოვენ.

ქორწილის შემდეგ 1844 წლის აგვისტოში გაგზავნილ ბარათში ნიკოლოზ ბარათაშვილი ზაქარია ორბელიანს დეტალურად აღუწერს კატოს ქორწილის ამბებს. როგორც მონათხრობიდან ირკვევა, ქორწილი ქართული ტრადიციისამებრ საკმაოდ ხალხმრავალი ყოფილა და დიდხანსაც გაგრძელებულა. პატარძლის ნათესავებს სიძის ძმა ლევან ერისთავი თავადებით, აზნაურებით და იმერეთის მგალობლებით გზად მიგებებია. სასახლე და მოედანი ჭრაქებითა და მაშხალებით ყოფილა განათებული. ახალი არქიერი, კატოს დედამთილის ძმა, წულუკიძეც იქ ყოფილა და მგალობლები ჰყოლია მოყვანილი. გალავნის კარებში დეკანოზი შეგებებიათ, შემოსილი და ჯვრით ხელში. სტუმრებს მომღერლად იმ დროის ცნობილი ირანელი მომღერალი, სათარა ჰყოლიათ წაყვანილი. ბარათაშვილი აღფრთოვანებაში მოუყვანია ამდენი თოფის სროლას, ხალხის სიმრავლესა და მათ შეძახილებს. (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 157).

ამგვარი მასშტაბური ქორწილები მაშინდელი საქართველოსთვის ბუნებრივი მოვლენა იყო და ოჯახის კარგ მატერიალურ მდგომარეობასა და სტუმართმოყვარეობას უსვამდა ხაზს.

ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილი ბარათის შემდეგ აბზაცებში თავს იჩენს პატარძლის ქცევისა და მზითვის მიტანის ძველი ქართული ტრადიციები. როგორც ნიკოლოზი ბიძას უამბობს, მეორე დღეს, კატო, ჩვეულების თანახმად, ქვეშაგებში იწვა და მხოლოდ მესამე დღეს ადგა. პატარძლის მზითვეი გასინჯეს, კატოს მზითვის სიმდიდრეს მთელს ქართლში გაუთქვამს სახელი. მეოთხე დღეს

დედამთილს, მაზლებს, მულებსა და რძალს კატოსთვის ნიშნები მიურთმევიათ. „კარგი ნიშნებიც იყო“ - აღნიშნავს ბარათაშვილი. არქიერი ეზოში, ჭადრების ქვეშ გაშლილ კარავში დაბანაკებულა, მას პატარძლისათვის საჩუქრად ღვთისმშობლის ოქროთი მოჭედილი ხატი მიურთმევია. ამგვარ დროსტარებაში გაუტარებიათ ხუთი დღე მაყრებს. ((XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 158).

გარდა ძველი ქართული საქორწილო ტრადიციებისა, ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებში შემორჩენილია სხვადასხვა რელიგიური დღესასწაულისა და ხატების მოლოცვის წეს-ჩვეულებები. ლხინისა და დროსტარების ამბების შემდეგ, იმავე 1844 წლის აგვისტოში, ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილ წერილში ბარათაშვილი ბიძას უამბობს მამასთან ერთად აღევობას, ანუ მარიამობის დღესასწაულზე კატოს ოჯახში სტუმრობის ამბავს. როგორც ნიკოლოზი აღნიშნავს, საუცხოო ჯვარობა გამართულა. სალოცავად ოსური სიმღერის თანხლებით ასულან. თან მანანა და ელენეც ხლებიათ. ქალები ცხენებით, საწვიმრებითა და ქოლგებით ყოფილან წამოსულნი. ერთი ღამე და დღე ძალიან კარგი დრო უტარებიათ.

ჯვარობის დღესასწაულის აღნიშვნა ასახულია ნიკოლოზ ბარათაშვილის სხვა წერილებშიც. 1843 წლის 21 აგვისტოს ნიკოლოზი გრიგოლ ორბელიანს უყვება ამ დღესასწაულის შესახებ. ამჯერად ჯვარობაში იგულისხმება მარტყოფის ღვთაების მონასტრის ერთ-ერთი ქრისტიანულ-რელიგიური დღესასწაული მამაანტონობა, იგივე ანჩისხატობა, რომელსაც ქართული მართლმადიდებლური ეკლესია 29 აგვისტოს (ძველი სტილით 16 აგვისტოს) აღნიშნავს. კნიაზი ალექსანდრე ჭავჭავაძე და მისი მეუღლე სალომე ორბელიანი მარტყოფში ყოფილან ჯვარობაზე. მათ თან ახლდნენ სავარსამიძის (ჭარ-ბელაქნის გამგებელი, გენ.-მაიორი ლეონტი სავარსამიძე) ცოლი სიდონია სავარსამიძისა, სივრიჩის ცოლი (ორბელიანთა ქალიშვილი) და ბეზაკის ცოლი სოფიო. როგორც წერილები

ცხადყოფს, ჯვარობის დღესასწაული საკმაოდ გავრცელებული ყოფილა მაშინდელ საქართველოში და მას წარჩინებული ოჯახების წევრებიც ხშირად ესწრებოდნენ.

მე-19 საუკუნის საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის ანარეკლი ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი ბარათები წარმოადგენს მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტს, ეპოქის მნიშვნელოვან დოკუმენტს. იმ პერიოდში, როცა ნიკოლოზ ბარათაშვილს მოუწია მოღვაწეობა, საქართველო მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1801 წლის 12 სექტემბერს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გამოსცა მანიფესტი ქართ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ, რის შემდეგაც რუსეთის თვითმპყრობელობამ დაიწყო ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრა.

ბატონიშვილთა ხელმძღვანელობით 1825 წლიდან დაიწყო შეთქმულთა ორგანიზაციის გაფორმება. შეთქმულების მონაწილენი იყვნენ: გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ზაალ ავთანდილაშვილი და სხვანი. მათი საპროგრამო მოთხოვნა იყო ქართველების გათავისუფლება რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმისაგან. შეიარაღებული გამოსვლა დანიშნული იყო 20 დეკემბერს, მაგრამ 9 დეკემბერს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის ძმამ, შეთქმულების მონაწილე იასე ფალავანდიშვილმა შეთქმულება გასცა.

ხელისუფლებამ “მამულის გამოსხნის შეთქმის” მონაწილენი ჩამოაშორა საზოგადოებრივ მოძრაობას, გაასამართლა ისინი და ბევრი მათგანი გადაასახლა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა გუბერნიაში. გადასახლებულთა შორის იყვნენ: ალექსანდრე ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი, გრიგოლ

ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, ვახტანგ ორბელიანი, სოლომონ რაზმაძე, ელიზბარ ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი და სხვანი.

ქართველი მოაზროვნე ფენის გადასახლებამ თბილისის ინტელექტუალური ცხოვრება ჩაკლა. ბარათაშვილის დროინდელ თბილისში არ არსებობდა ნამდვილი საზოგადოებრივი ცხოვრება. ამგვარ “უსარგებლო” ცხოვრებას, საზოგადოებას, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის ბუნების, მისი ნიჭისა და მისწრაფებებისათვის შეუთავსებელი იყო, პოეტი აღწერს 1841 წლის 28 მაისით დათარიღებულ გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში: “თუ ქალაქის ამბავი გინდა, სწორე გითხრა, ბევრი ჭორიანობაა და ჭირიანობა; ორივე ერთია; მაგრამ ჭირი ტყუილია ამ ხელად და ჭორი კი მართალი, - დიდი დაძვერებაებია ქალებისა; დიდი აყალ-მაცალი; დიდი ტირილი; დიდი ღამის თევები; დიდი წვეულებები ერთმანერთის ჯავრით” (მ. ცერცვაძე, 2015: 49).

ნიკოლოზ ბარათაშვილი თბილისის ცხოვრებით უკმაყოფილებას გამოხატავს 1841 წლის 18 ოქტომბერს კვლავ გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ ეპისტოლეში: „ტფილისი ისევ ის ქალაქია უსარგებლო გონებისა და გულისათვის. ერთი ნუგეში ის არის, რომ მშვენიერი დარებია?“ (მ. ცერცვაძე, 2015: 62). უფრო ადრე, 1838 წლის 6 აგვისტოს პოეტი თავის ახლო მეგობარს, მიხეილ თუმანიშვილს ქალაქის უინტერესო ცხოვრებაზე დედოფლისწყაროში სწერს: “ნუ გამიჯავრდები ღუმლისათვის, ხოლო მტვრისაგან – სულის შემხუთველ თბილისში საყურადღებო არათვრია” (მ. ცერცვაძე, 2015: 36).

1837 წელს გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ წერილში ტატო ბიძას ატყობინებს, რომ ბარათი დიდი ხანია დანწერილი ჰქონდა, მაგრამ ფოსტას არ ანდო და კერძო პირის ხელით აგზავნით. ეს ფაქტი მეტყველებს მაშინდელი ხელისუფლების რეპრესიებსა და ცენზურის გავლენაზე. წერილში ჩართულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი, რომელშიც პოეტი პირდაპირ მიუთითებს გრიგოლ ორბელიანის სამშობლოდან გადახვეწის მიზეზს:

„ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი,

წაგართო ავის ენისა გესლმან;

სატროფონი მისნი შემოგარენი

გარდახვეწილსა დაგიხმო ეტლმან!” (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011; 132).

რუსული ცენზურისთვის ეს ლექსი, ბუნებრივია, მიუღებელი იქნებოდა. ამიტომაც ბარათაშვილი ყოველ მხრივ ფრთხილობს წერილი ხელში არავის ჩაუვარდეს.

1841 წლის 18 ოქტომბრის ბიძისადმი გაგზავნილ შემდეგ წერილში ბარათაშვილი საკმაოდ დაწვრილებით მიმოიხილავს მაშინდელი თბილისის შიდა პოლიტიკურ ცხოვრებას. წერილში იგი ახსენებს ბრძოლებში სახელმძღვანელო ქართველ გმირებს: მოსე არღუთინსკი-დოღგორუკოვს, იგივე მოსე არღუთაშვილ-მხარგრძელს, რომელიც დაღესტნის ომების მონაწილე იყო. ოფიცერ გიორგი საგინაშვილს, რომელიც დაღესტნის ომებში მონაწილეობდა და პოეტის მამიდაშვილი გახლდათ და გურამიშვილს, სამხედრო პირს, რომელიც საგურამოსა და ავჭალის მეხატონე იყო. პოეტი ხაზს უსვამს გრიგოლ ორბელიანის განსაკუთრებულ დიპლომატიურ შესაძლებლობასაც გურიის აჯანყების ჩამშვიდებაში.

თბილისში ამ პერიოდში გამოუგზავნიათ გრაფი ალექსანდრე ადლერბერგის შვილები. გრაფი ადლერბერგი 1841-1845 წლებში მონაწილეობდა შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში. შემდეგ იყოს კარის მინისტრი და იმპერატორ ალექსანდრე მეორის ფავორიტი. როგორც ბარათაშვილი წერს, ადლერბერგის შვილებმა თბილისში ცოტა ხანს დაყვეს, მაგრამ ამ პერიოდში გამოცვალეს „პოლკის კამანდერი,“ თუმცა ეს განკარგულება მანამდე გაიცა, სანამ დაღესტნის ომების მონაწილის ჩილაევის, იმავე ბორის (ქართულად ბაბანა) ჭილაშვილის სიმართლეს გამოიძიებდნენ. ჩილაევი, თურმე, უსამართლო ბრალდებას არ შერიგებია და არ გაჩუმებულა.

1842 წლის 2 მაისს ნიკოლოზ ბარათაშვილი ბიძას წერს: „ძლივს საქართველოს მოუვიდა რუსი, რომელსაც ეყურება აქაურობისა. იმედია, პოზინი კეთილად წარმართავს ჩვენ გარემოებას“. (მ. ცერცვაძე, 2015: 81). მიხეილ ჰავლეს ძე პოზინი, რუსი სახელმწიფო მოღვაწე. 1861 წლის საგლეხო რეფორმის მონაწილე, მონაწილეობდა „სამხედრო კანონების კრებულის“ შედგენაში. 1842 წელს საქართველოში სხვადასხვა დაწესებულებების სარევიზიოდ საგანგებო დავალებით მოვლინებულ მ. პოზინს შეუმონებია საქართველო-იმერეთის სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პალატაც, სადაც იმხანად მუშაობდა ნ. ბარათაშვილი და ძალიან მოსწონებია მისი მუშაობა. ბარათაშვილი ბიძასთან მიმოწერისას იმედს ამყარებს პოზინის საქართველოში მოღვაწეობაზე და კეთილგანწყობილია ამ რუსი მოხელის მიმართ.

ასეთი იყო, ზოგადად, ბარათაშვილის დროინდელი საზოგადოებრივ-კულტურული ატმოსფერო და მონინავე ქართველი ინტელიგენციის მოღვაწეობის ის შემაფერხებელი მოვლენები, რომლებიც მოჰყვა 1832 წლის შეთქმულების დამარცხებას. სწორედ ამამ მოიტანა ახალი ეტაპი ქართული ლიტერატურის ისტორიაში: მრავალი წლის განმავლობაში მუსულმანურ ქვეყნებთან ბრძოლამ, XIX საუკუნის დასაწყისში სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ და რუსეთის კოლონიად გადაქცევამ განაპირობა ქართულ ლიტერატურაში წარსულის იდეალიზაცია და რომანტიზმის აღმოცენება. ეროვნული ტრაგედიის შეგნება და ამით გამონვეული სევდა ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი ძირითადი თვისება გახდა. ასეთ უიმედო ატმოსფეროში რომანტიკოსების იდეალი და ოცნება მტერთან გამარჯვება და თავისუფლების მოპოვება იყო.

ბარათაშვილის ავტოპორტრეტი მისი წერილების მიხედვით

ნებისმიერი პიროვნების სრულყოფილი აღქმა გულისხმობს როგორც მისი გარეგნობის, ასევე შინაგანი სამყაროს ამოცნობას. ეპისტოლარული მემკვიდრეობა გვანდის ინფორმაციას ადამიანის ხასიათის, მისი ფიქრების, განცდებისა და გრძნობების შესახებ, თუმცა აქ შეიძლება შეგვხვდეს პიროვნების გარეგნობის აღწერაც.

ისტორიას არ შემორჩენია ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი. მისი გარეგნობის შესახებ ვარაუდების გამოთქმის ერთადერთი საშუალება დღეს ბარათაშვილის ახლობლების მოგონებებია. წლების მანძილზე ბევრმა მხატვარმა სცადა შეექმნა რომანტიკოსი პოეტის პორტრეტი. მათ შორის ყველაზე ცნობილია ლადო გუდიაშვილის მიერ 1955 წელს შესრულებული ნამუშევარი, რომელსაც საფუძვლად დაედო პოეტის დის – სოფიოს სახე და “თუმანიშვილისეული ესკიზი”.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში მხოლოდ ერთხელ გვხვდება ცნობა პოეტის გარეგნული მონაცემების შესახებ. 1837 წელს გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში, ნიკოლოზი ახსენებს საკუთარ კოჭლობას და ბიძას მოუთხრობს: „ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო და, თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხვაგან არ მიგიღებენო“. (მ. ცერცვაძე, 2015: 15). მშობლების ამ სიტყვების საპასუხოდ პოეტი წერს: „მაშინ, როდესაც ფეხი უკედ მქონდა და კარგადაც მაქვს, ასე, რომ ჩემებურად კიდეც ვბტი და კიდეც ვტანცაობ“. (მ. ცერცვაძე, 2015: 15).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს სიტყვები შეიძლება ჩავთვალოთ პოეტის მიერ საკუთარი ფიზიკური მდგომარეობის თვითშეფასებად. მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზი არ ეპუება საკუთარ კოჭლობას, ამ ფიზიკურმა ნაკლმა დიდად განსაზღვრა პოეტის ცხოვრების გზა. იგი იძულებული გახდა უარი ეთქვა საკუთარ ოცნებაზე სამხედრო სამსახურში ჩამდგარიყო და თავისი ბიძებისა და ახლობლების მსგავსად მტრებთან ბრძოლით მოეხვეჭა სახელი.

ბევრად მეტი ინფორმაციის მოცემა შეუძლია ბარათაშვილის წერილებს ნიკოლოზის ხასიათის შესახებ. ახლობლებისადმი მიწერილი ბარათები ცხადყოფს, რომ პოეტი პასუხისმგებლობის მქონე, შრომისმოყვარე და დაუზარელი პიროვნებაა. მიუხედავად მუდმივი შინაგანი მარტოსულობის განცდისა, ახლობლებთან ურთიერთობისას ბარათაშვილი წარმოგვიდგება, როგორც ძალიან კარგი იუმორის მქონე და ენამოსწრებული პიროვნება.

წერილებში იგი ხშირად უსვამს ხაზს საკუთარ ბეჭით და დაუზარელ ხასიათს. 1844 წლის 15 აპრილს ბარათაშვილი სწერს ზაქარია ორბელიანს: „საყვარელო ძმაო ზაქარია! რატომ არა ვწერთ ერთმანეთს წერილებს? გამოგიტყდები, ამ საკითხმა ჩამაფიქრა. მე რომ შენ მიყვარხარ – ეს აქსიომაა; წერა რომ არ მეზარება – ამას ადასტურებს ჩემი სამსახურებრივი საქმიანობა“ (მ. ცერცვაძე, 2015: 149). 1937 წლის თებერვალში კი გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ ეპისტოლეში ნიკოლოზ ბარათაშვილი უსაბუთებს ადრესატს, თუ როგორ არ უყვარს ადამიანში სიზარმაცე. ის წერს: „ამისთვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ. ღმერთმა დამითაროს! ეგ თვისება სხვისაც მეჭავრება. ჭეშმარიტად არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა ვქნა, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას“ (მ. ცერცვაძე, 2015: 16). 1844 წლის 23 მაისს გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ პირად ბარათში კი წერია: „საყვარელო ძმაო, გრიგოლ! სიზარმაცეში ანუ უნდომობაში ნუ ჩამომართმევ ამდენ ხანს წიგნის მოუწერლობას. – დრო არა მქონდა. შენ გაიცინებ, რასაკვირველია, იტყვი: შენ, ჭიანჭველაჲ, რა საქმე გაქვსო? კიდევ ამისთვის არა მცალიან, რომ ჭიანჭველა ვარ; ყოველთვის ჩემზედ მეტი და დიდი უნდა ავიკიდო. – ესეც კი არის მიზეზი, რომ რა მოგწერო? (მ. ცერცვაძე, 2015: 163).

ძირითადად ბარათაშვილის თვითშეფასება პოზიტიურია. თვითკმაყოფილების განცდა ყველაზე მეტად გამოხატულია პოეტის მიერ 1843 წლის 21 აგვისტოს გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში. იგი სწერს ბიძამისს: „მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ

ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს, და დავდგე გაშლილს ადგილს...” (მ. ცერცვაძე, 2015: 137). ამგვარი თვითშეფასება ბარათაშვილის მხრიდან სულაც არ შეიძლება ჩაითვალოს გადაჭარბებულად. პოეტი გრძნობს საკუთარი პიროვნების სიღიადეს, მისი შინაგანი სამყარო ვერ ეგუება უბრალო მოქალაქეობრივ ცხოვრებას.

1844 წლის 23 მაისს გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში პოეტი ცოტა ნეგატიურ თვითშეფასებას გამოხატავს. ის გულმაჟინყად აფასებს საკუთარ თავს. ნ. ბარათაშვილი წერს: „ეს წიგნები სულთანს გამოეგზავნა შენთან. რასაკვირველია, რიცხვზედ შეატყობ, რომ დიდი ხნისაა. ამაში კი ჩემი უზრუნველობაა მიზეზი, მაგრამ უფრო გულმაჟინყობაა; ვერა დროს ვერ დავეჩვიე, რომ სამშაბათობით მოდიოდა შენთან ფოჩტა“ (მ. ცერცვაძე, 2015: 164).

ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა გვაძლევს ბევრ მნიშვნელოვან ცნობას მწერლის შინაგანი ბუნების შესახებ. მკითხველს საშუალება ეძლევა დაინახოს ბარათაშვილის თვითშეფასება საკუთარი ხასიათის სხვადასხვა ნიუანსის შესახებ და გაიგოს როგორ აფასებდა რომანტიკოსი პოეტი საკუთარ პიროვნებას.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, მიუხედავად რაოდენობრივი სიმცირისა, პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროა. ლირიკულ შემოქმედებასთან ერთად მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობის გათვალისწინება მკითხველს საშუალებას აძლევს სრულფასოვნად აღიქვას პოეტის რომანტიკული ბუნება, მისი შინაგანი მე. შესაბამისად, ჩანვდეს იმ რომანტიკული ტენდენციებით გამართულ პოეზიას, რომელიც მთლიანად ავტორის შინაგანი განცდების გამოხატულებაა. აქედან გამომდინარე, ნ. ბარათაშვილის წერილები ერთგვარი გასაღებია არა მარტო მწერლის შინაგანი სამყაროს, არამედ მისი შემოქმედების გავებისათვის.

ნ. ბარათაშვილის ეპისტოლარული ბარათები ყურადღებას იქცევს ისტორიული და კულტურული თვალსაზრისითაც. მათში დეტალურადაა აღწერილი საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობა და ის შედეგები, რომლებიც ქვეყანას რუსულმა მმართველობამ მოუტანა. ამგვარ ცნობათა სიუხვით გამოირჩევა გრ. ორბელიანისადმი მიწერილი ბარათები.

კულტურულ ცნობათა თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილი ბარათები, ვინაიდან მათში ასახულია მე-19 საუკუნის საქართველოში შემორჩენილი ძველი ტრადიციები, კერძოდ საქორწინო და რელიგიური ადათ-წესები.

წერილებში ვხედავთ საკუთარ უბედობასა და ცხოვრების ამაოებაზე დამწუხრებულ პიროვნებას. ეს ის საკითხებია, რომლებიც წარმოდგენილია

ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიკულ შემოქმედებაში. გარდა ამისა, პოეტის პირადი მიმოწერა გვაძლევს ბარათაშვილის ხასიათის განსხვავებულ ჭრილში დანახვის საშუალებას. მკითხველის თვალწინ დგება ენამოსწრებელი პიროვნება, რომელიც გულღიად ხუმრობს ახლობლებისა და მეგობრების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I. - ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი. თბილისი. „უნივერსალი“. 2011.
2. გრ. აბაშიძე, პავლე ინგოროყვა და სხვ.- ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებანი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო.“ თბ. 1968 წელი.
3. ბალახაშვილი ი. - „ბარათაშვილის ცხოვრება“. „ლიტერატურა და ხელოვნება“. თბილისი. 1967;
4. ვეგენიძე იუზა - გრიგოლ ორბელიანი. (ცხოვრება და მოღვაწეობა). გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი. 1995.
5. ვეგენიძე იუზა [რედ. ლადო მინაშვილი]- ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბილისი. „გრიფონი“. 2009.
6. ინგოროყვა პავლე - ნიკოლოზ ბარათაშვილი. გამომცემლობა „მერანი“. თბილისი. 1969 წელი.
7. კიკნაძე გრ. - ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის. თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1972.
8. შარაბიძე თამარ - „ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა“. ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხრა სიცოცხლე. თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2019.
9. ცერცვაძე მაია- ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები. გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი. 2015 წელი.
10. ცერცვაძე მაია - „ვინ არის „მელანია?“ - ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილის ერთი ფიგურანტის იდენტიფიკაციისთვის.“ გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, # 3-4; „ინტელექტი“. 2018.
11. ცერცვაძე მაია - „ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთი წერილის დათარიღებისათვის“. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, #18 (3748), 2015 წლის 8 მაისი.

12. ცერცვაძე მათა - „კნიაზ ბარათოვი და ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთი წერილის დათარიღება“. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, #21 (3751). 2015 წლის 29 მაისი.
13. ცერცვაძე მათა - „ექვსი სოფიო - ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობისა და საახლობლო წრის შესწავლისათვის“. ჟურნალი „ამერიკა“ #3-4. 2014 წ;
14. ღარიბაშვილი ია - სადისერტაციო ნაშრომი „გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობა“. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2008.
15. ჭილაია სერგი - ლიტერატურული წერილები. თბილისი. „სახელგამი“. 1946